ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 26 ივნისი 1999 №119 (892) | ფასი 50 თეთრი



**2** დინამო და 18-წლამდელები დილემის წინაშე

ვის გაჰყვებიან შეკრებაზე ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი?

**2** მწვრთნელების ქუჩაზე მიმოსვლა დაიწყო

თსუ-ს ახალი თავკაცი კოტე დოლიძე სეზონთშორისში დანიშნული მეხუთე მწვრთნელია

**4** მეფის თვალწინ

დღეს ესპანეთის თასის მფლობელი გაირკვევა

**7** ბოსნიას დაემუქრნენ

უეფა ბოსნიაში სერბების, მუსლიმებისა და ხორვატების ერთიანი ლიგის შექმნას მოითხოვს

**8** სამპრასი 6 6
ლაბაძე 4 4




ყველაფერი მენეჯერების მარიფათზე, ნაცნობობაზე, ეროვნებაზეა დამოკიდებული

# აზოტი — ვითა 2:2

## ცხრათვიანი დავა ორშაბათს დასრულდება

# სტუ მესამეა!

იხილეთ მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე გვერდები



გურამ წიბახაშვილის ფოტოები

ვითა — აზოტი 72:68. ვითელი ამროსი ორმოცაძე ზუსტი სროლისთვის ემზადება



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი საქართველოს მერვე ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია

# ვინუსი კურნიკოვას, კაცების და ფოტოგრაფების წინააღმდეგ

ორშაბათს ქალების მერვედფინალს ერთი მეტად კოლორიტული მატჩი შეაფერადებს: შავ და კუნთსავსე ვინუს უილიამსს მამაკაცებისა და ფოტოგრაფების ფავორიტი ანა კურნიკოვა გაეჯიბრება.

წუხელ ამერიკელმა სარა პიტკოვსკის 6:1, 6:1 მოუგო, 18 წლის რუსს კი არგენტინელი ინეს გოროჩატეგი 7:5, 3:1-ზე გაეყარა ტრავმის გამო.

ამასობაში კი ასპარეზობის მეხუთე დღემ სენსაციების ნაკლებობის ანაზღაურებაც მოასწრო: შარშანდელ უიმბლდონზე მამის მიერ ნაცემ-ნაგვემმა, მერე კი ამერიკაში გაქცეულმა 17 წლის მირიანა ლუჩიჩმა ძველი ლონდონური ჯავრი მეოთხედ განთესილ მონიკა სელეშზე იყარა 7:6 (7:4), 7:6 (7:4). ევგენი კაფელნიკოვმა კი სედრიკ პიოლინთან მატჩის მესამე სეტში ტრავმა მოიმიზეზა და თამაშის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. ანგარიში 3:6, 6:4, 1:0 იყო ფრანგის სასარგებლოდ.

მეორე წრის გერმანული „ვესტერნი", თავმდაბალი ფავორიტების ამბავი და ანდრე აგასის ინტერვიუ იხილეთ მერვე გვერდზე.



REUTERS

მირიანა ლუჩიჩი



„დინამოს“ თვრამეტწლამდელები: ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი

# ვის შეეხიზნებიან ხიზნები?

## დინამო და 18-წლამდე ნაკრები ხიზანეიშვილ-ხიზანიშვილის ვერ ელევიან

თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს შორის გაურკვეველი ვითარებაა. „დინამოს“ ხელმძღვანელობა თავისას ამბობდა და ახლაც იმავე აზრზეა, ჭაბუკთა მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი — თავისას და „დიანმოსგან“ განსხვავებულს.

საქმე კი საქართველოს ჩემპიონის ორ ფეხბურთელს, ახლახან ეროვნულ გუნდში ნათამაშევ ოთარ ხიზანეიშვილისა და ზურაბ ხიზანიშვილის 18-წლამდელთა გუნდში გამოძახების დროს ეხება.

ეს ბიჭები მსგავსი გვარების გამო ნაკრების ხიზნებად მოინათლნენ და დამაჯერებელმა დებიუტმა მათზე მოთხოვნილება გაზარდა.

3 ივლისს „დინამო“ ჰოლანდიაში მიემგზავრება და ჩემპიონთა ლიგისთვის სამი კვირა იქ უნდა ემზადოს.

დღის ჩაგდებით, 5 ივლისს, გზას ჭაბუკთა ნაკრებიც დაადგება და ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ მზადებას გერმანიაში გააგრძელებს.

ორივე გუნდის მიზანი ნათელია. ერთს ლიგის ჯგუფში მოხვედრა სურს, მეორეს — კონტინენტის ხუთი საუკეთესო გუნდის მარაქაში გარევა და 2001 წელს მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაში.

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გავიგეთ, ვახტანგ კოპალეიშვილი „დინამოსგან“ ხიზანეიშვილისა და ხიზანიშვილის დროულად განთავისუფლებას ითხოვს. გუნდის დანარჩენ წევრებთან ერთად გერმანიაში რომ წაიყვანოსო.

ისიც შევიტყვეთ, თითქოსდა „დინამოს“ წინააღმდეგობის შემთხვევაში კოპალეიშვილი გუნდის საერთოდ დატოვებას აპირებს.

დამეთანხმებით, არასასიამოვნო ამბავია.

კითხვაც ბუნებრივად ისმის — სად უნდა ითამაშონ, უფრო სწორად თამაშებისთვის რომელ გუნდთან უნდა მოემზადნენ ეს ბიჭები?

„დინამოს“ სრული უფლება აქვს, თავისი ფეხბურთელები ქვეყნის ნაკრების თამაშებამდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე გაათავისუფლოს.

კოპალეიშვილის თხოვნა კი გასაგებია. მის გუნდს წინ ევროპის ჩემპიონატი ელის და ხიზანეიშვილ-ხიზანიშვილი მისთვის დიდ ძალას წარმოადგენენ.

საქმეში გასარკვევად გუშინვე შევეხმიანეთ ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის უფროს ზაზა ბოკერიასა და ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელ ვახტანგ კოპალეიშვილს.

*ზაზა ბოკერია:* ოთარ ხიზანეიშვილი და ზურაბ ხიზანიშვილი 18-წლამდელთა ნაკრებს 10 ივლისს შეუერთდებიან. ასე გადაწყვიტა „დინამოს“ მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა. „დინამოს“ არ გაემტყუნება, ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადება და ამ ბიჭებისა მწვრთნელს დიდად ეიმედება. როგორც წესია, კლუბი ფეხბურთელებს ერთი კვირით ადრე გაათავისუფლებს. ხიზანეიშვილი და ხიზანიშვილი, ჩემი ინფორმაციით, „დინამოს“ შემადგენლობაში სამიდან ათ ივლისამდე სამ მატჩს ჩაატარებენ, ათში კი მანქანაში ჩასხდებიან და გერმანიაში მოსამზადებლად მყოფ ნაკრებს შეუერთდებიან. ერთი კვირა, მგონი, საკმარისია გუნდთან შესათამაშებლად. მით უმეტეს, რომ ორივე ფეხბურთელი ძალიან კარგ სათამაშო ფორმაში იქნება. ერთი სიტყვით, ხიზანეიშვილი და ხიზანიშვილი 3 ივლისს „დინამოსთან“ ერთად ჰოლანდიაში გაფრინდებიან.

*ვახტანგ კოპალეიშვილი:* ხელს თუ შემიწყობენ, ძალიან კარგი იქნება. ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე სირცხვილისჭამა არ გვსურს. ღირსეულად უნდა ვითამაშოთ და საქართველო ვასახელოთ. ეგ ბიჭები კი ჩვენც გვჭირდება. მაპატიეთ, სხვას ვერაფერს გეტყვით. უახლოეს დღეებში ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ მერაბ ჟორდანიას შევხვდები და იმედი მაქვს, ყველაფერს ისე გადავწყვეტთ, როგორც საერთო ინტერესები მოითხოვს. 1 ივლისს უფრო ვრცლად ვისაუბროთ.

ერთი სიტყვით, აქეთ ქვეყნის 18-წლამდელთა ნაკრები და ევროპის ჩემპიონატი, იქით ქვეყნის უპირველესი გუნდი და ჩემპიონთა ლიგა.

ჩვენც იმედი გვაქვს, ყველაფერი საბოლოოდ კარგად დასრულდება და ორივე მხარე მოგებული დარჩება. გამოსავალი ხომ ყველა მდგომარეობიდან არსებობს.

აქვე კი ერთსაც გეტყვით. ვახტანგ კოპალეიშვილს ლატვიის „სკონტოსა“ და ბელგიის „სტანდარდის“ ჭირვეულობაც აღარდებს. ამ კლუბებმა შემოთვალეს, რომ ზურაბ მენთეშაშვილსა და ნაკრების ლიდერ ლაშა ჯაკობიას მხოლოდ 13 ივლისს გაათავისუფლებენ.

ევროპის ჩემპიონატი კი, შეგახსენებთ, შვედეთში 18 ივლისს იწყება.

**კობა ინასარიძე**

# კოტე დოლიძე — ახალი ლექტორი

თბილისის თსუ-ს ახალი მწვრთნელი ჰყავს — კოტე დოლიძე.

ადრე ბავშვთა ფეხბურთში ნამუშევარი და გასული სეზონის მეორე წრიდან „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელის თანაშემწე ახლა უკვე სტუდენტური გუნდის თავკაცია.

ეს ამბავი საბოლოოდ გუშინ გადაწყდა. უფრო ადრე, პირველ ჯგუფში, ადგილის შენარჩუნებისა და „ლარწყალის“ ძლევის შემდეგ ხმები დაირხა, ფინანსურად გაჭირვებულ თსუ-ს მწვრთნელი ოთარ გაბელია ტოვებსო. გუშინვე „სარბიელში“ თავად გაბელიას სიტყვებსაც წაიკითხავდით, გამორიცხული არაა გუნდიდან წავიდეო. წავიდა.

გაბელიას შემცვლელზე თსუ-ს უფროსობას დიდხანს არ უფიქრია, მწვრთნელად ახალგაზრდა, ნიჭიერი კოტე დოლიძე დანიშნეს.

თსუ კი პირველ ჯგუფში მოთამაშე მეხუთე გუნდია ახალ სეზონს ახალი მწვრთნელით რომ დაიწყებს.

**კობა ინასარიძე**



დღეიდან ოთარ გაბელია თსუ-ს მწვრთნელი აღარაა

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი
ფოთი. „ფაზისი“. 26 ივნისი. 18 საათი

**კოლხეთი — ცემენტარნიცა**

# მშიერი მაკედონიელები პირდაპირ სტადიონზე

დღეს ფოთის „კოლხეთი“ ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩში მაკედონიურ „ცემენტარნიცას“ ეთამაშება.

გუშინ კი ნაშუადღევს, 4 საათისთვის, ჩარტერული რეისით, სკოპიედან ვარნის გავლით კოპიტნარის აეროპორტში მაკედონიელთა 27-კაციანი დელეგაცია ჩამოფრინდა.

პირველი მატჩი, რომელიც სპოკიეში, „ვარდარის“ 25-ათასიან სტადიონზე გაიმართა, „კოლხეთმა“ მცველთა შეუთანხმებლობის გამო 2:4 წააგო.

რა იქნება დღეს, გაქვითავენ თუ არა ფოთელები ორბურთიან სხვაობას, რა შედეგით დაარულებენ ისინი მატჩს... ყველა კითხვას საღამოს გაეცემა პასუხი. მანამდე კი...

გუშინ კოპიტნარის აეროპორტში საბაჟო ფორმალობათა მოგვარების შემდეგ სტუმრები მასპინძლებმა ავტობუსში ჩასხეს და გეზი ფოთისკენ აიღეს. „ცემენტარნიცა“ სასტუმრო „მალთაყვაში“ დაბინავდა, თუმც არც მოუსვენიათ, სასტუმროში ჩანთების დატოვება და სტადიონისკენ წასვლა ერთი იყო. „ფაზისზე“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსა მაცკოვმა თავისი შეგირდები 45 წუთს ავარჯიშა, მცირეოდენი დატვირთვის შემდეგ სტუმრები სასტუმროში დაბრუნდნენ, სადაც მათ ვახშამი ელოდათ.

სტუმართა მწვრთნელმა ალექსა მაცკოვმა საპასუხო მატჩისთვის 18 ფეხბურთელი იახლა. მათ შორის ერთს, დრაგან სტეფანოვსკის, პირველ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, იგი თადარიგშიც კი არ ყოფილა. დანარჩენმა ყველამ შეიტანა წვლილი კოლხების დამარცხებაში. „ცემენტარნიცას“ 18-კაციანი სია ასეთია: ჯემალ ზეკირი, იგორ დიმოვი; გორან ხრისტოვსკი, ბლაგოიე მილევსკი, დრაგან სტეფანოვსკი, ალექსანდრ ვასოვსკი, იგორ მილევსკი, იგორ ფრანგოვსკი, დეიან დიმიტროვსკი, ტონი იაკომოვსკი, ჟარკო სერაფიმოვსკი, დეიან ცვეტკოვსკი, მიროსლავ ლაზარევსკი, ჟარკო სავოვი, ლეიან რისტოვსკი, გორან ტრპკოვსკი, მარიო ვუიოვიჩი და ველჩე ანჩევსკი.

მაკედონიელები დღესვე გაბრუნდებიან სამშობლოში. გუშინაც გაუწყეთ, რომ „კოლხეთი“ გამალებით ემზადება დღევანდელი მატჩისთვის.

— ყველა მწყობრშია. მოგეხსენებათ, სკოპიეში ნუგზარ მიქაბერიძე დაგვიშავდა. მხოლოდ იგია, ტრავმირებული. წინა მატჩიდან, ალბათ, სასარგებლო დასკვნები გამოვიტანეთ. ყოველ შემთხვევაში, სკოპიეში დაშვებული შეცდომების გამეორებას არ ვაპირებთ. რა ვიცი, ვარჯიშებზე გამოგვდის, თამაშზე რა იქნება, ვნახოთ. ბიჭების იმედი მაქვს. ვფიქრობ, „ცემენტარნიცას“ ბარიერს დავძლევთ — გვითხრა გუშინ ფოთის „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ.

ტყებუჩავას „კოლხეთის“ სასტარტო შემადგენლობაზეც დავეკითხეთ, მაგრამ:

— ჯერ მე თვითონ არ ვიცი, ვის დავაყენებ ძირითად შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, მონახაზი მაქვს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ დამიდგენია. ალბათ, თამაშის დილას გადავწყვეტ, ვინ დაიწყებს „ცემენტარნიცასთან“ მატჩს.

ერთი სიტყვით, ასეა. მაკედონიელები, როგორც თვითონ აცხადებენ, ფოთს საბრძოლო განწყობით ეწვივნენ. ასევე არიან კოლხებიც, ისინი სასურველი შედეგით მოგებას გეგმავენ. ჩვენც ეს გვინდა.

დღეს, 18 საათზე, ფოთის „ფაზისზე“ ინტერტოტოს თასის საპასუხო მატჩია, „კოლხეთი“ — „ცემენტარნიცა“.

**გიორგი ვაშაძიძე**

# პირველივე ტურში: ბათუმი — დინამო

— უკვე გადავწყვიტეთ, საქართველოს XI ჩემპიონატი 14 აგვისტოს დაიწყება. ალბათ, ასე აჯობებს. ჩემპიონატის კალენდარი შედგენილი გვაქვს, მაგრამ მას დამტკიცება სჭირდება — გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა გია ფირცხალავამ და იქვე იმ წყვილთა ვინაობაც გვაცნობა, რომლებიც პირველ ტურში შეხვდებიან:

„ა“ ზონა: „სიონი“ (ბოლნისი) — „თბილისი“, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ვიტ ჯორჯია“ (თბილისი), „ბათუმი“ — „დინამო“ (თბილისი), „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „არსენალი“ (თბილისი); „ბ“ ზონა: „კოლხეთი 1913“ (ფოთი) — „კოლხეთი“ (ხობი), „დილა“ (გორი) — თსუ (თბილისი), „იბერია“ (სამტრედია) — „მერანი“ (თბილისი), „გორდა“ (რუსთავი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)

# დინამო 2 თბილისია

მეათე ჩემპიონატი ერთი უცნაური შედეგით დასრულდა. უცნაურით იმიტომ, რომ პირველ ლიგაში ფარმ-კლუბი ალზევდა — საქართველოს უცვლელი ჩემპიონის, თბილსის „დინამოს“ მეორე გუნდი, „დინამო 2“.

ამას წინათ „დინამოს“ პრეზიდენტმა რომან შოთაძემ თქვა, მერე რა, რომ „დინამო 2“ გაღმოვიდა, ხომ ხედავთ, გუნდში მოთამაშე ფეხბურთელები საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, ჰოდა, სად მეორე ლიგა და სად პირველი, დონე მაინც დონეა. ასეც რომ იყოს, ეს გუნდი, ჩვენი ფარმ-კლუბი ველარ იქნება, გაგვემიჯნება, მას ცალკე იურიდიულ ორგანიზაციად ჩამოყალიბება მოუწევს. სახელსაც შეიცვლის. ახდა ბატონი შოთაძის ნათქვამი. ამიერიდან ამ გუნდს „თბილისი“ ჰქვია და დამოუკიდებელია.

„დინამო“ ფარმ-კლუბს კი გაემიჯნა, მაგრამ ერთი რამ მაინც დარჩათ საერთო — მეთერთმმეტე ჩემპიონატში როგორც ჩემპიონი, ისე „თბილისი“, ეროვნულ სტადიონზე ჩაატარებენ საშინაო შეხვედრებს.

სულ ახლახან „ლოკომოტივზე“ გაუწყებდით და ისიც გითხარით, ვაკეში მდებარე „მიხეილ მესხის“ სტადიონს რემონტი უნდა ჩაუტარდეს და ამიტომ გუნდი მატჩებს ნავთლუღში მდებარე „შევარდენის“ სტადიონზე ჩაატარებსო. რკინიგზელთა გეგმაში არაფერი შეცვლილა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ასეც იქნება.

ადგილის შეცვლა მოუწევს აგრეთვე თსუ-ს. X ჩემპიონატის საშინაო მატჩები სტუდენტებმა მცხეთაში და „შევარდენზე“ ჩაატარეს (I წრე მცხეთაში, მეორე — „შევარდენზე„), თუმც ბოლოს ნავთლუღში მდებარე სტადიონის დირექციამ სტუდენტებს უარი უთხრა, იჯარას ვადა გაუვიდაო.

როგორც შევიტყვეთ, თსუ XI ჩემპიონატის საშინაო მატჩებს სავარაუდოდ მცხევაში ჩაატარებს. მოგეხსენებათ, მცხეთური „არმაზი“ „ვიტ ჯორჯიას“ სარბიელია. ჰოდა, თსუ-ც ვეტერინარებს ჩაეზიარება.

**გიორგი ვაშაძიძე**

თბილისი. სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“. 25 ივნისი. 20.30 საათი

მინი-ფეხბურთის ტურნირის

**საქართველოს აღორძინების თასის**

ფინალი

| | |
|---|---|
| თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარა“ | 1 |
| საბურთალოს სმაკ-ი | 1 |

დამატებითი დროში 0:0, პენალტების სერიაში 4:2

# მურთაზ შელიას გრასჰოპერი ეპატიჟება

## შელიას აგენტის, კრის ფარნელის განცხადებით, 30 წლის ქართველი მცველით შვეიცარიული კლუბები დაინტერესდნენ

„მანჩესტერ სიტის“ 30 წლის ქარველ მცველ მურთაზ შელიას, რომელიც უკანასკნელად საფეხბურთო მინდორზე ოჩამჩირის „ამირანის“ შემადგენლობაში აფხაზეთის ოთხთა ტურნირზე გამოჩნდა, შვეიცარიული კლუბები ეპატიჟებიან.

ამის შესახებ გუშინ განაცხადა შელიას აგენტმა, კრის ფარნელმა. მისი თქმით, შელიათი რამდენიმე შვეიცარიული კლუბი დაინტერესდა, მათგან ქართველისადმი ყველაზე დიდ ინტერესს ციურიხის „გარსჰოპერი“ იჩენს.

ფარნელი ჯერჯერობით გადაჭრით არ ამბობს, აღსდგება თუ არა შელია-ყაველაშვილის ტანდემი „სიტის“ შემდეგ „გრასჰოპერში“. ამას ორი მომენტი უშლის ხელს. ყაველაშვილმა შესაძლოა ციურიხული კლუბი დატოვოს (შვეიცარიული პრესის ცნობით, „გრასჰოპერსმა“ მიშა შეკრებაზე წაიყვანა), ხოლო თუ „სიტი“ შელიას ინგლისში სამუშაო ვიზის პრობლემას მოუგვარებს, მაშინ ქართველმა იქნებ არც დატოვოს ეს ქვეყანა.

ინგლისის პირველ დივიზიონში ალზევებული „მანჩესტერ სიტიდან“ წასვლაზე საუბარი შელიამ სწორედ სამუშაო ვიზის გაგრძელებასთან დაკავშირებული პრობლემის გაჩენის შემდეგ დაიწყო. მან გასულ სეზონში მხოლოდ 3 შეხვედრაში ითამაშა. იგი „სიტის“ შეფობამ ეროვნულ ნაკრებში უთამაშებლობის გამო გააკრიტიკა.

ფარნელის განცხადებით, შელიას მომავალი ივლისის ბოლომდე გაირკვევა. შელიასაგან განსხვავებით, „მანჩესტერ სიტის“ დატოვებაზე არ ფიქრობს კლუბის მეორე ქართველი, ასევე ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი და კაპიტანი კახი ცხადაძე. მან გასულ სეზონში შელიაზე ცოტა, ორი მატჩი ითამაშა (1 გოლიც გაიტანა), თუმცა მეორე ტურში „ფულემთან“ უმძიმესი ტრავმა მიიღო და „სიტის“ ველარ დაეხმარა.

ახლა ცხადაძის აგენტი „სიტისთან“ სამუშაო ვიზის გაგრძელებასა და ახალ კონტრაქტზე მუშაობს, თავად ცხადაძე, „სიტის“ პრესმდივნის განცხადებით, ახლა საზღვარგარეთ მკურნალობს და გამოჯანმრთელებისთანავე „სიტის“ ფიზიკური მომზადების მწვრთნელის, როი ბალეის განკარგულებაში იქნება.

„მანჩესტერ სიტიმ“ მურთაზ შელია 1997 წელს 400 000 გირვანქა სტერლინგად ვლადიკავკაზის „ალანიიდან“ იყიდა, ერთი წლის შემდეგ იქიდანვე აიყვანა კახი ცხადაძეც, ოღონდ 300 000 გირვანქა სტერლინგად.

თუ შელიას ტრანსფერი შვეიცარიაში მართლა შედგა, „სიტი“ კაპიკსაც ვერ მიიღებს. მურთაზი დღეს თავისუფალი აგენტია.

**სიმონ მენაბდე**



„ოდიშს“ აქიმობაც ველარ უშველის?



ქართველი სიტელები: კახი ცხადაძე (№24) და მურთაზ შელია

# ოდიში მართლა ფაფუ?

ამ რამდენიმე ხნის წინ ზუგდიდის „ოდიშზე“ ვსაუბრობდით. „ოდიში ფაფუ“ — ასე ერქვა იმ წერილს. მაშინ ეროვნული ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, მაგრამ ზუგდიდელთა გასაჭირი და კლუბში შექმნილი მდგომარეობა იმის წინაპირობა იყო, რომ ეს სეზონი ოდიშელთათვის არასახარბიელოდ დამთავრდებოდა.

გუნდს არ ჰყავდა პრეზიდენტი, არ ჰყავდა რეალური პატრონი, არ ჰქონდა ფული, არ გაევლო ნორმალური მოსამზადებელი პერიოდი და რაც მთავარია, არავინ იყო გამკითხავი. ასეთ პირობებში ჩვენს ჩემპიონატშიც კი შეუძლებელია მიზნის მიღწევა, თუნდაც რჩეულთა შორის ადგილის შენარჩუნება.

... და „ოდიშიც“ გავარდა პირველი ჯგუფიდან.

თუმცა ვის არ მოსვლია ეს. მოსვლიათ, მაგრამ თავი არ მოუკლავთ, უმუშავიათ, წელზე ფეხი დაუდგამთ და დაბრუნებულან. მით უმეტეს, ჩვენთან, თუ მოინდომებ, საქმეს წესიერად მიხედავ და ფულსაც დახარჯავ, პირველ ჯგუფში დაბრუნება დიდი პრობლემა და აუხდენელი ოცნება სულაც არ გახლავთ. ამის ნათელ მაგალითად სამტრედიის „იბერია“ გამოდგება. აგერ წლეულსაც ხობის „კოლხეთმა“ სულ ჰარი-ჰარალედ მოიპოვა პირველი ჯგუფის საგზური.

აქედან გამომდინარე, როცა, „ოდიში ფაფუო“ გავიძახოდით, მხოლოდ პირველი ჯგუფის დატოვებას ვგულისხმობდით, თორემ... მთლად ასეც არ ყოფილა საქმე.

დღეს, ამ წუთებში, „ოდიში“, ფაქტობრივად, არ არსებობს. არა, არსებობს საბუთებში და მის პრეზიდენტად კვლავ ვახტანგ ნანავა ითვლება, მაგრამ წამიერად წარმოიდგინეთ: არ არის პრეზიდენტი, არ არის მთავარი მწვრთნელი, არ არის მეორე მწვრთნელი, არ არიან ფეხბურთელები, არ არის არც ფარმკლუბი. გუნდში არ არის თუნდაც ერთი კაცი, რომელსაც რაიმე შეიძლება ჰკითხო.

საქართველოში რეალური კერძო სტრუქტურები, რომლებიც საფეხბურთო კლუბების მფლობელები გახდებიან, ჯერ არ ჩანან და ამიტომ, გვინდა თუ არა, განსაკუთრებით რაიონებში, გუნდებს ქალაქების ხელმძღვანელები მფარველობენ. აქედან გამომდინარე, სულაც არაა გასაკვირი, თუ კლუბის მომავლისა და მოვლენების შესაძლო განვითარებაზე ზუგდიდის თავკაცთა აზრი გვაინტერესებს.

თემურ ჯგუშია (ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე): „ზუგდიდში საფეხბურთო გუნდი რომ იარსებებს, უეჭველია. მნიშვნელობა არა აქვს, პრეზიდენტი ნანავაა თუ სხვა ვინმე. დღეს კლუბი უპატრონოდაა, მაგრამ იმედი მაქვს, ამ ზაფხულს ყველაფერი მოგვარდება. ჩვენ ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ. არის მეორე ვარიანტიც. ჰყავდეს, ბატონო, ვახტანგ ნანავას „ოდიში“, უკვე მაინც მეორე ჯგუფში ვართ და შეგვიძლია ახალი კლუბის ჩამოყალიბებაზე ვიფიქროთ, რომელსაც ნანავასთან არავითარი კავშირი არ ექნება. ასეა თუ ისე, ქალაქს უგუნდოდ არ დავტოვებთ“.

ვახტანგ ანთია (ზუგდიდის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე): „ვახტანგ ნანავა გუნდს უნდა მოშორდეს. ეს კაცი დამნაშავეა და მათთან ერთად, ვინც მას ხელი შეუწყო, პასუხი უნდა აგოს. გუნდი კი ზუგდიდს აუცილებლად ეყოლება. ჩვენ რეალური სპონსორიც მოვძებნეთ, მაგრამ ჯერ არ გავამხელ. ერთ თვეში ყველაფერი გადაწყდება და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ“.

პაატა დანელია (ზუგდიდის მერის მოადგილე): „ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. გუნდი გვეყოლება თუ არა, ამას უახლოეს მომავალში გავარკვევთ. ფეხბურთის ფედერაცია, ქალაქის ხელმძღვანელობა და ხალხი, რომლებიც ამ საქმით დაინტერესდებიან, დავსხდებით და მოვილაპარაკებთ“.

ასეთი გაურკვეველი სიტუაციაა დღეს ზუგდიდში. იქნება, არ იქნება, ჯერ კიდევ საკითხავია. მარტო ლაპარაკითაც რომ საქმე არ გაკეთდება, ესეც ნათელია.

ერთი რამ კი ცხადია. სავსებით რეალურია, „ოდიში“, რომელიც თავისებურ ეშხს მატებდა ჩვენს ჩემპიონატს, დაიშალოს და აღიგავოს პირისაგან მიწისა. ... ანუ ფაფუ?

**თენგიზ ქოჩუა ზუგდიდიდან**

# ყაველაშვილს კალიები დაესივნენ

მიხეილ ყაველაშვილი, რომელსაც შვეიცარიულ „გრასჰოპერთან“ კონტრაქტი ამ თვის ბოლოს უმთავრდება და ივლისის დამდეგს უკვე თავისუფალი აგენტი იქნება, თავის ახლანდელ გუნდს ქალაქ ლუცერნის მახლობლად ხუთ დღიან შეკრებაზე გაჰყვა.

თბილისში დასასვენებლად ჩამოსულ ყაველაშვილს ორშაბათს „გრასჰოპერიდან“ დაურეკეს, ჯერ კიდევ ჩვენი ფეხბურთელი ხარ და უახლოეს ორ დღეში გელოდებითო, უთქვამთ შვეიცარიელებს მიშასთვის. ყაველასაც რაღა დარჩენოდა, ხუთშაბათს ციურიხს ჩაფრინდა, გუნდთან ივარჯიშა და იმავ დღეს „გრასჰოპერთან“ ერთად მოსამზადებლად წავიდა.

კლუბის მესურვეთ იმისი დიდი სურვილი კი აქვთ, ჩვენებური თავისთან დაიტოვონ, ამიტომაც იხმეს ყაველაშვილი კონტრაქის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე, ალბათ მოსალაპარაკებლად, მაგრამ საქმე ისაა, რომ მიშას ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონია, „გრასჰოპერის“ დატოვებაც გულში ამოუჭრია. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს, როგორც ჩვენთვის გუნშინ გახდა ცნობილი, ლევერკუზენის „ბაიერისა“ და „ბაზელის“ გარდა სხვა გუნდებიც ეპატიჟებიან. ყველაზე მეტს მაინც ბენდესლიგის მეორე პრიზიორები აქტიურობენ. მათ სელექციონერს, წარსულში ცნობილ გერმანელ თავდამსხმელ რუდი ფიოლერს კი მწვრთნელ კრისტოფ დაუმისთვის ყაველაშვილის გერმანიაში გადაბირების თაობაზე ორი სიტყვა რომ უთქვამს, მისგანაც თანხმობა მიუღია და მწვრთნელთან და „ბაიერის“ პრეზიდენტთან ერთად საქართველოს ეროვნულ გუნდის ნორვეგიაში მატჩს დასწრებია, მიშასთვის პირადად დაურეკავს, თუ გადაწყვეტ „გრასჰოპერის“ დატოვებას, იცოდე, „ბაიერი“ გელოდებაო.

მიხეილ ყაველაშვილი კი ჯერაც ფიქრობს. როგორც ჩანს, „გრასჰოპერის“ დატოვება მხოლოდ მასზეც არაა დამოკიდებული.

ყველაფერს უფრო ზუსტად შეკრებიდან მიშას ციურიხში დაბრუნების შემდეგ გაცნობებთ.

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯოფ ტომპსონი



დევიდ შიპშენკსი

# იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარეობა ორ კანდიდატს, ჯოფ ტომპსონსა და დევიდ შიპშენკს სურს. მათ უკვე დაიწყეს ხმათა დაბევების კამპანია.

დევიდ შიპშენკსი „იფსვიჩ თაუნის" თავმჯდომარე გახლავთ, ხოლო ჯოფ ტომპსონი დუელის ფავორიტია. ამ პატივცემულ ჯენტლმენებს თანამდებობიდან იანვარში გადამდგარი კით უაისმენის სავარძლის დაპატრონება განუზრახავთ.

საქმის მთელი მარილი და წიწაკა კი ის გახლავთ, რომ გუშინ, ინგლისურ პრესაში გამოქვეყნდა შიპშენკსის ციტატა, რომელიც კონკურენტს პრემიერლიგის მხარდაჭერის ყიდვაში სდებს ბრალს.

პრემიერლიგა ის ორგანიზაციაა, რომელიც ფეხბურთის ასოციაციას წელიწადში, დაახლოებით 120 მილიონი გირვანქით ამდიდრებს.

ფეხბურთის ასოციაციისა და პრემიერლიგის ურთიერთგარიგების ქაღალდს 10 წლიანი ვადა აქვს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ტომპსონს ეს ამბავი არ მოსწონს და ლიგის თავკაცებს ასოციაციის რესტრუქტურიზაციაზე უთანხმდება. მას უთქვამს, ფეხბურთის მომავლისთვის ფულია გადამწყვეტი და ამიტომ კლუბები იმ 120 მილიონის წილში უნდა ჩავსვათო.

„დეილი მეილი" წერს, რომ ამ განცხადებით ტომპსონს შიპშენკსის იმედი, რომ კონკურენტი განწირულია, გაუცამტვერებია.

როგორც ჩანს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში არჩევნების წინ ხმების ყიდვა სისხლში აქვთ გამჯდარი ან მათთვის არავის უთქვამს, რომ ასეთი რამ არ შეიძლება. ამის თქმას იმიტომ ვბედავთ, რომ კაცი, რომლის სკამისთვისაც ეს ორი, პატივცემული გვამი ერთმანეთს ეცილება, სწორედ ხმათა ყიდვის სურვილს გადაჰყვა: უაისმენი უელსის ფეხბურთის ასოციაციასთან და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებულ მაქინაციებში ამხილეს.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში კიდე ერთი სკამი ელოდება პატრონს. ის აღმასრულებელი შეფისა გახლავთ, რომელიც ადრე გრემ კელის ეკუთვნოდა, მაგრამ კელი უაისმენის თანამცოდველი იყო და მასთან ერთად დაისაჯა.

# აი, როგორ დაკოდავენ ფეხბურთს



დევიდ ილერი

პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსაჯი, დევიდ ილერი წინ აღუდგა ხალხს, რომელიც ფეხბურთში ტექნოლოგიის დანერგვას აპირებს. ილერი ამბობს, რომ ეპიზოდების ვიდეოგამეორებათა შემოღება თამაშს ადამიანურ თვისებას წაართმევს. არბიტრი, რომელიც იმავდროულად ჰეროუს სკოლის პედაგოგიცაა, მართალია გასულ სეზონში რამდენიმე კრიტიკის ობიექტად იქცა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად აცხადებს, რომ მას და მის კოლეგებს ჯერ კიდევ კარგად შეუძლიათ საქმისთვის თავის გართმევა ყოველგვარი ვიდეოკონტროლიორის გარეშე.

ერთი ხნის წინ, სხვა ინგლისელმა რეფერიმ, აგრეთვე ფიფას მსაჯმა დერმოტ გალაჰერმა, თქვა, რომ ვიდეოტექნიკის ამოქმედება შეზღუდულადაა საჭირო.

ილერი კოლეგას არ ეთანხმება. მისი აზრით, ტექნიკით აღჭურვა მსაჯებს საფუძველს შეურყევს, თამაშებს დაარღვევს და ფეხბურთის ხიბლის დიდ ნაწილსაც მოსპობს.

„მესმის, რომ მათ არგუმენტს უკან ლოგიკაა, მაგრამ მე წინააღმდეგი გახლავართ, შეცდომა ყველა მსაჯს მოსდის, ოღონდ, ამის გამო, ვიდეოგამეორებათა გამოყენება, ჩემი აზრით, თამაშს ადამიანურ ელემენტს წაართმევს. ფეხბურთი მოულოდნელობებითაა საინტერესო, მსაჯთათვის გადაწყვეტილების უფლების წართმევა კი ისეთსავე ეფექტს იქონიებს, როგორიც მატჩების ტელევიზორით ნახვას ახასიათებს — თამაში სტერილური გახდება" — ამბობს ილერი — „ტელევიზია, ბუნებრივია, მსაჯის შეცდომას ხაზს გაუსვამს და, ასევე ბუნებრივია, რომ ეპიზოდების სწორი შეფასება ერთი ორად გაიზრდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ ვისურვებდი ვიდეოტექნიკაზე დაყრდნობილი თამაშის ნახვას. მსაჯები, რომელთაც მე ვიცნობ, პატიოსანი ხალხია. ისინი ყოველთვის ცდილობენ მიუკერძოებლები დარჩნენ. ასეთი მიდგომა კი ყოველგვარი ტექნოლოგიის წახმარების გარეშეც მშვენივრად ცოცხლობდა წლების განმავლობაში.

ზემოთ ილერის შეცდომები და მისი კრიტიკის ამბავი ვახსენეთ. კონკრეტულად გავიხსენოთ: „ილერიმ ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანს, როი კინს „არსენალის" კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალა, ხოლო იმავე „იუნაიტედის" „ლივერპულთან" მატჩის დროს დენის ირვინი, როგორც ამბობენ, დაუმსახურებლად გააძევა მოედნიდან. და მაინც:

„ვიდეოგამეორებები თამაშის ტემპსაც შეანელებს" — უკან არ იხევს ილერი — „ფეხბურთი ჩქარი თამაშია, რომელსაც შეჩერება — გაგრძელების მეთოდი სტრუქტურას დაურღვევს. ვგონებ, რაც უფრო ხშირად შევწყვეტთ მატჩებს, მით უფრო შეუხედავი იქნება ფეხბურთი".

**იან სპრეგი**

# ვარშავაში ორშაბათის გათენდება

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს საშველი დაადგა — სკანდალებით დატანჯული და ფიფას რისხვით დაშინებული ვარშავა ორშაბათს ქვეყნის პილკანოჟნას (ფეხბურთია პოლონურად) შეფად ან ძველ კაცს დატოვებს, ან ახალს აირჩევს.

ძველი კაცი აურზაურის წყალობით უკვე მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია: მარიან ძიუროვიჩი, მექრთამეობაში ბრალდადებული, მაგრამ წარბშეუხრელი ჩინოვნიკი, რომლისთვისაც (როგორც ამბობენ) პოლონური ფეხბურთი და საკუთარი საკუჭნაო ერთი და იგივეა.

ახლები გახლავან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მებრძოლი აქტივისტი მიხალ ლისტკევიჩი და 80-იანი წლების დიდი ფორვარდი, პოლონეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" ვარსკვლავი, 1985 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ზბიგნევ ბონეკი.

„მე ალტერნატივა გახლავართ, სხვა საფეხბურთო დინების წარმომადგენელი" — ამბობს ბონეკი — „ჩვენი ფეხბურთი ისე მიიზლაზნება, რომ თუ შიგნიდან ჩონჩხი არ გამოვუცვალეთ, არაფერი გამოვა. ვალდებული ვართ ქვეყანაში სპორტის იმიჯი გავაცოცხლოთ, შევიმუშავოთ საგანგებო პროგრამები ახალგაზრდობისთვის და აღვადგინოთ იმ ორგანიზაციათა პატიოსანი სახელი, რომლებიც საქმეს სათავეში უდგანან, მაგრამ უნამუსოთა ასპარეზად ქცეულან".

კონკრეტულად რა უნდა მსოფლიოს 1982 წლის ჩეპიონატის ბრინჯაოს მედალოსანს? კონტრაქტების სტანდარტიზაცია, პირველი დივიზიონის კლუბების სრული ავტონომიზაცია, მათთვის დამოუკიდებელი ლიგის ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობა და ფეხბურთის ფედერაციაში საფუძვლიანი წმენდა, რათა უცხოელმა, სოლიდურმა სპონსორებმა ფულის ჩადება არ შეიცხადონ.

დაახლოებით იმავე მიზნებს ისახავს მიხალ ლისტკევიჩიც. იგი, თავის დროზე, ფედერაციაში, მდივნად მუშაობდა, მაგრამ მერე ძიუროვიჩს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა.

ძიუროვიჩის კოზირი კი ქვედა დივიზიონების გუნდების მხარდაჭერა გახლავთ, მაგრამ თუ სასწაული მოხდა და „დაბლებმა" ზურგი აქციეს, მაშინ, პროგნოზის თანახმად მისი საქმე ძალიან ცუდად წავა — ერთი საკუჭნაოღა დარჩება.

„ძიუროვიჩს მეორე და მესამე დივიზიონების გუნდები ერთიხანობა შარვლის უკანა ჯიბეში ესვა, მაგრამ მოვა ორშაბათი და ვნახავთ, შეიცვალეს თუ არა ბედშავებმა მენტალიტეტი" — წერს „პილკანოჟნა პლუსის" რედაქტორი ვალდემარ ლოძინსკი თავის მრავალგვერდიან ყოველკვირეულში.

ლოძინსკი ხატავს სურათს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულ ქვედალიგელებს საბაზრო ეკონომიკური ცვლილებებისა წარმოუდგენლად ეშინიათ.

ორშაბათის არჩევნებში ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ერთი გარემოებაც: ძიუროვიჩმა მოახერხა ხმის უფლება დაეტოვებინა მისი მორჩილი ფედერაციის დელეგატებისთვის, რაც ბონეკს და ლისტკევიჩს ერთობ შეუშლის ხელს. პოლონური პრესა ამტკიცებს, რომ 172 დელეგატიდან 50 აღარაა იმ კლუბის წარმომადგენელი, რომელშიც მანდატის მიღების დროს მუშაობდა.

და თუ პრეზიდენტად ძველი კაცი დარჩება, მეამბოხეთა პროგნოზით, პოლონური გუნდების ტრანსლაციათა უფლება, სატრანსფერო თანხები და მმართველობის მრავალი სხვა ბერკეტი საკუჭნაოში დარჩება.

# მეფის თვალწინ

„ვალენსიას" იტალიელმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ მისი პრესკონფერენციის დამსწრე უკლებლივ ყველა ჟურნალისტს თითო ბოთლი შამპანური მიართვა.

რას იზამს რანიერი ფინალის შემდეგ?

ჩემპიონატის ბოლო ტურში, როცა ვალენსიაში რანიერის გუნდმა „მალიორკას" სძლია, იტალიელი მწვრთნელი აცრემლდა. „ვალენსიას" ქომაგები ელიან, რომ ესპანეთის თასის ფინალის შემდეგ მწვთნელის კლუბთან გამოთხოვება გაცილებით ემოციური იქნება.

და საერთოდაც, „ვალენსიას" გულშემატკივრებს სჯერათ, რომ მათი საყვარელი კლუბი ქვეყნის თასს მოიგებს. ქომაგებს არგენტინელი თავდამსხმელის კლაუდიო ლოპესის ეიმედებათ. როცა „ვალენსიამ" 1979 წელს ქვეყნის თასი აღაპყრო, ფინალში მადრიდის „რეალთან" მათი გამარჯვება არგენტინელმა თავდამსხმელმა მარიო კემპესმა განაპირობა. მაშინ მარიო, როგორც ახლა ლოპესი, შესანიშნავ ფორმაში იყო.

— ვფიქრობ, ამ ფინალს არ შეიძლება ფავორიტი ჰყავდეს. გუნდების სატურნირო მდგომარეობამ არ უნდა მოგვატყუოს. მერე რა, რომ „ვალენსია" ჩემპიონთა თასზე ითამაშებს, ჩვენ კი უეფას თასის საგზური ძლივს მოვიპოვეთ. აქ ყველაფერი ერთ შეხვედრაზეა დამოკიდებული. ასე რომ, არაფერს გამოვრიცხავ — თქვა „ატლეტიკოს" მწვთნელმა რადომირ ანტიჩმა.

ქვეყნის თასი ორივეს მოუპოვებია — თუ ანტიჩმა 1996 წელს „ატლეტიკოს" მოაგებინა ესპანეთის თასი, კლაუდიო რანიერის ჯერ კიდევ „ფიორენტინაში" მოღვაწეობისას ხვდა წილად ეს ჯილდო.

— მსურს გუნდს გახარებული დავემშვიდობო. „ვალენსიაში" მართლაც ლამაზი წლები გავატარე. ბედნიერი ვიქნები, თუ გუნდს ესპანეთის თასით ხელდამშვენებული დავტოვებ — განაცხადა რანიერიმ.

ლამაზ თამაშს მოელიან. მერე რა, რომ პრიმერა დივიზიონში „ვალენსიამ" ორჯერ აჯობა მეტოქეს? ეს ხომ ჩემპიონატი არაა, ეს თასის გათამაშებაა. თანაც ისტორია გვეუბნება, რომ თასზე „ატლეტიკოს" უფრო სწყალობს ბედი, ვიდრე „ვალენსიას". სხვათა შორის, ეს გუნდები ესპანეთის თასის ფინალში ერთადერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს, 1972 წელს, და მაშინაც მადრიდელებმა მოიგეს.

— რთული სეზონი გვქონდა, ძალიან რთული. ჩვენ რომ ფინალში გავედით, უკვე მიღწევაა. ახლა კი თასის მოგებაც გვსურს. შეუძლებელი არაფერია. მთავარია, ისე ვითამაშოთ, როგორც ბოლო ხანებში გვჩვევია, თუ ეს შევძელით, წარმატებას მივაღწევთ — ეს მადრიდელთა ჩეხი მცველის, რადეკ ბეიბლის სიტყვებია.

ბოლო ხანებში „ატლეტიკო" მართლაც შედეგიანად თამაშობს — გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში ზედიზედ დაამარცხა „რეალი" და „სელტა", ამასთანავე თასის გათამაშების ნახევარფინალში ლა კორუნიაშიც იმარჯვა. „ატლეტიკოს" ქომაგებს სჯერათ, რომ კლუბი გამარჯვებების სერიას გააგრძელებს.

ამბობენ, „ვალენსია" სამი თავდამსხმელით დაიწყებს თამაშსო. აბა, რა ვთქვათ, მართალია, კლუბის რუმინელი ლეგიონერი ადრიან ილიე მცირე ტრავმისგან განიკურნა, მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ რანიერი ღიად შეუტევს? ძნელი სათქმელია.

მადრიდის „ატლეტიკო" ფინალში მეთექვსმეტედაა. მათ თასი ცხრაჯერ მოიგეს, ამასთანავე 90-იან წლებში რამდენჯერაც ითამაშეს ფინალში, იმდენჯერ გაიმარჯვეს. „ვალენსია" ფინალში მეთხუთმეტედაა, მაგრამ თასი მხოლოდ ხუთჯერ მოიპოვა, ბოლოს, 1995 წელს, ფინალში „დეპორტივოსთან" წააგო.

რა იქნება, არავინ იცის.

ყველაფერი სევილიაში გაირკვევა, უფრო სწორად, სევილიის ახლადგახსნილ ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც ესპანეთის თასის ფინალს პირველად უმასპინძლებს. შეხვედრას ქვეყნის მეფე, ხუან კარლოსიც დაესწრება.

მეფის თვალწინ გამარჯვება ყველას სურს.

შამპანური მერე იქნება...

## გზა ფინალამდე

### ატლეტიკო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1/8 | ს | სოსიედადი | 2:1 | ხოსე მარი, კორეა |
| | შ | სოსიედადი | 0:1 | |
| 1/4 | შ | ესპანიოლი | 2:1 | კორეა, ჟუნინიო |
| | ს | ესპანიოლი | 4:1 | ხოსე მარი (3), ფრესნედოსო |
| 1/2 | შ | დეპორტივო | 0:0 | |
| | ს | დეპორტივო | 1:0 | სერენა |

### ვალენსია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1/8 | ს | ლევანტე (II) | 3:0 | ნავასო (2), მენდიეტა |
| | შ | ლევანტე (II) | 1:0 | ანგლომა |
| 1/4 | ს | ბარსელონა | 3:2 | ლოპესი (2), მენდიეტა |
| | შ | ბარსელონა | 4:3 | ლოპესი (2), ანგულო, მენდიეტა |
| 1/2 | შ | რეალი | 6:0 | როში (2), ლოპესი, ვლაოვიჩი, ანგულო, მენდიეტა |
| | ს | რეალი | 1:2 | ლოპესი |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ქირავდება
ერთოთახიანი ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
Tel: 93 15 72



გერმანია — მექსიკა 6:0.
მარჯვნივ გერმანელი დორის ფიტსხენია, რომელიც მექსიკელ ხინა ოკეგერას წინააღმდეგობას ებრძვის



აშშ — ნიგერია 7:1.
შავთეთრი თაიგულის შუაში ამერიკელი სინდი პარლოუა (№12) მოქცეული

# სანამ ნიგერიელი ქალები ბურთს გამოედევნებოდნენ

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

### A ჯგუფი

**აშშ 7:1 ნიგერია**

0:1 ოკოსიემე (2), 1:1 ჩიეინე (19 ს. კ.), 2:1 ჰამი (20), 3:1 მილბერტი (23), 4:1 ლილი (32), 5:1 აკერსი (39), 6:1 პარლოუ (42), 7:1 მილბერტი (83)

**კორეა 3:1 დანია**

1:0 ჟინი (15), 2:0 იო (39), 3:0 კიმი (73), 3:1 იოჰანსენი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 2 | 0 | 0 | 10:1 | 6 |
| კორეა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ნიგერია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:8 | 3 |
| დანია | 2 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

### B ჯგუფი

**გერმანია 6:0 მექსიკა**

1:0 გრინგსი (10), 2:0 სმიშეჩი (45), 3:0 ჰინგსტი (49), 4:0 გრინგსი (57), 5:0 ლინგორი (89), 6:0 გრინგსი (92)

**ბრაზილია 2:0 იტალია**

1:0, 2:0 სისი (3, 63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 0 | 1:3 | 1 |
| მექსიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:13 | 0 |

### C ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| კანადა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| იაპონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |

### D ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| განა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:9 | 1 |

**ჩიკაგოელ** ჯარისკაცებს და ბრაზილიელ ქალებს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ — ამერიკის ამ ინდუსტრიული ქალაქის სტადიონზე, „სოლჯერ ფილდი" რომ ჰქვია და ქართულად ჯარისკაცთა მინდორს ნიშნავს, ბრაზილიის ქალთა ნაწილობრივ გადახოტრილმა ნაკრებმა იტალიელ თანამოსქესეებს 2:0 მოუგო და ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა.

სამბას დედოფლებმა მესამე წუთზევე გახსნეს ანგარიში: სისიმ მარცხენა ფეხით მარჯვე გოლი გაუტანა „სკუადრა აძურას" გოლკიპერ ჯორჯა ბრენძანს. მაგრამ იტალიელებმა დამშვიდება შეძლეს და შესვენებამდე სამხრეთ ამერიკელთა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს.

33-ე წუთზე იტალიელებმა პენალტიც კი მოინადირეს. ბრაზილიელებმა პატრიცია პანიკიო წააქციეს საკუთარ საჯარიმოში. თერთმეტმეტრიანის დარტყმა ანტონელა კარტამ ითავა, მაგრამ გამარჯვებულთა მეკარემ მარავილიამ თავისგან მარცხნივ ჩინებულად მოიგერია ბურთი. მოგერიებულს რიტა გარინომ თავურით დაამატა, მაგრამ უზუსტოდ.

ვერც პენალტის აცილებამ გატეხა „სკუადრა აძურა". მეორე ტაიმის დასაწყისში, 48-ე წუთზე, პანიკომ კინალამ გაათანაბრა ანგარიში...

ევროპელთა მხნეობა რამდენიმე წუთში გატყდა — კარტა თავგანწირვით იბრძოდა და ისეთ ეპიზოდში ამოჰყო თავი (სიტყვა თავის პირდაპირი გაგებით), რომ შეხვედრის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

მერე კი ბრაზილიელთა მეორე გოლის დროც დადგა. 63-ე წუთზე იმავე სისიმ, კვლავ ნენეს ასისტენტობით დალაშქრა იტალიის ნაკრების კარი. ეს სისის მეხუთე გოლი გახლდათ მიმდინარე ტურნირზე.

... პორტლენდის „სივიკ სტედიუმზე" გერმანელთა და მექსიკელთა დაპირისპირებას 20 129 ადამიანმა ადევნა თვალი, თუმცა იმას, რაც „სივიკ სტედიუმის" მინდორზე ხდებოდა, ალბათ, დაპირისპირება ძნელად თუ ეწოდება — 6:0.

მოკლედ, პორტლენდის სარბიელმა, რომელზეც ქალთა ჩემპიონატის მატჩი აღარ გაიმართება, იხილა ძლიერი გერმანია, სუსტი მექსიკა და ინკა გრინგსის ჰეთ-თრიკი. ეს მატჩი ძალიან ძნელი გამოდგა მექსიკელთა მეკარე ლენი კინონესისთვის, რომელმაც გაცილებით მეტი მოიგერია, ვიდრე გაუშვა. კერძოდ, კინონესმა გერმანელთა 14 დარტყმულს არ მისცა კარში გასვლის საშუალება. თუ გოლკიპერის მოგერიებულ დარტყმათა იმ დღევანდელ რაოდენობას წინა, ბრაზილიელებთან მატჩის ასეთსავე მაჩვენებელს შევადარებთ, დავინახავთ, რომ მექსიკელმა მცველებმა ოთხით მეტი დარტყმის საშუალება მისცეს მეტოქეს ანუ უარესად ითამაშეს.

აქ შეიძლება გამოცდილებაზეც ვილაპარაკოთ. ალბათ, შედეგი ლოგიკური იყო. რადგან მექსიკელი ქალები მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად იყვნენ, ხოლო გერმანელები ყველა (აგერ უკვე მესამე) პირველობის მონაწილენი გახლავან. გერმანელ ქალთა გატანილ ექვს გოლს კი თქვენი ნებართვით ამ წერილში არ აღვწერთ.

როგორც მოგახსენეთ, პორტლენდის სტადიონისთვის გერმანიისა და მექსიკის მატჩი ბოლო იყო, მანამდე კი იქ ჩრდილო კორეისა და დანიის ქალთა შეხვედრა გაიმართა. მასში გამარჯვება, რაოდენ გასაოცარიც უნდა ჩანდეს, სახალხო დემოკრატებს დარჩათ — 3:1.

„ჩვენმა ფეხბურთელებმა, როგორც დაცვაში ასევე თავდასხმაში, ჩინებულად ითამაშეს. მშვენიერი იყო, როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური ქმედებანი" — განაცხადა მატჩის შემდეგ კორეელთა მწვრთნელმა კიმ ჰაკ იონგმა — „დღეს დანიის ძლიერი გუნდი დავამარცხეთ".

მატჩი ძალისმიერი გამოდგა და მსაჯს ყვითელი ბარათის ხუთჯერ ამართვა მოუხდა. მეტიც, კორეელებმა ბოლო ხუთი წუთი უმცირესობაში ითამაშეს, ვინაიდან პაკ იონგ აეს სახიფათო ქმედებისთვის მოედნის დატოვებამ მოუწია.

„ძალიან გულდაწყვეტილნი გახლავართ" — ეს სიტყვები დანიელ მწვრთნელს იორგენ ჰვიდემოსს ეკუთვნის — „მსოფლიოს ჩემპიონატზე იმ რწმენით ვიყავით ჩამოსული, რომ მეოთხედფინალში გავიდოდით. კარგი იქნებოდა იღბალსაც შეეწყო ხელი. ორჯერ გავარტყით ბურთი ხარიხას. ხომ შეიძლებოდა ერთხელ მაინც შევარდნილიყო".

და ბოლოს მატჩი, რომელშიც ჩემპიონატის მასპინძელი აშშ-ის ნაკრები მონაწილეობდა. ამერიკელებმა ნიგერიელებს 7:1 სძლიეს. საინტერესოა, რომ აფრიკელებმა მეორე წუთზევე გახსნეს ანგარიში, მერე კი შვიდი გაუშვეს.

„არასოდეს ელი, რომ მეტოქე მოედანზე გამოვა და მეორე წუთზევე გაგიტანს გოლს, მაგრამ, ამჯერად, ვგონებ, უცაბედმა ჩამორჩენამ პირიქით, კარგი სამსახური გაგვიწია. განვრისხდით და ზუსტად ისე წარვმართეთ შეხვედრა, როგორც გვმართებდა" — განაცხადა მატჩის შემდეგ ორი გოლის ავტორმა ტიფენი მილბერტმა — „ჩვენ დაახლოებით სამ წუთში სამი გოლი გავიტანეთ. ასეთი რამ ყოველთვის არ ხდება. გატანილი შვიდის გარდა კიდევ გვქონდა შესაძლებლობები, მაგრამ ხელიდან გავუშვით. საბოლოოდ, მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ კარში დარტყმებში ვიმარჯვეთ".

„მე კი ვიცი, რომ ტურნირის უძლიერეს გუნდთან დავმარცხდით. აშშ-ის ნაკრები ძალიან გამოცდილია. ეს გოგონები ჯერ კიდევ მაშინ იყვნენ ერთად, ნიგერიაში ქალთა ფეხბურთი დანერგილიც რომ არ გახლდათ" — იხტიბარი არ გაიტეხა ისმაილა მაბომ, რომელიც აფრიკელთა მწვრთნელი გახლავთ.

**მიხეილ სურგულაძე**

# გუდისონ პარკიდან აღებული სათავე

„მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონის ტიტულის დაცვას 7 აგვისტოს ჩრდილო-დასავლეთით, ლივერპულში, „ევერტონთან" შეხვედრით დაიწყებს. მაშ ასე, 7 აგვისტოს, შაბათს, პრემიერლიგის ახალი ჩემპიონატი იწყება. ალექს ფერგიუსონის ტრიუმფატორი ბიჭები „გუდისონ პარკს" ეწვევიან.

პირველი დივიზიონიდან ახალაღზევებული „სანდერლენდი" იმავე დღეს დიდი გამოცდის წინაშე დადგება. იგი ლონდონში ჩავა და ამბიციურ „ჩელსის" წინააღმდეგობას შეეცდება. რაც შეეხება „ბრედფორდს", რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად გაერია უმაღლესლიგელთა მარაქაში, „მიდლსბროს" ჩააკითხავს.

ცნობილი როკ ვარსკვლავის, სერ ელტონ ჯონის „უოტფორდი" „უიმბლდონს" უმასპინძლებს.

და მაინც, მთავარი ყურადღება „გუდისონ პარკისკენ" იქნება მიპყრობილი: „ევერტონი" — „მანჩესტერი".

ამის შემდეგ მარჩესტერელები „ოლდ ტრეფორდზე" „შეფილდ უენსდეის" უმასპინძლებენ, ხოლო მორიგ ტურში დევიდ ოლირის ჭაბუკ ინგლისელ — ავსტრალიელ ვარსკვლავთა სენსაციურ გუნდს, „ლიდს იუნაიტედს" ეწვევიან. „ლიდსის" შემდეგ ფერგიუსონის გუნდს კვლავ სტუმრობა უწევს და კვლავ ძლიერ მეტოქესთან, ვიცე-ჩემპიონ „არსენალთან".

„არსენალი", ვიცე-ჩემპიონი და 1997-98 წლების სეზონის გამარჯვებული. პირველ შეხვედრას შინ, „ჰაიბერიზე" მარტინ ონილის „ლესტერთან" გამართავს.

პირველ დივიზიონში პრემიერლიგიდან ახალგავარდნილი „ბლექბერნი" უკან დასაბრუნებელ კამპანიას „პორტ ვეილთან" სტუმრობით დაიწყებს. მისებრ დაქვეითებული „ჩარლტონ ატლეტიკი" „ბარნსლის" მასპინძლობს, ხოლო „ნოტინგემ ფორესტი" პლეი-ოფში დამარცხებულ „იფსვიჩს" უნდა ეწვიოს.

## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინის ნაკრებისა და ესპანური „მალიორკას" მეკარემ კარლოს როამ, გუშინ განაცხადა, რომ რელიგიური მოსაზრებით თამაშს თავს ანებებს. 29 წლის როა ბოლო ექვსი თვეა ამას იმეორებდა და განმარტავდა, რომ როგორც მორწმუნეს შაბათობით ბურთაობა მკრეხელობად მიაჩნია. ამ კვირის დასაწყისში როას ზამორას პრიზი გადასცეს, როგორც ესპანეთის პრიმერა დივიზიონის საუკეთესო გოლკიპერს.**

**რუსეთის** საფეხბურთო შეფებმა მოსკოვის ცსკა-ს თანაქალაქელ „ლოკომოტივთან" თამაში ნეიტრალურ მოედანზე უბრძანეს. „ლოკომოტივი" ის მეტოქეა, რომელსაც სამხედროების გუნდმა, კალენდრის თანახმად, უახლოეს ტურებში პირველს უნდა უმასპინძლოს. მიზეზი ორი კვირის წინანდელია. „ტორპედოსთან" თამაშის შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალ მსაჯ მიხაილ ხოდირევს მავანმა ალიყური აჭამა. ჩინოვნიკები ვერ ამტკიცებენ, რომ აგრესორი ცსკა-სთან იყო რამენაირად დაკავშირებული, მაგრამ ის იციან, რომ მატჩის მასპინძლები „ჯარისკაცები" იყვნენ და ამიტომაც მათ აზღვევინებენ.

**ბრაზილიელმა ლეონარდომ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, განაცხადა ნაკრებში თამაში აღარ მაინტერესებსო და გუნდის ბანაკი ზედ „კოპა ამერიკას" წინ არხეინად დატოვა. ამ ამბავმა მწვრთნელს, ვანდერლეი ლუქსემბურგოს, საზრუნავზე საზრუნავი დაამატა, გეგონება კრიტიკა და რონალდოს ფორმაზე დარდი არ ეყოფოდა. ამრიგად, ლეონარდო შეიქნა მესამე ფეხბურთელი, რომელმაც ლუქსემბურგოს გულის გასახეთქად ქუდი დაიხურა და შინ წავიდა. მანამდე ასეთები იყვნენ მეკარე ტაფარელი და მცველი ალდაირი. ბრაზილიაში ჭორაობენ, რომ ყველაფერი კაპიტნის სამკლაურის ლეონარდოსთვის ჩამორთმევისა და კაფუსთვის გადაბარების ბრალია.**

**ინგლისის** ახალგაზრდული ნაკრების მცველი კეირონ დაიერის შეძენა პრემიერლიგის კლუბ „მიდლსბროს" გადაუწყვეტია. გუნდის ხელმძღვანელთა თქმით, ისინი მზად არიან, დაიერის სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა გაიღონ. ფეხბურთელის შესაძენად პრემიერლიგის მეორე კლუბი, „ნიუკასლ იუნაიტედიც" იბრძვის.

**საფრანგეთის ნაკრების და „მარსელის" მცველ ლორან ბლანს მილანის „ინტერი" ეპატიჟება. იტალიური კლუბის მწვრთნელი მარჩელო ლიპი მზადაა, მისთვის 4 მილიონი გირვანქა გაიღოს. მოლაპარაკება ორ კლუბს შორის უახლოეს მომავალში დაიწყება.**

**ესპანეთის** ჩემპიონი „ბარსელონა" ორი ფეხბურთელის გასხვისებას აპირებს. კატალონიური გუნდის წარმომადგენლის თქმით, მიხაელ რაიციგერი და ლუის ენრიკე შეიძლება ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედში" გადავიდნენ. რუდ გულიტი მზადაა, ორივე მოთამაშის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გაიღოს. მოლაპარკება უკვე მიმდინარეობს და ტრანსფერი სავარაუდოდ შედგება.

**იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელლი დეიან სავიჩევიჩი „მილანიდან" ვენის „რაპიდში" გადავიდა. ავსტრიული კლუბის პრეზიდენტ შტეფან ებნერის განცხადებით, 32 წლის ფეხბურთელმა მათთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კიდევ სამი სეზონის პერსპექტივით. სავიჩევიჩს „პერუჯა" და სალონიკის პაოკი იწვევდა.**

**ხორვატი** თავდამსხმელი მილან რაპაიჩი შეიძლება „პერუჯადან" ტურინის „იუვენტუსში" გადავიდეს. უკვე ერთი კვირაა, ტურინელები „პერუჯასთან" აწარმოებენ მოლაპარაკებებს და, ალბათ, თავისას მიაღწევენ.

**არგენტინელი მარსელო ესპინია ჩილეს კლუბ „კოლო კოლოდან" ესპანეთის პრიმერა დივიზიონის გუნდ „რასინგში" გადავიდა. არგენტინის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა სანტანდერის კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმა.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

... შორეულ 1910 წელს, არგენტინაში მაისის განმათავისუფლებელი რევოლუციის ასი წლის იუბილეს აღნიშვნა გადაწყვიტეს. ქვეყნის ხელისუფლებას სურდა, დღესასწაული რაც შეიძლება შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ზეიმებისა და კონცერტების გარდა არგენტინის ხელისუფლებამ განიზრახა, საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირიც ჩაეტარებინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორედ არგენტინელთა ამ წამოწყებამ ჩაუყარა საფუძველი არა მარტო კონტინენტის ჩემპიონატებს, არამედ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციას.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში არგენტინაში, ურუგვაისა და ბრაზილიაში უკვე არსებობდა ცნობილი კლუბები. არგენტინული „რივერ პლეიტი“, „ბოკა ხუნიორსი“, „რასინგი“, ურუგვაის „ნასიონალი“ და „პენიაროლი“, ბრაზილიური „ფლუმინენსე“, „ბოტაფოგო“, „სანტოსი“ თავიანთ ქვეყნებში საფეხბურთო ცხოვრების გამგებლები იყვნენ, მაგრამ უცნობი მიზეზების გამო საერთაშორისო კავშირებისგან თავს იკავებდნენ. ისინი მხოლოდ შიდა პირველობებით კმაყოფილდებოდნენ.

ერთი სიტყვით, განმათავისუფლებელი რევოლუციის საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ორგანიზებულ ტურნირში სათამაშოდ არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც, სხვათა შორის, იმ ხანებში ინგლისურად ARGENTINA FOOTBALL ASSOCIATION LEAGUE იწოდებოდა, მეზობლებს შეეხმიანა. თუ ჩილე და ურუგვაი არგენტინელთა მიწვევას დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ, ბრაზილიელებმა ტურნირში მონაწილეობა არ ისურვეს. მათ მიზეზად სისუსტე და შერცხვენის შიში დაასახელეს.

1910 წლის 29 მაისს კონტინენტის პირველობის ისტორიის თავფურცელი დაიწერა — პალერმოს საფეხბურთო მოედანზე ურუგვაიმ ჩილე დაამარცხა 3:0. თითქმის ერთი კვირის შემდეგ არგენტინამ ჩილეს კიდევ უფრო დიდი ანგარიშით, 5:1 სძლია. 12 ივნისს, გადამწყვეტ მატჩში, არგენტინამ ურუგვაის 4:1 მოუგო და ტურნირშიც იმარჯვა.

არგენტინელთა მოწყობილი ტურნირი ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენის წინაპირობა გახდა — ურუგვაელებმა, უფრო კონკრეტულად კი იმ დროისთვის ცნობილმა ურუგვაელმა ჟურნალისტმა და სპორტსმენმა ექტორ გომესმა, რომელიც ასევე კლუბ „უონდერერსის“ პრეზიდენტი გახლდათ, კონტინენტის საფეხბურთო კავშირის შექმნის იდეა წამოაყენა. გარკვეულ მიზეზთა გამო ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციების წარმომადგენლების შეხვედრა წლების მანძილზე ვერ ხერხდებოდა, მაგრამ 1916 წელს პრობლემა მოგვარდა და არგენტინაში შეხვედრა შედგა. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის პირველ პრეზიდენტად, როგორც მოსალოდნელი იყო, გომესი აირჩიეს, გენერალურ მდივნად კი ასევე ურუგვაელი სელესტინო მიბელი, რომელიც იმ ხანებში მთელ კონტინენტზე საფეხბურთო იურისპუდენციის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა.

უცნაურია, მაგრამ ასეა — თუ 1910 წელს არგენტინა განმათავისუფლებელი რევოლუციის საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავდა, 1916 წელს, კონტინენტის პირველობის პირველ წელს, ქვეყანა თავისუფლების გამოცხადების ასი წლის იუბილეს ზეიმობდა. სამხრეთ ამერიკის პირველი ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ამიტომაც ხვდა წილად არგენტინას. სხვათა შორის, არგენტინის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე ლუის მურატურემ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს ძვირფასი თასი უსახსოვრა, რომელიც იმთავითვე მთავარ ჯილდოდ იქცა.

მაშ ასე, 1916 წლის ზაფხულში პირველად გათამაშდა „კოპა ამერიკა“. ფავორიტებად არგენტინელები და ურუგვაელები ითვლებოდნენ, რომლებმაც ჩილელები გაანადგურეს. მოგვიანებით მასპინძლები თავდაჯერებულობამ დაღუპა. არგენტინამ, რომელიც ბრაზილიას ღირსეულ მეტოქედ არ მიიჩნევდა, მეზობლებთან ფრედ, 1:1 ითამაშა, ურუგვაიმ კი ბრაზილიას 2:1 მოუგო. არგენტინელებს აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ ურუგვაი, ჩემპიონები რომ გამხდარიყვნენ.

# 39a. Copa América Paraguay '99

COPA AMERICA PARAGUAY-99

# პირველად იყო თავისუფლება!

*სამშაბათს, 29 ივნისს, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, იგივე „კოპა ამერიკა“ იწყება. ტურნირს, რომელსაც საკმაოდ საინტერესო წარსული აქვს, პარაგვაი პირველად მასპინძლობს. მიუხედავად იმისა, რომ პარაგვაის ნაკრებს კონტინენტის ჩემპიონატი ორჯერ მოუგია, შეჯიბრების მასპინძლობა, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ თამაში მაინც სხვაა. პარაგვაელებს სჯერათ, რომ კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელს დაიმკვიდრებენ. კარგა ხანია, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი კონტინენტის საზღვრებს გასცდა, მაგრამ თუ წინა სამ ტურნირში მოწვეული გუნდები ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკას წარადგენდნენ, წლეულს „კოპა ამერიკაში“ იაპონია (!) მონაწილეობს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია. რატომაა ასე, მომდევნო წერილში ვთქვათ, დღეს კი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატების ისტორია გავიხსენოთ.*



20-იანი წლები. ახალგაზრდა ფრიდენრაიხი



არტურ ფრიდენრაიხი ღრმა მოხუცებულობისას

არგენტინა ურუგვაის 16 ივლისს, პალერმოს საფეხბურთო მინდორზე უნდა დაპირისპირებოდა. თამაშზე დასასწრები ბილეთები მთლიანად გაიყიდა, თუმც შეხვედრის ნახვის მსურველები იმდენად ბევრი იყვნენ, რომ წესრიგისდამცველებმა მათი შეკავება ვერ შეძლეს და ქომაგებიც სტადიონზე შეიჭრნენ. არეულობა, ცხადია, გარდაუვალი იყო და მსაჯმაც რომ შეხედა, სიტუაცია იძაბებოდა, თამაში შეწყვიტა. არბიტრის ეს გადაწყვეტილება პალერმოს სტადიონის აღსასრულის მიზეზი გახდა — მაყურებლებმა ტრიბუნები დალეწეს, მას შემდეგ კი იქ ფეხბურთის მატჩი არ ჩატარებულა.

ფინალი მეორე დღეს, 17 ივლისს, შედგა „რასინგის“ სტადიონზე. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელები უკანმოუხედავად უტევდნენ, ურუგვაელთა კარის დალაშქვრა ვერ შეძლეს. ჩილელმა მსაჯმა კარლოს ფონტამ ფრე დააფიქსირა. რაკი არგენტინელებმა ბრაზილიელებს ვერ მოუგეს, თასმა მონტევიდეოსკენ, ურუგვაის დედაქალაქისაკენ გასწია.

პირველი ჩემპიონატი ურუგვაიმ მოიგო, თუმცა ის პირველობა დღესდღეობით არაოფიციალურად განიხილება. „კოპა ამერიკას“ დასაბამად 1917 წელს ურუგვაიში ჩატარებულ ტურნირს მიიჩნევენ. ის გათამაშებაც ურუგვაის გამარჯვებით დასრულდა. საერთოდაც უნდა ითქვას, რომ იმ წლებში ურუგვაი სამხრეთ ამერიკის უძლიერესი გუნდი გახლდათ.

1917 წლის ტურნირის ფინალური შეხვედრა ერთი უცნაური ამბითაა გამორჩეული. ფინალში ურუგვაი 1:0 ამარცხებდა არგენტინას, როცა სტუმართა თავდამსხმელი მარტინი ურუგვაელთა მეკარეს, კაეტანო საპორიტის შეეჯახა და კარის დარაჯი დაშავდა. ვინაიდან იმ დროს ფეხბურთელის შეცვლა დაუშვებელი იყო, ურუგვაელები კაცნაკლულნი დარჩნენ. სწორედ ამ დროს მოედანი დატოვა მარტინიმაც — მან ჩათვალა, რომ ასე უფრო სამართლიანი იქნებოდა. ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტად ვაჟკაცური საქციელია.

ასეთი ისტორიები სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატებში ბევრია, თუმცა თითოეული მათგანის გახსენება ძალიან შორს წაგვიყვანს. ჩვენც მხოლოდ რამდენიმე, გამორჩეულად საინტერესო ამბავი გავიხსენოთ.

1919 წელს ბრაზილია პირველად მასპინძლობდა დიდ საერთაშორისო ტურნირს — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს. სწორედ ამ შეჯიბრებამ გააერთიანა ბრაზილიელი ქომაგები, რომლებიც მანამდე კლუბების მხარდაჭერის გამო დაქსაქსულიყვნენ.

ბრაზილიაში გამართული „კოპა ამერიკა“ ტრაგედიით დაიწყო — 17 მაისს, ურუგვაი-ჩილეს თამაშში მძიმედ დაშავდა ურუგვაელთა მეკარე რობერტო შერი, რომელიც სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. მიუხედავად იმისა, რომ მას უმალ გაუკეთეს ოპერაცია, შერი გარდაიცვალა...

ბრაზილია გამარჯვებისკენ მიიწრაფოდა — არგენტინას 3:1 მოუგო, ჩილეს 6:0. ფინალში ურუგვაის, იმდროინდელ ჩემპიონს ხვდებოდა. მასპინძლებს ჟურნალისტები ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. გაზეთებში წერდნენ, თუ სამართალია, სამშობლოს გულისთვის თავიც უნდა გავწიროთ, როგორც რობერტო შერი მოიქცაო...

ფინალური შეხვედრას მთელი ბრაზილია მოუთმენლად ელოდა. თავდაპირველად ურუგვაი დაწინაურდა 2:0, მაგრამ მეორე ტაიმში მასპინძლებმა ნახევარმცველ ნეკოს ორი გოლის წყალობით ანგარიშის გათანაბრება შეძლეს — 2:2. დამატებით დროში აღარაფერი შეცვლილა. სამი დღის შემდეგ, 29 მაისს, დამატებითი ფინალური მატჩი დაინიშნა.

კვლავ ფრე. ამჯერად 0:0. გოლი დამატებით დროში არც ახლა გავიდა — ისევ 0:0. ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ისევ ნახევარსაათიანი დამატებითი დრო დაინიშნა, თუმცა ამ შემთხვევაში გოლის გატანისთანავე შეწყდებოდა მატჩი. ერთი სიტყვით, თამაშობდნენ „ოქროს გოლამდე“.

საოცარია! გოლი მეორე დამატებითი დროის ბოლო წუთამდე [illegible]ოდა, მერე კი გაიხარეს ბრაზილიელებმა. გადაღლილმა ნეკომ უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, ზედიზედ მოატყუა ვანსინო, სიბეკი და ფოლიბიო, შემდეგ ჰაერში შემხტარი ეიტორი შენიშნა და... ურუგვაელთა მეკარემ საპორიტიმ ეიტორს კი დაასწრო და ბურთი უკუაგდო, მაგრამ იგი მეორე ბრაზილიელ არტურ ფრიდენრაიხს მიუვიდა, რომლის დარტყმაც წამის შემდეგ მთელ ბრაზილიას სასიხარულოდ ექცა. ბრაზილიამ ჩემპიონატი მოიგო!

არტურ ფრიდენრაიხზე, ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელზე, ნამდვილად ღირს ორიოდ სიტყვის თქმა. მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი, რომელმაც კარიერის მანძილზე 1329 გოლი გაიტანა, მულატი იყო. მამა გერმანელი გახლდათ, დედა კი — ზანგი. ფრიდენრაიხი უცნაური შეხედულების კაცი იყო — შავთმიანი, ყვითელკანიანი და ცისფერთვალება. მას „კოლორედს“ ეძახდნენ. დასრულდა თუ არა ფინალური მატჩი, ფრიდენრაიხის ბუცები უმალ გააქანეს ცნობილი იუველირის ოსკარ მაჩადოს მაღაზიაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტალახით იყო მოსვრილი...

1922 წელს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს კვლავ ბრაზილიამ უმასპინძლა. იმ წელს ბრაზილია განთავისუფლების საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავდა და მასპინძლებმა მეორედ მოიგეს ტიტული. ბრაზილიელთა შემდეგი წარმატება ზუსტად 27 წლის შემდეგ შედგა, ხოლო მეოთხედ „კოპა ამერიკა“ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა კიდევ უფრო გვიან, 1989 წელს მოიგეს. უცნაურია, არა? გუნდი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატებზე მუდამ ფავორიტთა შორისაა, კონტინენტის პირველობით ძალიან არასდროს დაინტერესებულა. ისიც ნიშანდობლივია, რომ დღემდე ჩატარებული 38 ჩემპიონატიდან ბრაზილიამ ათი ტურნირი გამოტოვა. საკვირველია ისიც, რომ იმ წლებში, როცა ბრაზილიამ სამჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, „კოპა ამერიკის“ მოგება ვერ შეძლო. პელე, გარინჩა, ტოსტაო, დიდი და სხვა ვარსკვლავები ისე წავიდნენ ფეხბურთიდან, კონტინენტის ჩემპიონატი ერთხელაც ვერ მოიგეს.

ბრაზილიის დიდი გუნდის წარუმატებლობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი რეგულარულად არ იმართებოდა. მაგალითად, ტურნირი 1930-34 და 1967-75 წლებში ერთხელაც არ ჩატარებულა, როცა 1959 წელს ორჯერ გაიმართა — ჯერ მარტ-აპრილში, შემდეგ კი დეკემბერში. არ იყო დადგენილი ტურნირის ფორმულაც, რომელიც ხშირად იცვლებოდა. თუნდაც 1975, 1979 და 1983 წლის შეჯიბრებები გავიხსენოთ — თუ მანამდე „კოპა ამერიკას“ ერთი რომელიმე ქვეყანა მასპინძლობდა, ამ წლებში გათამაშება მიმოსვლითი ფორმულით წარიმართა.

1987 წლიდან სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ შეძლო კონტინენტის პირველობის ფორმულის და კალენდრის განსაზღვრა. მას შემდეგ ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ იმართება და ორგანიზაციულადაც მაღალ დონეზეა.

რა იქნება პარაგვაიში? მათ ხომ კონტინენტის პირველობის მასპინძლობის გამოცდილება არა აქვთ. თუმც არ ღირს მომავალზე წინასწარ საუბარი — „კოპა ამერიკა“ სამ დღეში იწყება!

ლაშა გოდუაძე

ტურნირის ყველა დროის ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 153 | 99 | 28 | 26 | 380:145 | 226 |
| ურუგვაი | 157 | 94 | 22 | 41 | 351:171 | 210 |
| ბრაზილია | 139 | 74 | 27 | 38 | 315:170 | 175 |
| პარაგვაი | 134 | 54 | 24 | 56 | 216:245 | 132 |
| ჩილე | 141 | 49 | 23 | 69 | 227:259 | 121 |
| პერუ | 110 | 38 | 26 | 46 | 165:181 | 102 |
| კოლუმბია | 76 | 22 | 19 | 35 | 85:148 | 63 |
| ბოლივია | 84 | 14 | 18 | 52 | 79:234 | 46 |
| ეკვადორი | 92 | 11 | 17 | 64 | 95:266 | 39 |
| მექსიკა | 10 | 3 | 4 | 3 | 14:11 | 10 |
| ვენესუელა | 33 | 1 | 6 | 26 | 26:119 | 8 |
| აშშ | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | 6 |

გიო აზვლედიანის

## სვეტი

### ტელეშვებულება

ევროპულ საფეხბურთო სეზონში შესვენება თითქმის დაიკარგა. ლათინოამერიკულში ხეირიანად არც არასდროს ყოფილა და მაინც ახლა შესვენების დროა და ეს საფეხბურთო ტელეარხებსაც ეტყობათ.

პროგრამა ხომ შესავსებია? და ისინიც გასული სეზონის თამაშების ჩანაწერებს გვიჩვენებენ. ბევრი ამ თამაშთაგანი, თავის დროზე კი გადმოუციათ, მაგრამ ისინი სხვათა მნიშვნელობას დაუჩრდილავს. ასე ვიხილე ერთ-ერთ რუსულ არხზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფის მატჩი „ბენფიკასა“ და „ეინდჰოვენს“ შორის. ხომ დიდი არაფერი? ხომ ვერ გავიდნენ ეს გუნდები მეოთხედფინალში? მაგრამ კაი კოხტა თამაში იყო, კარგი ფეხბურთელები ირჯებოდნენ და მწვრთნელთა გვარიანი ნამუშევარიც ჩანდა.

უსეზონობის სეზონში მშვენიერი ტელერეპორტაჟი იყო. ხშირად სეზონი ისე გაივლის, რომ სასურველ ფეხბურთელს ვერ ნახავ, აქ კი, აი, საჩუქარი. ჟოაო პინტუ ყოველთვის მომწონდა. ევრო-96-ის შემდეგ თვალიც კი არ მომიკრავს. პობორსკი „მანჩესტერის“ დუბლში იყო, აქ კი ფრთა ასხმული აქვს. დაჯექი და ისიამოვნე. ჩავარდნილი „ეინდჰოვენიც“ არაა მთლად ჩავარდნილი — ვან ნისტელროოი იქაა, ხახლოვი, მთელი ამბავი. თამაშობენ კოხტად. არა საუკეთესოდ, მაგრამ ნაღდი ფეხბურთია და მოყვარულ კაცს თვალს გაუხარებს.

ეს ძველი თამაში იქეთ იყოს და ამ უსეზონობის ჟამს, ტულონის ჭაბუკთა ტურნირიც გამოიძებნებოდა „ევროსპორტზე“. აჰ! რა ახალგაზრდობა მოდის. ტურნირი ყოვლად მოულოდნელად კოლუმბიელებმა მოიგეს, თუმცა, იქ იყვნენ საუცხოო ფრანგები და კიდევ უკეთესი არგენტინელები. არგენტინელთა შორის კი იყო ერთი უნაღდესი ვარსკვლავი, ბაბინგტონისა და მარადონას ნომრის მატარებელი დანიელ მონტენეგრო — ყმაწვილი გამთამაშებელი, რომლისთვისაც „მანჩესტერს“ დაუდგამს თვალი. საინტერესო სერია A ვნახეთ, პრემიერლიგის დრამატული კვანძი, საერთოდ წარმოუდგენელი ჩემპიონთა ლიგის ფინალი და მაინც, როგორც მაყურებლებს, გულშემატკივრებს, არა გვაქვს ფეხბურთისგან დასვენების სურვილი. ამაში კი „დამნაშავენი“ მონტენეგროსნაირი ბიჭები არიან.

„ენტევე ფუტბოლმა“ კი საერთოდაც არქივი გაქექა და უკვე მსოფლიო ჩემპიონატების სამი ფინალი გვიჩვენა 1966-74 წლებისა. აი, ესენი კი უნდა ჩაიწეროს კაცმა და წარამარა ატრიალოს ვიდეოზე, როგორც ფეხბურთის კლასიკა. და საერთოდ, შემოელო ვინმეს „რუსთავი 2“-ის „ფსიქოს“ დარი გადაცემა „ფუტბოლფსიქო“, გაეშვა წარსულის დიადი თამაშები, მიეწვია მცოდნე ხალხი და გაერჩიათ თავისი პირდაპირი სატელეფონო ზარებით. ერთგვარი, „ბალეშჩიკური“ ჰოთლაინი ყოფილიყო.

თუ კაცი ყოველ დღე ახალ „ამბებს უყურებს“ ტელევიზორში და არ ბეზრდება, ფეხბურთი რატომ უნდა მობეზრდეს?

ოღონდ, ნუ დაეჩვევით ქალთა ფეხბურთის ყურებას — გემოვნებას აფუჭებს.

გინდა მსოფლიო ჩემპიონატი დაარქვი და გინდა საპლანეტათაშორისო.

მთელს ამ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში გოლი არ გასულა, მეკარის ბრალი რომ არ ყოფილიყო. თუმცა, ეტყობა, ქალთა ფეხბურთში ასეთი მეკარეობა და ასეთი თამაშია. ტემპი — 30-იანი წლების თამაშისა, ოსტატობა, უფრო ნაკლები ვიდრე ბომბეის რკინიგზის ლიგის ჩემპიონატში.

ასე რომ, ჩვენ არ გვჭირდება შვებულება, შვებულება ჭირდება ზიდანს?!



ანტონიო კაბრინი



მარკო ტარდელი



გაეტანო შირეა

# ერთი ამბავი ხუთი თასის მფლობელებზე

უცნაურია ფეხბურთელთა ცხოვრება — დღეს აქ არიან, ხვალ შეიძლება სხვაგან ამოყონ თავი. ზოგ მწვრთნელს ესა თუ ის მოთამაშე მოსწონს და თავისთან იტოვებს, ზოგიც რომელიმე მათგანს აითვალწუნებს და გაუშვებს. ფეხბურთელთა მიგრაცია ამოუწურავი თემაა და მანამ იარსებებს, სანამ ფეხბურთი იქნება.

დღეს მინდა, იმ ფეხბურთელებზე ვისაუბროთ, რომელთაც სხვებთან შედარებით ბევრი საკლუბო თასი მოუგიათ, უფრო კონკრეტულად კი ის მოთამაშეები გავიხსენოთ, კარიერის მანძილზე ყველა ევროთასი, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასები რომ მოუპოვებიათ.

ევროთასების წლევანდელმა ფინალებმა იმ ფეხბურთელთა კლუბს, რომლებიც რამდენიმე ევროთასს ითვლიან, კიდევ რამდენიმე მოთამაშე შემატა.

ასე მაგალითად, უეფას თასის მფლობელი „პარმას“ ორმა ფეხბურთელმა — დინო ბაჯომ და ლუიჯი სარტორიმ ეს თასი მესამედ ირგუნა. ამავე კლუბის კოლუმბიელმა თავდამსხმელმა ფაუსტინო ასპრილიამ ადრე მოგებულ თასების თასს და უეფას თასს კიდევ ერთი ჯილდო მიუმატა.

თასების მფლობელთა თასის უკანასკნელი გათამაშების გამარჯვებული „ლაციოდან“ ეს თასი კიდევ ერთხელ აღმართეს ესპანელმა ივან დე ლა პენიამ, იტალიელებმა რობერტო მანჩინიმ და ატილიო ლომბარდომ, პორტუგალიელმა ფერნანდო კოუტუმ.

...1995 წლის შემოდგომაზე ჩემპიონთა თასის მფლობელმა „აიაქსმა“ საკონტინენტთაშორისო თასზე ბრაზილიური „გრემიო“ დაამარცხა და მსოფლიოს უძლიერესი კლუბის სახელი დაიგდო. ამსტერდამული კლუბის ვეტერანმა მცველმა დენი ბლინდმა კი უნიკალური კოლექცია საკონტინენტთაშორისო თასის მოგებით დააგვირგვინა და გახდა მეშვიდე ფეხბურთელი, რომელსაც მოუპოვებია სამივე ევროთასი, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასები. დაგვეთანხმებით, შესანიშნავი მიღწევაა.

„აიაქსის“ საკონტინენტთაშორისო წარმატებამდე ათი წლით ადრე ტურინის „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა თასის ავადმოსაგონარ ფინალში ინგლისის „ლივერპულს“ სძლია და შეიქნა პირველი კლუბი, რომელმაც სამივე ევროთასის მოგება შეძლო. 1977-ში ტურინელებმა უეფას თასი დაისაკუთრეს, 1984 წელს თასების თასი, 85-ში კი, როგორც ვთქვით, უეფას თასი. მალე „იუვენტუსმა“ შესანიშნავ კოლექციას ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასებიც დაემატა.

„იუვენტუსის“ ზემოხსენებული ევროწარმატებები, არც მეტი არც ნაკლები, ცხრა წლის მანძილზე გრძელდებოდა. ეს პერიოდი სავსებით საკმარისია, რათა რამდენიმე ფეხბურთელს თავისუფლად შეძლებოდა კლუბის ღირსების დაცვა. სწორედ „იუვენტუსში“ თამაშის წყალობით გახდნენ ანტონიო კაბრინი, გაეტანო შირეა და მარკო ტარდელი პირველები, რომლებმაც ყველა საკლუბო თასი მოიგეს.

80-იანი წლების დასაწყისში „იუვენტუსში“ თაობათა ცვლა დაიწყო, ხოლო როცა 1990 წელს „იუვენტუსმა“ მეორედ მოიპოვა უეფას თასი, კიდევ ორი ტურინელი მოთამაშე გაწევრიანდა ყველა საკლუბო თასის მფლობელი ფეხბურთელების კლუბში. დიდი „იუვენტუსის“, პირობითად რომ ვთქვათ, მეორე თაობის წარმომადგენლებმა — სტეფანო ტაკონიმ და სერჯიო ბრიომ 1984 წელს მოგებულ თასების თასს, ევროპის სუპერთასს, ხოლო 1985-ში დასაკუთრებულ ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასებს 1990-ში უეფას თასიც მიუმატეს. შეიკრა დიდებული წარმატებების რგოლი!

ყველა საკლუბო თასის მომგებ ფეხბურთელთა კლუბში დღესდღეობით შვიდი მოთამაშეა. თუ ამ შვიდიდან ხუთი ტურინის „იუვენტუსში“ თამაშობდა, ხოლო ერთი „აიაქსში“, კლუბში, კიდევ ერთი წევრი, ჰოლანდიელი არნოლდ მიურენი ორ გუნდში მოპოვებული წარმატებებით მოხვდა.

მიურენის ფეხბურთელობა ჰოლანდიური ფეხბურთის აღმავლობას დაემთხვა. ამასთანავე ნახევარმცველი იმ დიდებულ „აიაქსში“ თამაშობდა, 70-იანი წლების დასაწყისში ევროპას რომ აზანზარებდა. სწორედ ამსტერდამელთა შორის ყოფნისას მოიგო მიურენმა ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასები. საფეხბურთო ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მიურენი ინგლისის „იფსვიჩ თაუნში“ აღმოჩნდა, რომელთან ერთადაც 1981 წელს უეფას თასი დაისაკუთრა. რამდენიმე წლის შემდეგ მიურენი „მშობლიურ“ „აიაქსს“ უბრუნდება და კვლავ იგებს ევროთასს — ამჯერად თასების მფლობელთა თასს. შესაბამისად, იგი ხდება პირველი ჰოლანდიელი მოთამაშე, რომელიც უკლებლივ ყველა საკლუბო თასს ეუფლება.

დღესდღეობით მხოლოდ გაეტანო შირეა, მარკო ტარდელი, ანტონიო კაბრინი, სტეფანო ტაკონი, სერჯიო ბრიო, არნოლდ მიურენი და დენი ბლინდი არიან კლუბის წევრები. უახლოეს მომავალში შესაძლოა მათი რაოდენობა კიდევ გაიზარდოს, მაგრამ დღესდღეობით...

რამდენიმე ხნის წინ ნისლიან ალბიონზე გადახვეწილი ჯანლუკა ვიალი ფეხბურთიდან წავიდა. ლონდონის „ჩელსის“ მწვრთნელმა კარიერა ისე დაასრულა, რომ მხოლოდ ოთხი საკლუბო თასის მოპოვება შეძლო, არადა, დიდი შანსი ჰქონდა, კლუბის მერვე წევრი გამხდარიყო.

90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი გენუის „სამპდორიაში“ 1990 წელს თასების მფლობელთა თასს იგებს, 1993 წელს, უკვე როგორც ტურინის „იუვენტუსის“ ფორვარდი, უეფას თასს. გადის სამი წელი და ამავე კლუბთან ერთად ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ საკლუბო ჯილდოს — ჩემპიონთა თასს ეუფლება. სწორედ ამის შემდეგ გადადის იგი ინგლისში. მართალია, „ჩელსისთან“ ერთად შარშან ზაფხულში ევროპის სუპერთასს დაეპატრონა, მაგრამ საკონტინენტთაშორისო თასისთვის ბრძოლის საშუალება აღარ მისცემია.

წლეულს ევროპის სუპერთასისთვის „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლაციო“ იბრძოლებენ, ხოლო ინგლისელები საკონტინენტთაშორისო თასის მოპოვებასაც შეეცდებიან. არც ერთი და არც მეორე კლუბის შემადგენლობაში დღესდღეობით არავინაა ისეთი, კლუბის კარის შეღებას რომ მოახერხებდა.

**ლაშა გოდუაძე**

# ბოსნიას დაემუქრნენ

უეფამ განაცხადა, რომ ევროთასებზე 2000-2001 წლების სეზონში ბოსნიიდან ვერ ითამაშებენ ის კლუბები, რომლებიც ქვეყნის საფეხბურთო ლიგას გვერდს აუქცევენ.

ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციას უეფამ განუცხადა, რომ თუ არ შეიქმნებოდა ახალი ლიგა, რომელშიც ქვეყნის სხვადასხვა ეთნიკური დაჯგუფების გუნდები ითამაშებდნენ, ბოსნიის კლუბები ევროტურნირებიდან მოიხსნებოდნენ.

სარაევოში მდებარე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მუნიბ უსანოვიჩმა განაცხადა, რომ 1992-95 წლების სამწლიანმა ომმა სპორტზეც და მათ შორის ფეხბურთზეც დიდი გავლენა მოახდინა. ბოსნიაში სამი სხვადასხვა საფეხბურთო ფედერაცია შეიქმნა — მუსლიმანთა, სერბთა და ხორვატთა.

მიუხედავად ყველაფრისა, უეფა ოფიციალურად მხოლოდ ბოსნიის ფეხბურთის ფედერაციას მიიჩნევს, და სწორედ ამ ორგანიზაციას სთხოვს, დაიქვემდებაროს სხვა ფედერაციები.

— უეფა კატეგორიულად მოითხოვს, აგვისტოსთვის შევქმნათ ახალი ლიგა, რომელშიც სერბების, მუსლიმებისა და ხორვატთა კლუბები იასპარეზებენ. მართალია, ორგანიზაციისთვის ცოტა დროა, მაგრამ ჩვენ ვეცდებით — განაცხადა უსანოვიჩმა.

## სატირბორთვე ?!

— ეს ჩემოდნები რად გიდევს აქ?

— *მივემგზავრები. მიწვევა მაქვს*

— სად?

— *ჯერ ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან სერიოზული კლუბია.*

— კლუბი? იქ რა უნდა გააკეთო?

— *როგორ თუ რა, ვითამაშო.*

— მე მეგონა, მწვრთნელის შოფრად გიწვევდნენ.

— *ქალთა გუნდია და ვერ ვითამაშებ?*

— ქალი არა ხარ და ქალთა გუნდში როგორ ითამაშებ?

— *თავს გავასაღებ, თმას მოვიზრდი და კიდევ რამეები.*

— და ვინც გიწვევს იმას ეცოდინება რომ ბიჭი ხარ?

— *კი. ქალების მარადონად უნდა გაქციოო.*

— კარგი, გეყოფა ხუმრობა. მართლა, რა ჩემოდანია?

— *არი, რა.*

— მითხარი, მითხარი...

— *ამ ჩემოდანში ერთი ფეხბურთელი მიზის, წავიყვან და გავყიდი.*

— შენ გაყიდი?

— *ჰო.*

— მერე ჩემოდანში რატომ გიზის?

— *რომ არავინ დაინახოს და უცებ ამობრწყინდეს.*

— რაღაც ხუმრობის ხასიათზე ხარ და ადამიანურად არ მელაპარაკები.

— *კერძოდ, რა გინდა რომ იცოდე?*

— რა ვიცი, ათასი რამე მაინტერესებს. კერძოდ, ტრანსფერებთან დაკავშირებით.

— *მე მგონი სულ ტრანსფერებზე ვლაპარაკობთ.*

— ეგ ხუმრობით.

— *კარგი, გეტყვი სერიოზულად, ამ ჩემოდანში რობერტო ბაჯო მიზის.*

— აშკარად მთვრალი ხარ.

— *არა კაცო, მართლა გეუბნები. აღარავის სჭირდება და მე დავითრიე.*

— რატომ არ სჭირდება არავის?

— *უკან არ მუშაობსო, იტალიელი მწვრთნელები ამბობენ.*

— და უკან ვინ მუშაობს?

— *უკან რიგობერტ სონგი მუშაობს.*

— და?

— *და „ლივერპული“ „ლივერპული“ აღარ არის.*

— აბა, რა არის?

— *კონგოა, იცი, კონგო?*

— ეგ ულიე ჯანზე ვერა ჩანს.

— *ელოდება. ნახავთო.*

— რას ელოდება?

— *ტიტი კამარა შეჰკრავს კამარასო.*

— მერე შეკრავს?

— *ეგ ბარგს შეკრავს და დაითესება მანდედან.*

— ულიე?

— *ულიეც.*

— ახლა ეს გამაგებინე. ბრაიან ლაუდრუპის ამბავი მართალია?

— *დიახაც.*

— რა დარჩენია „აიაქსში“?

— *ძმის ბუცები.*

— ნეტავ მიქაელიც მაგ ჩემოდანში გეჯდეს.

— *ბაჯოს გირჩევნია?*

— ორივეს ფიგუ მირჩევნია.

— *და გაზა?*

— რა გაზა?

— *ხომ გერჩივნა ყველას?*

— კაცო, შენ რა პრავაკაციაზე მოდიხარ!

— *რატომ?*

— აბა რა, პენსიონერებზე ლაპარაკში მიწვევ?

— *ეჰ, მაინც ვერ გავიგე რა გიდევს ჩემოდანში?*

— რა უნდა მედოს? ამაღამ ბათუმში მივდივარ.

# გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა

ბორის ბეკერისა და ნიკოლას კიფერის მეორე წრის მატჩს კინოში თითქმის ზუსტი ანალოგი გააჩნია — ვესტერნი „მსროლელი". მასში ლეგენდარულ გმირს, რომელსაც ჯონ უეინი თამაშობს, ახალგაზრდა და სახელის მძებნელი თავზეხელაღებულები უპირებენ მოკვლას, რათა ამით რეპუტაცია შეიქმნან.

მაგრამ ბებერი და ავადმყოფი მგელი იოლი სამიზნე სიცოცხლის ბოლოსაც არ არის...

მიზეზთა და მიზეზთა გამო თავისი უიმბლდონური კარიერის დასრულება სწორედ ნიკოლას კიფერთან მარცხით ბეკერს ყველაზე ნაკლებად სურდა.

ერთ დროს 22 წლის გერმანელი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის საუკეთესო მოწაფე იყო, მის მიერვე მემკვიდრედ შერაცხული. მაგრამ 1997-ში კიფერმა მწვრთნელად ბობ ბრეტი აიყვანა (ბეკერის ყოფილი მწვრთნელი), შარშან პირველად დაიჩივლა, დევისის თასზე თამაშისას ბორისი ხმას არ მცემდაო და ურთიერთობაში ბზარიც უფსკრულად იქცა.

მაისში კამათი სკანდალში გადაიზარდა. როდესაც მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა ტრავმა მოიმიზეზა და თამაშზე უარი განაცხადა, ნიკოლასმა მის შეცვლაზე უარი თქვა, ეგ ტრავმა მოგონილიაო. ბეკერის კომენტარი მოკლე და მეტყველი იყო — კიფერის ჰორიზონტი მის ფეხსაცმელებს ვერ გასცდებაო.

მატჩის წინა დღეს ბორისმა მომავალ მეტოქეს გამარჯობაზე არ უპასუხა — გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკაში მორიგი აბზაცი ჩაიწერა.

პირველ წრეში დიდი გაჭირვებით, სამი მატჩპოინტის გადარჩენის შემდეგ გამარჯვებულ ბორისს ცენტრალურ კორტზე შეკრებილი ერთგული ქომაგები გულში იქნებ წინასწარაც გამოეთხოვნენ, მაგრამ კოშმარულად შეხვედრა მათთვის და მათი კერპისთვის კი არა, კიფერისთვის წარიმართა.

ბეკერი ისე ირჯებოდა, თითქოს უკანასკნელად ტურნირი 10 წლის წინ კი არა, სულ რამდენიმე დღეა, მოეგო: აულებელი მოწოდებები, ბადესთან ზუსტი თამაში, უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმები. არ ყოფილა ძველი სისწრაფე და აკრობატული ნახტომები, მაგრამ ეს გამოცდილებამ და ინტუიციამ სრულიად აანაზღაურა.

მოწოდების დაკარგვის საფრთხეში მყოფ დიდ გერმანელს ბრეიკ-პოინტებზე თითქოს დაბარებულივით ეისები ჰქონდა მზად, თავად კი შესაძლებლობებს თითქმის ყოველთვის იყენებდა.

და პატარა გერმანელი? შესამჩნევად მონერვიულე კიფერი მიტყეპილ და კუთხეში დაყენებულ ურჩ მოწაფეს ჰგავდა, თითქოს წინააღმდეგობის გაწევისაც კი ეშინოდა.

მატჩი 6:4, 6:2, 6:4 მორჩა, მეტოქეებმა ბადესთან ერთმანეთს უსიტყვოდ, ცივად ჩამოართვეს ხელი, ცენტრალური კორტი კი, რომელსაც ერთ დროს ბეკერი თავის „ბინას" ეძახდა, ფეხზე წამოდგა.

„ეს ჩემი ბინა აღარ არის, ადრე იყო, მაგრამ პიტმა გასაღებები წამართვა — გაიღიმა ბორისმა პრესკონფერენციაზე — თუმცა, აქ მაინც შესანიშნავად ვგრძნობ თავს... კიფერმა წლეულს ისეც ბევრი რამ მოიგო. მერე რა, თუ ერთმანეთს არაფერი ვუთხარით. შეიძლება რამდენიმე კვირაში ლუდი ერთად მივირთვათ, მე უკვე პენსიონერი ვიყო, ის — საუკეთესო ათეულელი. რა პრობლემაა?"



ლინდსი დევენპორტი



ნიკოლას კიფერი

REUTERS ლონდონიდან

## მათ ჩრდილში ურჩევნიათ

უიმბლდონზე სენსაციებს დახარბებული ჟურნალისტები მთელ გვერდებს უძღვნიან ანა კურნიკოვას, ვინუს უილიამსს, მარტინა ჰინგისს, ანდრე აგასის. მაგრამ არიან ჩოგბურთელები, რომლებზედაც პირველი კვირის მანძილზე სიტყვასაც ვერ გაიგონებთ, მათ თავად ურჩევნიათ უხმაუროდ წინსვლა და თავს მხოლოდ მეოთხედფინალში ან გამარჯვების პირას მყოფნი შეგახსენებენ.

„ამას მიჩვეული ვარ, სულაც არ მწყინს, რომ ყურადღებას არ მაქცევენ. ზოგჯერ ეს შენთვისვეა კარგი — მიაჩნია მსოფლიოს მეორე ჩოგან ლინდსი დევენპორტს — კორტების ტერიტორიაზე რვა პირადი მცველი არ მჭირდება სასიარულოდ. შემიძლია, რაც მინდა, ის ვაკეთო, სადაც მინდა, იქ წავიდე, თანაც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ჩოგბურთელად დავრჩე. ნამდვილად არ მსურს, სხვების მსგავსად, გაზეთი გადავშალო და შიგ ჩემს პირად ცხოვრებაზე ათასი სისულელე ამოვიკითხო".

დევენპორტს უიმბლდონზე ჯერჯერობით არანაირი სირთული არ შეხვედრია, მეორე წრეში საკმაოდ ძლიერი მეტოქე — სლოვაკი კარინა ჰაბსუდოვაც გაანადგურა 6:2, 6:2 და მზიანი ამინდებით გამომშრალ კორტებზე თავს შესანიშნავად გრძნობს.

მესამე წრის საგზური გაინაღდა ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა იანა ნოვოტნამაც. 30 წლის ჩეხის უიმბლდონზე ასპარეზობა კოჭის ტრავმის გამო ერთხანს საეჭვო გახდა, მაგრამ სილვია პლიჩკესთან 6:3, 6:1 მოგებულ შეხვედრაში ამისი არაფერი ეტყობოდა.

„კოჭი ჯერჯერობით არ მაწუხებს. ცოტათი კი მტკივა მოძრაობისას, მაგრამ წარმატებები და უიმბლდონზე ყოფნით მიღებული სიამოვნება ყველაფერს ანაზღაურებს".

1996 წლის ჩემპიონის, რიჩარდ კრაიჩეკის შანსები მორიგ ტიტულზე წელსაც არ გამოიყურება ურიგოდ — ორი მატჩი, ორი მოგება, თანაც შარშანდელ ნახევარფინალისტ ტოდ ვუდბრიჯთან 7:5, 6:4, 6:4, მაგრამ ჰოლანდიელი თავსაც იტყუებს და ჟურნალისტებსაც თავგზას უბნევს:

„მე მთავარ ფავორიტებად ტიმ ჰენმანი და პიტ სამპრასი მიმაჩნია, გრეგ რეზეცკიც. ანდრე აგასისთან ვივარჯიშე და ისიც შესანიშნავად გამოიყურება. ვფიქრობ, მათ ჩემზე უკეთესი შანსები აქვთ".

**მეორე წრე. კაცები: პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:2, 7:6 (7:3), 6:7 (7:9), 6:2; ანდრე აგასი (4, აშშ) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:3, 6:4, 6:3; ტიმ ჰენმანი (6, ინგლისი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:4, 6:3, 7:6 (7:4); ტოდ მარტინი (8, აშშ) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 7:6 (7:5), 6:4, 6:4; გორან ივანიშევიჩი (10, ხორვატია) — სენდონ სტოლი (ავსტრალია) 7:6 (10:8), 6:4, 4:6, 6:4; გუსტავო კუერტენი (11, ბრაზილია) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:3, 6:3, 6:2; ტომი ჰაასი (14, გერმანია) — რიჩარდ ფრომბერგი 6:7 (4:7), 4:6, 6:4, 6:3, 6:2; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:1, 6:4, 4:6, 6:4; ტომას ენკვისტი (შვედეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:2, 6:4, 7:5**

**ქალები: ლაიზა რეიმონდი (აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (7, ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:1; მარი პირსი (9, საფრანგეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:1, 6:3; ჟული ალარი (11, საფრანგეთი) — სილვია ფარინა (იტალია) 6:2, 3:6, 8:6; ბარბარა შეტი (14, ავსტრია) — ალექსია დეშომ-ბალრე (საფრანგეთი) 6:7 (6:8), 6:3, 6:1; ტატიანა პანოვა (რუსეთი) — ნატაშა ზვერევა (16, ბელარუსი) 6:4, 7:5; ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — კატარინა სტუდენიკოვა (სლოვაკეთი) 6:0, 4:6, 8:6; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — ტარა სნაიდერი (აშშ) 6:4, 6:1.**

ავთანდილ სვანიძე

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

# გიყვარდეს მოყვასი შენი

საფრანგეთის ღია პირველობის მოგების შემდეგ მეცხრე ცაზე აფრენილი ანდრე აგასი ქვემოთ ჩამოსვლას ჯერაც არ აპირებს. თავდაჯერებული ამერიკელი უიმბლდონზეც წინ მიიწევს, თავის ინტერვიუში კი გულწრფელად საუბრობს თანამემამულე კოლეგებთან კონკურენციასა და ურთიერთობებზე



**— როგორია პარიზის თიხნარის მერე ბალახზე გადართვა?**

— როლან გაროსზე გამარჯვების შემდეგ ძნელია, თავდაჯერებული არ იყო, თანაც უიმბლდონზე ამოვისუნთქე, 12-15 დარტყმის ნაცვლად გათამაშებები 2-3-ში სრულდება და ისე აღარ ვიღლები. თუმცა განსხვავება სულ ეს არის. ისე კი, ყოველდღიურად უნდა გახვიდე კორტზე და დაამტკიცო, რომ უკეთესი ხარ, რაც იოლი სულაც არ არის.

**— ანდრე, გუშინ კურიეს საქომაგოდ ტრიბუნაზე თქვენმა გამოჩენამ ჯიმსაც და პიტ სამპრასსაც ათქმევინა, რომ ამჟამად ამერიკელ ჩოგბურთელებს შორის მხოლოდ სიყვარული სუფევს. გრძნობთ ამას?**

— კი, უეჭველად. უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენ ერთმანეთს ვქომაგობთ. უბრალოდ, გარკვეული მიზეზების, მოუცლელობის გამო ყოველთვის ვერ ვახერხებთ ტრიბუნაზე გამოჩენას.

**— გაგიკვირდათ, როდესაც პიტმა დაგირეკათ და როლან გაროსის მოგება მოგილოცათ? იგი ამბობს, რომ ადრე ეს არასოდეს გაუკეთებია...**

— სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, ძალიან გამიკვირდა.

**— კურიემ თქვა, რომ ამერიკელები ერთმანეთის მხარდაჭერაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებენ. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ეგ მართლაც კარგია. შეიძლება ახალგაზრდა ამერიკელებმაც ისწავლონ, რომ მეტისმეტ კონკურენციას სჯობს, ერთმანეთს დაეხმარნონ. ჩვენი თაობის დრო უკვე იწურება და უკვე იმდენად ბებრები ვართ, რომ დროა, მივხვდეთ, რა შესანიშნავი მოგონებები ვაჩუქეთ ერთმანეთს მე, ჯიმმა, პიტმა, მაიკლ ჩანგმა, ტოდ მარტინმა კორტსა თუ მის გარეთ. ახლა ვფიქრობ, რა კარგი იქნებოდა, რომ ეს ცოტა ადრეც შეგვეგნო.

**— რა იყო იმის მიზეზი, რომ ადრე ასე ახლოს არ იყავით ერთმანეთთან?**

— არა, აქ პირადული არაფერია. ჩვენ ჯგუფს — პიტს, ჯიმს, მაიკლს უამრავჯერ გვითამაშია ერთმანეთის წინააღმდეგ დიდი სლემის ტურნირის ფინალში, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, მე გაცილებით მეტ „მეიჯორს" მოვიგებდი. ასე რომ, ისინი ყოველთვის დიდი დაბრკოლება იყვნენ ჩემს გზაზე, მე კი — მათსაზე.

**— პრობლემა ის ხომ არ იყო, რომ როდესაც ბავშვობიდანვე ეჭიდრები ვინმეს,ქვეცნობიერად გრძნობ, თუ მოგება გინდა, იგი არ უნდა გესიმპატიურებოდეს? ძნელია, მეგობრებიც იყოთ და მეტოქეებიც?**

— უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი ჯგუფი მართლაც განსაკუთრებული რამ იყო — საუკეთესოთა ხუთეულში ოთხნი ვიყავით, ნებისმიერი დიდი ტურნირის მოსაგებად ერთმანეთი უნდა დაგვემარცხებინა. შენ შეიძლება მეორეს დიდ პატივს სცემდე, აფასებდე იმას, თუ როგორ თამაშობს, მაგრამ რაღაც დისტანცია მაინც უნდა დაიცვა. ვფიქრობ, ყოველთვის სჯობს, შენს ინტერესებზე იფიქრო, ამიტომაც ერთად სადილი, ან ლუდის დასალევად წასვლა გაუმართლებელია.

**— ჯიმს ტრიბუნებიდან გულშემატკივრობდით. აქ, უიმბლდონზე, სამპრასის ქომაგობასაც ხომ არ აპირებთ?**

— არა. პიტს არავის გულშემატკივრობა არ სჭირდება, ისეც ძალიან ძლიერია, ასე რომ, ამას არ ვაპირებ. თუმცა იმის თქმა არ მინდა, რომ მის მხარეზე არ ვიქნები. ძალიან გამიხარდება, თუ პიტი მეექვსედაც გახდება ჩემპიონი, თუ, რა თქმა უნდა, ფინალში მე არ მომიგებს.

**— რას იტყოდით თქვენს სავარაუდო შეხვედრაზე?**

— იქამდე საკმაო დროა, ახლა ამაზე საუბარი აბსურდულად მეჩვენება.

**— ანდრე, ჯიმს უკვე დიდი ხანია, იცნობთ. როგორი ურთიერთობა გაქვთ ამჟამად?**

— მკაცრად პლატონური (იცინის).

**— საძინებელ ოთახს აღარ იზიარებთ, არა?**

— ჯიმი მაშინ გავიცანი, როდესაც 13 წლისანი ვიყავით და სამხრეთ ფლორიდაში ერთად ვვარჯიშობდით. ჩვენ ერთმანეთის თვალწინ გავიზარდეთ, ერთმანეთს საკმაოდ მძიმე სიტუაციებშიც შევხვედრივართ და უდიდეს პატივსაც ვცემთ.

**— თქვენც იმის გაკეთებას ცდილობთ, რაც ბიორნ ბორგის შემდეგ არავის მოუხერხებია — ერთ სეზონში როლან გაროსის და უიმბლდონის მოგება. თქვენ თამაშის სტილიც ერთნაირი გაქვთ, უკანახაზელები ხართ. საგანგებოდ ხომ არ დაკვირვებიხართ, როგორ გადაერთვებოდა ხოლმე იგი ასე წარმატებით თიხნარიდან ბალახზე?**

— არა. ამ ხნის მანძილზე ჩოგბურთში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ბორგი ძალიან სწრაფი იყო და შეუდარებელი სიზუსტით გამოირჩეოდა, მეტოქეებს კი მის წინააღმდეგ თამაში ახლანდელზე პატარა და უარესი ჩოგნებით უხდებოდათ. ამიტომაც იყო მისი დამარცხება ასე ძნელი. ბორგი ახლაც რომ თამაშობდეს, ცოტა განსხვავებულ დონეზე და განსხვავებული საშუალებებით მაინც ძალიან ბევრს მიაღწევდა. მე ვცდილობ, მას დავემსგავსო ბრძოლისუნარიანობასა და სტაბილურობაში, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა.

**— პარიზში თქვენი გამარჯვების შემდეგ ანდრეი მედვედევმა განაცხადა, აგასის სრული უფლება აქვს, ამტკიცოს, რომ სამპრასზე ნაკლები შედეგებისთვის არ მიუღწევია დიდი სლემის ტურნირებზეო. რას ფიქრობთ ამაზე?**

— პირადად მე კამათი ნამდვილად არ მიყვარს. უსაზღვროდ მადლიერი ვარ, რომ ოთხივე „მეიჯორის" მოგება მოვახერხე, პიტიც, როდესაც თავის მიღწევებზე იფიქრებს, საკუთარი თავით იამაყებს. რაც შემეხება მე, ვფიქრობ, ჩოგბურთში კიდევ ბევრის გაკეთება შემიძლია, ასე რომ, ამაზე საუბარი მაშინ უფრო უპრიანი იქნება, როდესაც ჩვენ კარიერას დავასრულებთ. ჯერ საბოლოო სიტყვა არც ერთს არ გვითქვამს.

**— ანდრე, ამბობენ, რომ ბოლო ხანებში უფრო რელიგიური გახდით. მართალია?**

— როდინდელთან შედარებით?

**— ადრინდელთან.**

— ეს მართალი არ არის, ჩემს ცხოვრებაში რელიგიას ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა.

# ინტერვიუ ორ ხმაში



ირაკლი ლაბაძე ქართული ჩოგბურთის მომავალია. ეს არც ლამაზი სიტყვებია და არც გადაჭარბება: უიმბლდონის ფინალი, როლან გაროსის მეოთხედფინალი, იქვე წყვილებში გამარჯვება — ასეთი შედეგებისთვის ჩვენებურს იუნიორებში დიდი ხანია, აღარ მიუღწევია.
17 წლის თბილისელთან სასაუბროდ მისულს პრესკონფერენციის უკულმა ვარიანტში მონაწილეობის მიღება მომიხდა: თუ ჩვეულებრივ რამდენიმე ჟურნალისტის კითხვებს ერთი ჩოგბურთელი უპასუხებს, აქ საუბარში ირაკლის მამა — ბატონი გივიც მონაწილეობდა. ასე რომ, რიცხობრივ უმცირესობაში სულ სხვა მხარე აღმოჩნდა.

**— ირაკლი, მარჯვენა ხელი შეხვეული გაქვს, როდის დაიშავე?**

— ტკივილი პირველად როლან გაროსის მეოთხედფინალში ვიგრძენი (რომელშიც ირაკლი საბოლოოდ გამარჯვებულ გილერმო კორიასთან დამარცხდა), მაგრამ მაშინ იმდენად არ მაწუხებდა, რომ წყვილებში თამაშზე უარი მეთქვა. მე ხომ ცაცია ვარ და ტრავმა მხოლოდ ორი ხელით ბექჰენდის დარტყმისას მახსენებდა თავს. მირჩიეს, რამდენიმე დღე დამესვენა. თითქოს მოვრჩი და უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირზეც ვითამაშე, მაგრამ ამან ტრავმა კვლავ უფრო გამირთულა. მაჯაში ძვლებია დაშორებული თუ რაღაც ამგვარი, თბილისში ასკურავასთან ვმკურნალობ, იმედია, ორ-სამ კვირაში ვარჯიშსაც შევძლებ.

**— თბილისში წელიწადში სულ რამდენიმე კვირით ჩამოდიხარ-ხოლმე. ამჟამად სად ცხოვრობ და ვარჯიშობ?**

— უკვე სამი წელია, ფლორიდაში ვარ, სადელბრუქის გოლფისა და ჩოგბურთის აკადემიაში, მანამდე კი გერმანიაში ვცხოვრობდი. ისე, ერთ ადგილზე იშვიათად მიწევს ყოფნა, ტურნირების გამო ხან ევროპაში ვმოგზაურობ, ხან სად და ხან სად.

**— მწვრთნელი ვინ არის?**

— ადრე მამაჩემი იყო...

გ.ლ: თავად მოვიხსენი ეს ვალდებულება. კორტსგარეთ ჩვენ კამათი არ მოგვდის, მაგრამ როდესაც თამაშზე რაიმეს ვუხსნი, არ მიჯერებს ხოლმე. აქამდე რომ ჩემთვის დაეჯერებინა, გაცილებით წინ იქნებოდა.

**— იქნებ, წინ კი არა, უკან ვყოფილიყავი.**

გ.ლ: მოკლედ, ვარჩიე, უცხო მწვრთნელი აგვეყვანა, პროფესიონალი, რადგან აკადემიაში ვარჯიშითაც მაინცდამაინც კმაყოფილი არა ვართ. ჯერ რუსი გვყავდა, ახლა ამერიკელი. როლან გაროსსა და უიმბლდონზეც განზრახ არ გავყევი, რომ ამას მიჩვეოდა.

**— კლასიფიკაციაში 308-ე ადგილი 17 წლის ასაკში ჩინებული შედეგია. საჭირო ქულები სად დააგროვე?**

— პროფესიონალებში ასპარეზობა მხოლოდ შარშან დავიწყე, თურქეთსა და საბერძნეთში სატელიტებზე მეშვიდე და მესამე ვიყავი. წლეულს შეერთებულ შტატებში ორი ტურნირის ფინალში გავედი.

**— ATP-ის რაიმე მექანიზმი თუ გააჩნია ახალგაზრდა ჩოგბურთელების დასახმარებლად? ვთქვათ, „უაილდ ქარდი" რომ გამოგიყონ?**

— არა, ყველაფერი მენეჯერების მარიფათზე, ნაცნობობაზე, ეროვნებაზეა დამოკიდებული. ვთქვათ, იგივე ფედერერი, რომელთანაც უიმბლდონის ფინალში წავაგე, უკვე ათზე მეტ ტურნირზე მიიწვიეს, მათ შორის დიდი სლემისაზეც. იგი საუკეთესო ჩოგბურთელებთან პაექრობით გამოცდილებასაც იძენს და ამდენი წვალებაც არ სჭირდება ქულების დასაგროვებლად, შვეიცარიაშიც სულ გარანტირებული აქვს თამაში.

გ.ლ: ჩვენს სამენეჯერო კომპანია „პროსერვს" იქნებ ძალიანაც უნდა ჩვენი დახმარება, მაგრამ ეს იოლი არ არის. უცხოეთში ტურნირების ორგანიზატორებს სურთ, ადგილობრივ ახალგაზრდებს შეუწყონ ხელი. ქართველი ლაბაძე მათთვის არაფერს ნიშნავს.

**— აბა, ორლანდოში ATP-ის ტურნირზე როგორ მიგიწვიეს „უაილდ ქარდით"?**

გ.ლ: მენეჯერს ვუთხარი, რომ ბოლოს და ბოლოს რაიმეთი თუ არ დაგვეხმარებოდა, კონტრაქტზე უარს ვიტყოდით და ამან გაჭრა.

— ისე, ბოლომდე არ ვიცოდი, იქ თუ ვითამაშებდი. ტურნირი სამშაბათს იწყებოდა და ამის შესახებ მხოლოდ შაბათს შეგვატყობინეს, წესიერად მომზადებაც კი ვერ მოვასწარი.

**— მაგრამ პირველ წრეში საუკეთესო ასეულელ ალბერტო მარტინთან გამარჯვებასთან ახლოს იყავი, არა?**

— კი, მატჩ-პოინტიც კი მქონდა მესამე სეტში 6:5-ზე, მაგრამ ბექჰენდით ქულის სწრაფად მოგება მოვინდომე და სულ ცოტათი ავაცილე გვერდით ხაზს.

**— როგორც გავიგეთ, პიტ სამპრასთან გითამაშია. კარგად იცნობ მას?**

— პიტს როლან გაროსის დაწყებამდე თიხნარზე ვარჯიში სურდა. ორი სეტი ვითამაშეთ და ორივე ერთნაირი ანგარიშით, 4:6 წავაგე. ისე, სამპრასი ისეთი კაცია, მაინცდამაინც ბევრი საუბარი არ უყვარს.

**— ცნობილი ჩოგბურთელებიდან ვისთან გაქვს კარგი ურთიერთობა?**

— ჯენიფერ კაპრიატისთან, ანა კურნიკოვასთან. კაპრიატი აკადემიასთან ახლოს ცხოვრობს და ხშირად ვვარჯიშობთ ერთად, ძალიან გულღია და მხიარული ვინმეა. კურნიკოვას კი ბავშვობიდან ვიცნობ. ბოლოს როლან გაროსზე შევხვდით. მითხრა, მამაშენი სად არის, რატომ არ ჩამოგიყვანიაო.

**— ვინ არის ლოვრო ზოვკო, ვისთან ერთადაც როლან გაროსის წყვილები მოიგე?**

— ჯერ კიდევ გერმანიიდან ვიცნობ, ახლა კი ისიც ფლორიდაში ცხოვრობს. თუმცა ჩვენს გარდა ჩვენი მამებიც მეგობრობენ და ერთად თამაშის ამბავიც სწორედ მათ მოითათბირეს.

**— ჩოგბურთელი ქალები ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ, თქვენთან როგორაა საქმე?**

— ჰო, ქალები მართლაც ძალიან მტრობენ ერთმანეთს, კორტზე, ინტერვიუს დროსაც კი ხშირად ილანძღებიან. ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება. რა თქმა უნდა, ყველასთან კარგად ვერ იქნები, მაგრამ მეგობარიც ბევრი მყავს.

**— კაცების ჩოგბურთში დონე ძალიან გათანაბრდა. ვთქვათ, უიმბლდონზე კლასიფიკაციაში მესამე ასეულელმა ვინმე პარადორნ სრიჩაპანმა კინაღამ ევგენი კაფელნიკოვი იმსხვერპლა მეორე წრეში. გრძნობ, რომ შენც ახლავე შეგიძლია საუკეთესოებთან პაექრობა?**

— სრიჩაპანმა? ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ, ატლანტაში ტურნირის დროს სასტუმროში ჩვენს ნომერში ეძინა უფულობის გამო. ისე, ორჯერ დავამარცხე. ჰო, კაცების ჩოგბურთში ძალიან დიდი კონკურენციაა. სანამ სამპრასს ვეთამაშებოდი, ვფიქრობდი, ოო, სამპრასი, ამას რა მოუგებს-მეთქი. მაგრამ რომ ვეთამაშე, რა, არაფერი. მოწოდებაც არ ჰქონია ისეთი საშინელი, როგორიც მეგონა. ტელევიზორში ორმაგად სწრაფი ჩანს.

**— თავად როგორ აწოდებ?**

— რეკორდი დაახლოებით 210 კილომეტრ-საათია, ისე, პირველ მოწოდებას სტაბილურად 200-ის ფარგლებში ვურტყამ, ბოლო ერთი წელია, ჩაგდების პროცენტიც ავიმაღლე.

**— ჯერჯერობით საკუთარი მიღწევებით კმაყოფილი ხარ? უახლოეს მომავალში რა გაქვს დაგეგმილი?**

— არ ვიცი. ვფიქრობ, მეტის მიღწევაც შემეძლო. კარგია, ამ წლის ბოლოს კლასიფიკაციაში 110-ე—120-ე ადგილზე თუ ვიქნები, მთავარია, ტრავმა დროულად მოვირჩინო და ამისთვის სამი-ოთხი ხეირიანი ტურნირიც კმარა.

გ.ლ: ეს ძალიან ძნელია. უფრო რეალური ამ სეზონში სადღაც მეორე ასეულის ბოლოში მოხვედრაა.

— ასეა, არ მიჯერებს. არადა, შემიძლია და იმიტომ ვამბობ.

**— ბევრს ვარჯიშობ? ხომ არ გეზარება?**

— ყოველდღიურად ოთხ საათს კორტზე და ერთსაც ისე...

გ.ლ: ერთი-ორი წლის წინ აუტანელი იყო, არაფრის გაკეთება არ უნდოდა და ყველაფერი ეზარებოდა. ახლა კიდევ არა უშავს.

**— თავისუფალ დროს რით ერთობი?**

— ჩოგბურთის გამო თითქმის არაფრისთვის მრჩება დრო. ძალიან მიყვარს გოლფის თამაში, რასაც კვირას, დასვენების დღეს ვახერხებ. ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ჩვენს აკადემიაში უფასოდ გვათამაშებენ. ისე, იქაურმა გოლფის მწვრთნელმა თავიდან მითხრა, შენზე უნიჭო მეგოლფე ცხოვრებაში არ მინახავსო.

**— შერეულ წყვილებში სათამაშოდ რომელ ქალ ჩოგბურთელს აირჩევდი?**

— შერეული წყვილები არაპრესტიჟული რამეა, ან მარტო ვეტერანები თამაშობენ, ანაც ისინი, ვისაც ერთეულებში არაფრის მიღწევა არ შეუძლია.

**— და მაინც?**

— რა ვიცი... ან კურნიკოვას ან მარტინა ჰინგისს.

**— დაბოლოს, ირაკლი, საქართველოს დევისის თასის გუნდს ძალიან სჭირდები. საგაისოდ მის დახმარებას არ აპირებ?**

— ვფიქრობ, მარტო ერთი ჩოგბურთელის ხარჯზე აქ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა შეუძლებელია, იქნებ ცოტა ზევით ავინაცვლოთ ლიგაში, მაგრამ მეტი არაფერი. ისე, თუ რაიმე დიდ ტურნირს არ დაემთხვა, საწინააღმდეგო არაფერი მექნება.

გ.ლ: ადრე ჩვენ არ გვინდოდა გუნდში თამაში, რადგან ჩოგბურთის ფედერაციის ძველ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გვქონდა. დახმარებას რომ თავი დავანებოთ, ირაკლისთვის წარმატებები ერთხელაც კი არ მოულოციათ, თუნდაც ტელეფონით. რაც ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი გახდა, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ეს პრობლემა აღარ არსებობს. ირაკლი, თუ რაიმე არ შეუშლის ხელს, გუნდში იქნება.

**ავთანდილ სვანიძე**



# სენსაცია არ იქნება
## დანდობა — შეიძლება

მეათე ტური
**ანონსი**

თბილისი. 26 ივნისი
**ლოკომოტივი 1 — უნივერსიტეტი**
ქუთაისი. 26 ივნისი
**აია — ასკ**
თბილისი. 27 ივნისი
**ყოჩები — რუსთავი**
ბათუმი. 27 ივნისი
**დათვები — ლოკომოტივი 2**

ამ უქმეებზე გასამართი ტური რიგით მეათე და ამავე დროს მეორე წრის პირველი ტურიცაა. ერთი სიტყვით დღეს ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე იწყება. პირველობის ფინალურ ეტაპზე გამსვლელი ოთხი გუნდიდან სამი ცნობილია — „დათვები", „ლოკომოტივი 1" და „ყოჩები". აი, კი კიდევ კარგა ხანს არ გაირკვევა. საამისოდ მებრძოლი ორი გუნდიდან ერთი — „ზორდა" ამ ტურში ისვენებს, რაც შეეხება მეორეს — არმიელთა გუნდს — იგი ქუთაისს სტუმრობს.

როგორი ჟინით და მონდომებით თამაშობენ ქუთათურები შინ, წინა ტურში ზორდელებმა საკუთარ თავზე იწვნიეს, როცა პირველი ტაიმის 0:8 წაგების შემდეგ რის ვაი-ვაგლახით შეძლეს მატჩის შემობრუნება და გამარჯვების მოპოვება. ამიტომაც არმიელებს მათთვის სასურველი შედეგის მისაღწევად დიდი ოფლისღვრა დასჭირდებათ. არადა, ერთი წაფორხილებაც კი ასკ-ს შესაძლოა მეოთხე ადგილის დაკარგვად დაუჯდეს. პირველ წრეში ამ გუნდების თბილისური შეხვედრა 34:17 მასპინძლებმა მოიგეს. რა მოხდება ამჯერად, ძნელი გამოსაცნობია. მცირე უპირატესობა, ვფიქრობთ, ასკ-ს მხარესაა, თუმცა ქუთაისელებისგან ნებისმიერ მატჩშია მოსალოდნელი სიურპრიზი, მით უმეტეს, როცა შინ თამაშობენ.

რაც შეეხება ოთხეულში მოხვედრილ სამეულს, ამ ტურში ყველა შინ ითამაშებს — „დათვები" „ლოკომოტივის" მეორე გუნდს დაუხვდებიან, უფროსი რკინიგზელები უნივერსიტეტს, „ყოჩები" კი — „რუსთავს". ვფიქრობთ, სამივე მატჩში გამარჯვებული წინასწარვეა ცნობილი, ერთადერთი შეხვედრა, რომელშიც კაცი შეიძლება რაღაცას ელოდო, „ლოკომოტივი 1" — უნივერსიტეტის დაპირისპირებაა. არა, არავითარი სენსაცია არ მოხდება, უბრალოდ, ანგარიშში სხვაობა არ იქნება იმდენად დიდი, როგორიც დანარჩენ ორ მატჩში. ასე იყო პირველ წრეში და ასევე იქნება ახლაც, თორემ სტუდენტები რომ უფროს რკინიგზელთა მძლეველნი არ არიან, ამას რა მტკიცება სჭირდება. პირველ წრეში ამათი შეხვედრა 40:3 დასრულდა „ლოკომოტივის" სასარგებლოდ. შედარებისთვის: პირველ წრეში „ლოკომოტივი 2" და „დათვების" შეხვედრაში 54:0 ბათუმელებმა იმარჯვეს, „ყოჩებმა" კი სულაც 76:0 მოუგეს რუსთავს. ასეთივე სოლიდური იქნება სხვაობა ამჯერადაც, ოღონდ მეტი თუ ნაკლები, მთლიანად მასპინძლებზე და იმაზეა დამოკიდებული, რამდენად დაინდობენ ისინი სტუმრებს.

**ბაატა თოთაძე**

# ბათუმელებთან გასაყოფი რა მაქვს?

## ლევან მგელაძე:
## მე ჯიუტი კაცი და ობიექტური მსაჯი ვარ

ვინ არის და რას წარმოადგენს ლევან მგელაძე ქართული სარაგბო სამყაროში, სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ. ბოლო ორი კვირა კი მისი სახელი ერთგვარ სკანდალთან იგივდება. საქმე ეხება „დათვები" — „ლოკომოტივი 1"-ის გახმაურებულ მატჩს, რომელსაც ლევან მგელაძე სჯიდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუმელთა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ მსაჯობა ტენდენციურად და არაკვალიფიციურად შეაფასა. ლევან მგელაძემ ბრალდება მაშინვე უარყო და ორივე გუნდის წარმომადგენლებს ვიდეოჩანაწერის განხილვა შესთავაზა. განხილვამ, რომელიც კვირას რაგბის კავშირში გაიმართა მგელაძე უდანაშაულოდ ცნო, ანუ იქ დამსწრე სარაგბო სამყაროს წარმომადგენლებმა მსაჯის მოქმედებაში საეჭვო ვერაფერი დაინახეს. თუმცა, ამის მიუხედავად, „დათვების" მწვრთნელმა აზრი არ შეიცვალა. „ლოკომოტივის" თავკაცმა თემურ ბენდიაშვილმა კი მსაჯობაზე საუბარს საერთოდ აარიდა თავი. მწვრთნელები მწვრთნელებად, მაგრამ ვფიქრობთ, უპრიანი იქნება თავად ლევან მგელაძეს მოვუსმინოთ:

— ვინც იმ თამაშს უყურა, თავადაც ნახა, რა დაძაბული ბრძოლა იყო. ცხადია, ასეთ ვითარებაში მსაჯს უჭირს მატჩის განსჯა და შესაძლოა შეცდომებიც დაუშვას. რაც შეეხება იმდღევანდელ მსაჯობას, ვიდეოფირის ნახვამდეც დარწმუნებული ვიყავი ჩემს უდანაშაულობაში. მე ადრეც მითქვამს და ბათუმშიც განვაცხადე, რომ ჩემი მხრიდან ტენდენციურობა, ვინმესადმი მიმხრობა გამორიცხულია. ყველანი ქართველები ვართ, ყველანი ის ხალხი ვართ, ვისაც რაგბი ძალიან უყვარს და ჩვენთან ასეთი რამ შეუძლებელია. ცუდი ის კი არ არის, ტენდენციურობასა და არაკვალიფიციურობაში რომ დამდეს ბრალი, არამედ ის არის, რომ რაგბიზე შეყვარებულ კაცს გულს მტკენენ და ადვილი შესაძლებელია რაგბიში საქმიანობას თავი დავანებო. როგორც იცით, „დათვები"—„ლოკომოტივი 1"-ის მატჩის ვიდეოფირი რაგბის კავშირში ნახეს. იქ ისეთი ხალხი იყო, ვისაც სიტყვა ეთქმის სარაგბო სამყაროში და ყველამ აღნიშნა, რომ მსაჯობა ნორმალური იყო.



ლევან მგელაძე

**— მაშ, რამ გამოიწვია ბათუმელთა უკმაყოფილება?**

— ამ გუნდში და საერთოდ, აჭარაში რაგბის განსავითარებლად ძალიან დიდი თანხებია ჩადებული, ამიტომაც პირველობა რომ ვერ მოიგონ, შესაძლოა ფინანსური დახმარება შეუწყდეთ, ის, რასაც მორაგბეთა ხელფასი ჰქვია. მოთამაშეებმა იქ რაგბი პროფესიად გაიხადეს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ხომ არ შეიძლება, ყოველთვის მოიგო?

**— იმედია, ბათუმელთა წყენას არ ჩაიდებთ გულში.**

— არა, რა თქმა უნდა. ისინი თავად მიხვდებიან, რაც ჩაიდინეს. ერთს ვიტყვი — ჯიუტი კაცი ვარ და თუ ვიტყვი, რომ „დათვების" თამაშს, აღარ ვიმსაჯებ მერწმუნეთ, ასეც იქნება, აკი ადრეც განვაცხადე, რომ „გუმარის" მატჩებს არ ვიმსაჯებდი და სიტყვაც შევასრულე.

**— ალბათ, საქმე აქამდე არ მივა.**

— ღმერთმა ინებოს. მე ბათუმელებთან გასაყოფი არაფერი მაქვს. ვმსაჯობ ისე, როგორც ვიცი და შემიძლია.

**ლაშა თვაური**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინტერტოტო. I ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 26.06 | ნარვა (ესტონეთი) — იოკერიტი (ფინეთი) | (10,0-1,02) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ფლორიანა (მალტა) — აბერისტუითი (უელსი) | (1,15-4,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ბაზელი (შვეიცარია) — კოროტანი (სლოვენია) | (1,15-4,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ტრენჩინი (სლოვაკეთი) — პობედა (მაკედონია) | (2,0-1,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ჟილინა (სლოვაკეთი) — ჰერფოლგე (დანია) | (1,02-10,0) | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| | ვენტსპილსი (ლატვია) — ვალერენგა (ნორვეგია) | (4,0-1,15) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ტილიგული (მოლდოვა) — პოლონია (პოლონეთი) | (25,0- —) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | არარატი (სომხეთი) — ბაკაუ (რუმინეთი) | (1,5-2,0) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | სტ. ტრუიდენი (ბელგია) — სპარტაკი (ბულგარეთი) | (1,02-10,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ვარტექსი (ხორვატია) — ვიტებსკი (ბელარუსი) | (1,01-15,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | ვაშაში (უნგრეთი) — უნიონი (ლუქსემბურგი) | (— -25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | ნიური (ჩრდ. ირლანდია) — დრაგოვოლიაცი (ხორვატია) | (4,0-1,15) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | გოტუ (ფარერები) — იედინსტვო (ბოსნია) | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ტეუტა (ალბანეთი) — აკრანესი (ისლანდია) | (25,0- —) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | კოლხეთი (საქართველო) — ცემენტარნიცა (მაკედონია) | | ანგარიში — 5,0 | | |
| | ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — მაკაბი (ჰაიფა) | (1,6-1,8) | 3,3 | 3,0 | 1,9 |
| 27.06 | ქსამაქსი (შვეიცარია) — შელბურნი (ირლანდია) | (1,15-4,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | გომელი (ბელარუსი) — ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) | (2,5-1,35) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ეკრანასი (ლიტვა) — ჩაჰლაული (რუმინეთი) | (2,0-1,5) | 2,0 | 3,0 | 3,1 |
| | ჰალმსტადი (შვედეთი) — რუდარი (სლოვენია) | (1,2-3,5) | 1,35 | 3,8 | 7,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პლეი ოფი. I მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.06 | სევილია — ვილიარეალი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | რაიო ვალეკანო — ესტრემადურა | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.06 | ტორპედო — ჩერნომორეცი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | სატურნი — როტორი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ჟემჩუჟინა — ცსკა | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| | ლოკომოტივი — სპარტაკი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | დინამო — ზენიტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | კრილია — შინიკი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ალანია — ურალანი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ნ. ნოვგოროდი — როსტსელმაში | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.06 | ოდ გრენლანდი — რუსენბორგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 27.06 | ლილესტრიომი — მოლდე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | მოსი — ბრანი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | სკეიდი — ბოდო გლიმტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ტრომსო — სტრომგოდსეტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სტაბეკი — ვიკინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### შვედეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.06 | ტრელებორგი — იორგრიტე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 28.06 | იურგარდენი — მალმიო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | გიოტებორგი — იორებრო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ელფსბორგი — ფრიოლუნდა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ნორჩიოპინგი — აიკ | 3,5 | 2,8 | 2,0 |

### ესპანეთის თასის ფინალი. (სევილია)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.06 | ვალენსია — ატლეტიკო | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი. III ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.06 | ნორვეგია — იაპონია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | კანადა — რუსეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| | ჩინეთი — ავსტრალია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | განა — შვედეთი | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| 27.06 | ნიგერია — დანია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | გერმანია — ბრაზილია | 2,5 | 2,2 | 2,5 |
| | მექსიკა — იტალია | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| | აშშ — კორეა | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.06 | ესპანეთი — საფრანგეთი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | სლოვენია — იუგოსლავია | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| | რუსეთი — ისრაელი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ლიტვა — თურქეთი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ჩეხეთი — ხორვატია | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| | იტალია — გერმანია | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### ფორმულა 1. VII ეტაპი. საფრანგეთი. მანი-კური

| | პილოტები | (I ად; I-VI ადგ) | |
|---|---|---|---|
| 27.06 | ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 2,0 | 1,3 |
| | მ. შუმახერი (გერმანია, ფერარი) | 2,0 | 1,2 |
| | ირვინი (ირლანდია, ფერარი) | 4,0 | 1,4 |
| | კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 5,0 | 1,5 |
| | ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი) | 15,0 | 1,7 |
| | ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) | 20,0 | 2,2 |
| | რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი) | 20,0 | 2,0 |
| | ბარიჩელო (ბრაზილია, სტიუარტი) | 30,0 | 2,5 |
| | ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი) | 30,0 | 2,5 |
| | ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი) | 30,0 | 2,5 |
| | ვილნევი (კანადა, ბარ) | 20,0 | 2,0 |
| | ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი) | 20,0 | 2,0 |
| | ძანარდი (იტალია, უილიამსი) | 40,0 | 3,0 |
| | ვურცი (ავსტრია, ბენეტონი) | 40,0 | 3,0 |
| | პანი (საფრანგეთი, პროსტი) | 30,0 | 2,5 |
| | ტრული (იტალია, პროსტი) | 40,0 | 3,0 |
| | დინიცი (ბრაზილია, ზაუბერი) | 40,0 | 3,0 |
| | *ნებისმიერი სხვა მონაწილე (თითოეული)* | *70,0* | *5,0* |

### გუნდებს შორის გამარჯვებული

| | |
|---|---|
| ფერარი | 1,8 |
| მაკლარენი | 1,8 |
| ჯორდანი | 4,0 |
| ბენეტონი | 8,0 |
| უილიამსი | 8,0 |
| სტიუარტი | 10,0 |
| ზაუბერი | 12,0 |
| პროსტი | 12,0 |

*ნებისმიერი სხვა მონაწილე (თითოეული) — 15,0*

*პირველი სამეული დაკავებული ადგილების მიხედვით — 10,0*

**ფორმულა 1-ის კოეფიციენტების გადამრავლება სპორტის სხვა სახეობებზე არ შეიძლება.**

**ერთმანეთზე შეიძლება მხოლოდ ექვსეულში მოხვედრის კოეფიციენტები გადამრავლდეს (არაუმეტეს ექვსისა)**

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა (მოსკოვი) | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0*

### ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0*

### უეფას თასი

UEFA CUP

#### რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 30,0 |
| იუგოსლავია | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა ქვეყანა (თითოეული) 100,0*

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტესი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მ) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 25,0 |
| პაოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*ნებისმიერი სხვა გუნდი (თითოეული) 100,0*

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*უეფას თასზე იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჭიდაობის პროფესორი“ კვლავაც მხნედ არის

# ის დროც მოვა...

## დღეს და ხვალ სპორტის სასახლე ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირს უმასპინძლებს

ამ კვირაში თბილისის სპორტის სასახლეს მოცლა არა აქვს — ოქტაგონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირმა შეცვალა. ამას კალათბურთელთა ჩემპიონატის პლეი ოფი მოჰყვა, დღეს და ხვალ კი ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთშორისო ტურნირი გაიმართება თავისუფალ ჭიდაობაში.

ეს ტურნირი წლეულს ოცდამეჩვიდმეტედ ეწყობა. 90-იან წლებში მონაწილეთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. გართულებული ვითარების გამო ერთხანს აღარც ტარდებოდა, მაგრამ 1996 წელს განახლდა. ტურნირის პრესტიჟი, მოგეხსენებათ, მით უფრო მაღალია, რაც მეტი სახელოვანი ფალავანი ჭიდაობს. ისინი კი იმ ასპარეზობებს ეტანებიან, სადაც დიდი საპრიზო ფონდია. ამ მხრივ ჩვენი ტურნირები ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. აქ დიდი-დიდი გამარჯვებული ფერადი ტელევიზორით დააჯილდოვონ. არც ამისთვის და არც ბროლის თასებისთვის არავინ ჩამოგვივა. წლეულს არც ჩატარების ვადაა ხელსაყრელი — ის მახაჩყალის დიდსაპრიზოფონდიან კომერციულ ტურნირს ემთხვევა. ჰოდა, ვისაც კავკასიაში სტუმრობა სურს, ჩვენს დედაქალაქს ლეკებისას ამჯობინებს.

თბილისში კი სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და რუსეთის გუნდები გვეწვივნენ. ოღონდ რუსეთის სახელით ჩრდილოეთ ოსეთის ნაკრები ჩამოვიდა. მასპინძლების ჩათვლით ხალიჩაზე სულ 90 ფალავანი გამოვა. მაგრამ მთავარი ხომ ხარისხია და არა რაოდენობა. ამ მხრივ კი გულს ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების რამდენიმე პრიზიორი თუ დაგვიმშვიდებს. ამჯერად სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ ნახავთ ისეთ ფალავნებს, ყოველწლიურად რომ ამშვენებდნენ ჩვენს ტურნირს. რად ღირს თუნდაც დეივ შულცის, აბდულა მოვაჰედის, სერგეი ბელოგლაზოვის, ანვარ ჰეიდარის, ავირ ხოდაბანდის, სანასარ ოჰანესიანის, ალექსანდრ მედვედის და სხვათა სახელები. ჩამოთვლის ქვეყნებზე ბარე უფრო მეტი (ბევრად მეტიც) ეკადრებოდა „ჭიდაობის პროფესორად“ წოდებულ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ვახტანგ ბალავაძეს, მაგრამ რას ვიზამთ! ჩვენი რეალობა ასეთია. მაგრამ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ქალაქის სპორტის სამმართველოს ხელმძღვანელთა მტკიცებით, მისი ჩატარებაც კი დიდი საქმეა. ჩვენთვის ხომ მთავარია, ჭიდაობის საერთშორისო ფედერაციამ არ გაგვიუქმოს ტურნირი. იცის ამ ხალხმა, რომ გაისადაც ასეთივე გაჭირვებით ჩაატარებენ შეჯიბრს, ერთხანს კიდევ გაგვიძნელდება, მაგრამ მაინც ინახავენ მომავლისთვის. ვინ იცის, რამდენიმე წლის მერე რა იქნება. იქნებ ოდესმე ძველი სახელიც დაიბრუნოს...

ტურნირებს მოკლებული ჩვენი მოჭიდავეები მზადების ამ შინმოსულ შანსს ხელიდან აბა, როგორ გაუშვებენ და ისინიც თითქმის უძლიერესი შემადგენლობით გამოვლენ. არ იქნებიან მხოლოდ ახალგაზრდული ნაკრების წევრები და დავით პოლოსიანი. ახალგაზრდები ამ დღეებში რიგაში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში გამოდიან, პოლოსიანმა კი ოპერაცია გაიკეთა. მან წვრთნა ამ ცოტა ხნის წინ განაახლა და ჯერ მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობს.

უეჭველია, ტურნირზე ყურადღების ცენტრში თავად 73 წლის ვახტანგ ბალავაძე მოექცევა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონობის გარდა მკერდი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთი ვერცხლითა და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლითაც რომ დაუმშვენებია. როცა იგი ჭიდაობდა, მაშინ ევროპის ჩემპიონატები არ ტარდებოდა. არავინ იცის, რამდენი დაკარგა ამით პირადად ბატონმა ვახტანგმა და მთლიანად ჩვენმა ჭიდაობამ. თუ ზემოჩამოთვლილ მედლებს ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებულ არაერთ ჯილდოს დავუმატებთ, ვახტანგ ბალავაძის ღვაწლიც ნათელი გახდება.

**ირაკლი თავაძე**

# ადეიშვილმა ჭოჭუა მოიპოვა ჭოჭუამ — ოქრო

**თბილისელმა ირაკლი ჭოჭუამ ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელთა“ ევროპის ჩემპიონატზე 54 კგ წონაში ოქროს მედალი მოიპოვა. იგი ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია, მაგრამ წლეულს მისგან ევროპის ჩემპიონობას მაინც არ ელოდნენ. ბუდაპეშტში, კონტინენტის პირველობაზე წასვლამდე მწვრთნელები მას მესამე ადგილს უგეგმავდნენ, მან კი გადააჭარბა**



ევროპის ჩემპიონობა ჯერჯერობით მისი ყველაზე დიდი, მაგრამ არა ერთადერთი ტიტულია. ახალგაზრდების შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. წლეულს კი საქართველოს პირველობაზე ორჯერ ვერცხლს დაეუფლა — დიდებში და ახალგაზრდებში, ოღონდ 58-ში. ამათგან გამოსარჩევი დიდებში ნაჩვენები შედეგია, სადაც ირაკლიმ გაცილებით გამოცდილები და უფროსები დაამარცხა.

რაკი თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი ვერ გახდა, თითქოს ბუდაპეშტში წასვლის იმედსაც უნდა გამომშვიდობებოდა. მაგრამ აქ თავისი სიტყვა თქვა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ადეიშვილმა. ის კარგად იცნობს ჭოჭუას შესაძლებლობებს, მისი ყოველთვის სჯეროდა და ამიტომაც დაიჟინა. ირაკლიმაც საკონტროლო შეხვედრა მოიგო და ნაკრებშიც მოხვდა. მოკლედ, მწვრთნელმა საქართველოში „იჭიდავა“, ჭოჭუამ — უნგრეთში, თანაც ჩინებულად — ყველას აჯობა და ღირსეულად იჩემპიონა. თანაც მინიმალური სხვაობით მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო, დანარჩენები — აშკარა უპირატესობით, წმინდად. ფინალში 0:4 გაამათილა. მაგრამ როგორ — მეტოქე მოგვერდით სუფთაზე დააწვინა.

— ბუდაპეშტში გუნდის გამოსვლით კმაყოფილები ვართ. რაც გაგვიკეთეს, როგორც მოგვამზადეს, იმის შესაფერისად კი გამოვედით. არადა, ევროპამდე ორი შეკრება გავიარეთ და ისიც მწვრთნელ ვლადიმერ ადეიშვილის დიდი ბრძოლით. აგვისტოს ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატია. ვნახოთ, მისთვის როგორ მოგვამზადებენ.

**— ევროპის ჩემპიონობა ორი შეკრებით მოიპოვეთ. ეს რომ საკმარისი იყოს, მაშინ ყველა მიაღწევდა ასეთ შედეგს. ამიტომ რაც გაგიკეთეს, ცოტა იმაზე მეტსაც ხომ არ მიაღწიეთ?**

— ასეც შეიძლება ითქვას, მაგრამ ეს გუნდსაც ეხება. ჩვენ ორი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი ჩამოვიტანეთ. ასეთი შედეგი კი კარგა ხანია, ევროპაზე არ ყოფილა. ამდენს არც მოელოდნენ და ყველას გაუკვირდა.

**— ევროპულ მედლებს რომ გაუშინაურდით, კარგია, მაგრამ მსოფლიოსი?**

— წინასწარ არ მსურს ლაპარაკი. ისე კი ამ მსოფლიოს ჩემპიონატის ძალიან მეიმედება, თუმცა იქამდე ჯერ ორი თვეა დარჩენილი. ვფიქრობ, ისე მოვემზადები, რომ სამეულში მოვხვდე. შარშანდელ მსოფლიოზე ერთი წლით უფროსებთან ვჭიდაობდი, წლეულს ასე არ იქნება, რადგან დიდებში ბევრი გადავიდა. თუმც იქ მაინც ძლიერი მეტოქეები მეყოლებიან. ისინი ძირითადად ევროპიდან და აზიიდან არიან. მათ მეტ-ნაკლებად ვიცნობ. ერთ-ერთი მათგანი მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ყირგიზი იურან კალკოვია.

**— თქვენს მოჭიდავედ ჩამოყალიბებას ამაგი ვინ დასდო?**

— მე ყველაზე მეტი ვილი ხარაზოვმა გამიკეთა. მის გარდა სხვა მწვრთნელი არ მყოლია. ამიტომ ჩემი მოჭიდავედ აღზრდა მთლიანად მისი დამსახურებაა. სხვათა შორის, მის მოწაფეთაგან პირველი ევროპის ჩემპიონი ვარ.

**— ვილი ხარაზოვმა თვითონ აღმოგაჩინათ, თუ თქვენ მიაკითხეთ?**

— ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი. ათი წლისა მეზობელმა კარატეზე წამიყვანა. მერე გადაწყვიტეს, ხარაზოვსაც ვენახე. მან ერთი-ორჯერ დაკვირვებით შემათვალიერა, მერე თვალებში ჩამხედა და ჭიდაობაზე წამიყვანა. ასე დაიწყო ყველაფერი. სამ დღეში მწვრთნელმა შეჯიბრზე გამიყვანა, 1995 წლიდან კი მუდმივად ნაკრებში ვარ.

**— დღესაც ხომ არ ცელქობთ ხალიჩაზე?**

— ხალიჩაზე — არა, ცხოვრებაში — კი. მწვრთნელი სულ მეუბნება, გაიზარდე, პატარა აღარა ხარ, დასერიოზულდიო. მაგრამ ცელქობა ვერაფრით მოვიშალე. თუმცა ხალიჩაზე ეს გამორიცხულია. უკვე ორი წელია, ვარჯიში არ გამიცდენია.

**— ალბათ, ჭიდაობას დიდ დროსაც უთმობთ...**

— დიახ, ასეა. გართობა, დასვენება და ასეთები უკვე დიდი ხანია, არ ვიცი. საბედნიეროდ, შრომა დამიფასდა.

**— დაფასება ერთია, მაგრამ ცხოვრების ასეთ წესზე ცოტა გულიც ხომ არ გწყდებათ?**

— გული ნამდვილად მწყდება, მაგრამ ეს ჩემი პროფესიაა. ვიცი, რომ სხვა საქმე არა მაქვს და ამისთვის უნდა ვიმუშაო.

**— ესე იგი, ჭიდაობა ანაცვალეთ ყველაფერს?**

— დიახ, ასეა.

ირაკლი ჭოჭუას შესახებ მისი მწვრთნელი ვილი ხარაზოვი სიამოვნებით საუბრობს.

— ირაკლი შრომისმოყვარე და ალალი ბიჭია. ტყუილს მაგისგან ვერ გაიგონებთ. მიეცით მხოლოდ საკვები და ავარჯიშეთ. ერთხელ არ იტყვის, დავიღალეო. ვარჯიში არასოდეს სწყინდება.

**— ცხოვრებაში რომ ცელქია, თავად აღიარა. თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, ვარჯიშებზე არ ცელქობს.**

— ვარჯიშისას ნამდვილად არ ეშმაკობს, ტურნირებზე ჭიდაობისას — კი. სხვაგვარად ჭიდაობაში არაფერი გამოვა.

**— რა დაინახეთ იმ პირველი შეხვედრისას მის თვალებში?**

— როცა მის მოუსვენარ, ეშმაკურად მომზირალ თვალებს შევხედე, მაშინვე ვთქვი, ეს ბიჭი მოჭიდავე უნდა გახდეს-მეთქი.

**— მეტი არაფერი?**

— დიდი მომავალი. ოღონდ ცოტა ხელშეწყობაც სჭირდება. ის სპორტდეპარტამენტისგან იღებს 50 ლარს. ესაა და ეს. სხვა შემოსავალი მას არა აქვს. ვერც ოჯახი ეხმარება სათანადოდ. მამამისი, ახალგაზრდა კაცი, პენსიონერია. პენსიების ოდენობა და მიღების სიხშირე კი მოგეხსენებათ. შეიძლება არც იყოს გამართლებული, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. ახლახან ფოტოსურათი უნდა მოეტანა, მაგრამ ვერ მომიტანა. მიზეზი რომ ვკითხე, ბოდიში მომიხადა და მითხრა, ვილი მასწავლებელო, სად მქონდა სურათის გადაღების ფულიო.

**— ჭიდაობისას როგორია?**

— ტექნიკური, აზრიანი და სწრაფი. მისი უმთავრესი კოზირი სისწრაფეა. ყოველნაირად ვცდილობ, ეს შევუნარჩუნო. ძალიან აქტიურია და ერთ ადგილზე არ ჩერდება. თანაც დაუზარელია. ივარჯიშო, ჩიჩინი არ სჭირდება. ინსტიტუტშიც სწავლობს და ზოგჯერ რომ მოდის, ვარჯიში დამთავრებულია. ირაკლი დადებს ჩანთას, მიდის კროსზე, მერე ბრუნდება დარბაზში და თავად ფიზმომზადებაში ვარჯიშობს.

**ირაკლი თავაძე**



# შხვენოდ, მაგრამ ჩვენებურით

ახლახან ვარშავაში დამთავრდა მშვილდოსანთა დიდი პრიზის გათამაშება. სამწუხაროდ, იქ საქართველოდან ვერავინ იასპარეზა. მიზეზს მიხვედრებოდით — უფულობა. აჭარის სპორტდეპარტამენტმა ხათუნა ფუტკარაძის გასამგზავრებელი თანხა კი გამოძებნა, მაგრამ დაგვიანებით და ვიზის გაფორმება ვერ მოესწრო.

ამ ტურნირს ჩვენი მშვილდოსნები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად გამოიყენებდნენ, რომელიც ივლისის ბოლოს საფრანგეთის ქალაქ გიიომში გაიმართება და იქ ოლიმპიური ლიცენზიებიც გაიცემა.

წლეულს ქართველმა მშვილდოსნებმა უცხოეთში მხოლოდ ერთხელ იასპარეზეს — მაისის ბოლოს ანთალიაში დიდი პრიზის გათამაშებაში გამოვიდნენ. ამას დაემატა ორიოდე ტურნირი ბათუმში და სულ ესაა! სამწუხაროა, ჩვენი სპორტსმენები გიიომში ასეთი მწირი საშეჯიბრო პრაქტიკით რომ მიემგზავრებიან.

ასეთ პირობებში მსოფლიოს ჩემპიონატში ჩვენს უმთავრეს იმედად აშშ-ში მცხოვრები ხათუნა ქვრივიშვილი რჩება. ის ნიუ ჯერსის კლუბში გამოდის. გადაწყვეტილი ამბავია — ქვრივიშვილი ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით იასპარეზებს. მანამდე კი ლიცენზია უნდა მოიპოვოს. საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობის მისაღებად მას საქართველო ვერ აფინანსებს. კლუბის სახელით კი ასპარეზობს და, როგორც ამბობენ, კვლავაც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მშვილდოსნად რჩება. ამიტომ სპეციალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ იგი ლიცენზიას მოიპოვებს. თუმცა უკეთესი სავარჯიშო პირობები რომ ჰქონდეთ, ოლიმპიადაზე მოხვედრა ჩვენს სხვა მოისრეებსაც შეუძლიათ.

...მართალია, ვარშავაში საქართველოდან არავინ წასულა, მაგრამ იმ ტურნირს უქართველოდ მაინც არ ჩაუვლია. იქ თურქეთის სახელით მოასპარეზე ნატო ნასარიძე გამოვიდა და მეშვიდე ადგილი დაიკავა. ნასარიძემ შარშან დიდი პრიზის გათამაშებაში გაიმარჯვა, წლეულს კი ძველებურად ველარ ყოჩაღობს. თუმცა ამასაც თავისი მიზეზი აქვს — ნატომ კვიპროსში გამართული დიდი პრიზის პირველი ტურნირი გამოტოვა, რადგან ამ ქვეყანასა და თურქეთს შორის დაძაბული ვითარებაა.

**ირაკლი თავაძე**



# ამერიკელები იაგორაშვილს ლიცენზიისთვის აგზავნიან
# ჩვენებს ჯერ მოცდა მოუწევთ

ქართველი ხუთჭიდელები კვლავ დიდი ტურნირების გზას დაადგნენ. ერთი თვეც არ გასულა ევროპის ჩემპიონატიდან, ახლა კი მსოფლიოს პირველობა მოადგათ კარს, რომელსაც 15-19 ივლისს ბუდაპეშტი უმასპინძლებს.

ჩვენი ხუთჭიდელები მსოფლიომდეც თითქმის იმავე გზას გაივლიან, რომელიც ევროპამდე დასჭირდათ. ხვალ ისინი მინსკში მიდიან საწვრთნელ შეკრებაზე და ბუდაპეშტშიც იქიდან ჩავლენ. ჩვენებმა ევროპისთვის მოსამზადებელი ეტაპიც მინსკში გაიარეს. ეტყობა, ამ ქალაქმა და განსაკუთრებით მისმა ბაზებმა მაშინ მოაწონეს მათ თავი. ისინი ამჯერად მასპინძელთა გუნდთან ერთად ივარჯიშებენ. ეს კი დიდად დაეხმარებათ მომზადებაში, რადგან ბელურსთა გუნდი სულაც არაა ხელწამოსაკრავი — მათ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავეს.

სამწუხაროდ, ევროპისგან განსხვავებით ჩვენი ნაკრები მსოფლიოზე დანაკლისით მოდის — ფეხის ტრავმის გამო მას თემურ ბალაკარი გამოაკლდა. ბუდაპეშტში დავით ჭულუხაძე და ნოდარ ბარაბი გამოვლენ. ისინი მხოლოდ პირად პირველობაში იასპარეზებენ, რადგან სამი სპორტსმენი მაინც უნდა გყავდეს, გუნდურში გამოსვლის უფლება რომ მოგცენ.

ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეათე იყო. პირად პირველობაში დავით ჭულუხაძე მე-19 ადგილზე გავიდა, ბარავი — 21-ზე. მაშინ ჭულუხაძეს ათეულს უგეგმავდნენ, მაგრამ ფარიკაობაში არასაკმარისად იყო მომზადებული და მიზანს ვერ მიაღწია (ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ამირან შეროზია ასე ამბობს). ის ახლაც ათეულს უმიზნებს. ვნახოთ...

ბუდაპეშტში ერთი ოლიმპიური ლიცენზიაც გაიცემა — ჩემპიონზე. ჭულუხაძე არა, მაგრამ მეორე ქართველი, აშშ-ის სახელით მოასპარეზე ვახტანგ იაგორაშვილი კი აუცილებლად შეეცდება მის მოპოვებას. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის ოლიმპიადაზე აშშ-ის სახელით გამოვა.

**ირაკლი თავაძე**

# მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფერცელი ოლდამეთერამეცე

# ვინი პასიენსასთან

ფოქსვუდ კაზინოს ბარში ბრძოლისშემდომი პრესკონფერენცია დაწყებულიყო. თხუთმეტიოდე ჟურნალისტი და ამდენივე მოსეირე დახლთან ჩამომჯდარ მოკრივეს ანდრა ვაიტს უსმენდნენ. ტელეარხთაგან მხოლოდ „იესპიენ 2"- ის კამერა იდგა. ბრძოლა არ იყო ისეთი, ქვეყანა რომ აელაპარაკებინა. ის ის იყო ვაიტს ვინი პასიენსასთან წაეგო და სწორედ ამ მარცხის და თავისი სამომავლო გეგმების შესახებ უამბობდა მედიის წარმომადგენლებს.

უცებ ბარის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე მხიარულ ადამიანთა გუნდი გამოჩნდა. ამათ შორის იყვნენ აშკარად ნაყნოსი, აჯაჯულდაჯაჯული ჯეელები და მკერდმოშიშვლებული, ერთობ მოხდენილი გოგოები. კამერა მათკენ მიტრიალდა, ხალხი წამოიშალა. მოტკვარცალე გუნდი ბარის შუაგულში ამოძრავდა, ჟურნალისტებმა კი ახალი ადგილების ძებნა დაიწყეს. ვაიტს სიტყვა გაუწყდა, თითქოს დაიბნაო, მაგრამ მერე ნაცნობი შენიშნა და გადაიხარხარა. ნაცნობი — ვინი პასიენსა იყო. სწორედ ის კაცი, ვინც ვაიტი დააგდო თხუთმეტიოდე წუთის წინათ. მხიარული გუნდი კი პასიენსას ერთგულ გულშემატკივართა კრებული.

ისეთი ამბით შემოვიდა, თითქოს დენის როდმანი იყო, ან როდ სტიუარტი.

ვინი პასიენსას არასოდეს აკლდა გულშემატკივრები, უფრო სწორად კი გულშემატკივრები მის საკრივო ოსტატობაზე მეტად, მის პიროვნულ რაობას ეტანებოდნენ. მარად მოცინარი, მარილიანი სიტყვა-პასუხის შემძლე, ტოტალიზატორების და ნაირნაირი ფერის, რასისა და მოყვანილობის სიძვის დიაცთა მოყვარული, მთელი ჰოლივუდის ძმაკაცი, ეპიზოდურ როლებში არაერთხელ გაელვებული — ასეთ ვინმედ იცნობენ ვინი პასიენსას და ამბობენ პასმანია გრძელდება! თუნდაც იშკილებიდან ჩამოვარდნილს მაყურებელი არასოდეს მოაკლდება.

კარიერის მანძილზე ორ დივიზიონში გარჯილა. წლების მანძილზე საშუალოწონოსანი იყო. ახლა სუპერსაშუალოთა სარეიტინგო ათეულის ბოლოკაცია. ორმოცდაოთხჯერ მოუგია და შვიდჯერ წაუგია. პატიოსანი, მცოდნე მოკრივეა, ტემპი უყვარს, კომბინაციური ბრძოლა. დიადი არ არის, მაგრამ გამორჩეულია. არავის უფრთხის, როი ჯონსსაც კი არ უფრთხოდა, მისთვის წაგება საშიში არ არის...

პასიენსას ბრძოლებზე ერთი წივილ-კივილია. სულ შხვართ-შხვართი გოგოები კივიან.

ერთი აქვე, ბარში ეუბნება ჟურნალისტებს: „მე არ მქონია ასეთი უბედური დღე ცხოვრებაში"! ეს ქალი პასიენსას ამასწინანდელ ბრძოლას იხსენებს, როცა არტურ ალენმა ათრაუნდიან ბრძოლაში ქულებით აჯობა ვინის.

თავად პასიენსა კი კრივზე ლაპარაკისას სერიოზული და ალალია. ყოველთვის ანალიტიკურად უცქერის განვლილ ბრძოლებს. მაგრამ რეპორტიორებმა იციან, რომ პასიენსას არ უნდა შეეშვან და საუბარი ეშმაკურად უნდა გადაიტანონ კრივიდან ცხოვრებაზე. ვინი დაიქოქება და აუცილებლად იტყვის რამე ისეთს, რეპორტაჟს რომ დაეხმარება. კარგი რეპორტაჟი კი პატარა ამბავი არ არის.

ვინი პასიენსა სტრიპტიზბარების პატრონი კაცია. გოგოებიც ამ ბარების თანამშრომლები, მათი დაქალები, ან უბრალოდ ფეხმსუბუქი ქალბატონები არიან. მათ მართლა მოსწონთ ვინი. ეს კაცი ხომ სიცოცხლეს აფრქვევს და უამრავ ენერგიას გასცემს სხვათათვის. ამიტომ ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ვინის ამალა ნაქირავებია, სისულელეა.

ამ ამალაში ვხედავთ მის სუპერქომაგ რას კომოს, რომელსაც მეთოთხმეტე წელიწადია, ვინის არცერთი ბრძოლა არ გაუცდენია. კარგახანია, რაც რასი ვინის საგანგებო სტუმრის სტატუსით ესწრება პასიენსას ბრძოლებს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რას კომომ თავისი უკანასკნელი სვირინგის ფოტო გაუგზავნა ვინის. ამ კაცს მარცხენა ბეჭზე თავად ვინი პასიენსა ახატია.

„ხალხი მე მეძახის გიჟს" ამბობს პასიენსა და. კომოს მაისურას კიდეს უწევს „მაგრამ, აი გიჟი"!

ჟურნალისტები რას კომოსა და გოგოებს ეხვევიან. ანდრა ვაიტი აღარავის ახსოვს. ეს ასეა, ვაიტი მხოლოდ ერთი კადრია, ვინი პასიენსას მრავალსერიან საპნის ოპერაში.

ერთი მოკისკისე გოგო ამბობს: „ვინი ნარკოტიკივით არის. ყოველთვის სასარგებლო არ არის, მაგრამ ვერ გადააგდებ".

პასიენსა-ვაიტის ბრძოლის დღეს ფოქსვუდში, ფოქსვუდში კი არა, მთელს ახალ ინგლისში, მთელი დღე თოვდა და ქარბუქი ტრიალებდა. გზები მოიყინა. ბოსტონიდან ფოქსვუდამდე გზას საათნახევარი უნდა მანქანით, იმ დღეს კი სამი საათი დასჭირდათ. უარესი ამინდი იყო ვინის მშობლიურ როდ აილენდზეც. კაზინოს წინ ავტოსადგომები პირწმინდად ცარიელი იყო. ასეთ ამინდში კრივს მხოლოდ თავგადაკლული ქომაგი თუ უერთგულებდა. ჟურნალისტთა კორპუსიც მცირერიცხოვანი იყო. თანაც, ბრძოლა თავისუფალი ტელეარხებით გადაიცემებოდა. მაგრამ დარბაზში შესული აღმოაჩენდა, რომ „ფოქს სიეთას" ორიათასი ადგილიდან ათასშვიდასი დაკავებული იყო. პასიენსას გულშემატკივრები ბრძოლის დაწყებას ელოდნენ.

„ასეთ ამინდში" ამბობდა ვინი „მე მადლობელი ვარ. სულ ბოლო რიგში ბილეთი ასსამოცდახუთი დოლარი ღირდა. თანაც, ეს ხომ საჩემპიონო ბრძოლა არ იყო".



პასიენსა ვაიტს აქცევს იმ ქარბუქიან საღამოს





ძმაბიჭი მსახიობები — კარლ ვეზერსი და სლაი სტალონე



ვინი ინტერვიუსთვის მისულა ძველ და საყვარელ მეტოქესთან — რობერტო დურანთან





სალამი ბიჭებს — ვინის საფირმო ფოტო

1990 წლიდან მოკიდებული ვინი პასიენსა ჩამოწერილ მოკრივედ ითვლებოდა. დისკვალიფიკაცია, ავტოკატასტროფა, ტექნიკური ნოკაუტი როი ჯონსთან... წლები გავიდა და პასიენსა დაბრუნდა. წონამომატებულმა ახალ დივიზიონში გაიქნია მუშტი, ცამეტი ბრძოლა მოიგო და ორი წააგო. ერთ-ერთი კვლავ როი ჯონსთან, მეექვსე რაუნდში.

უდიდესი გამარჯვება კი ბოლო წლებში რომ მოიპოვა ვინიმ, იქამდე დაუმარცხებელ დანა როზენბლატთან იყო. ვინიმ მეოთხე რაუნდში დასცა დანა.

„ჩვენ ვმეგობრობდით, კარგ ბიჭად ვთვლიდი", იხსენებს ვინი, „მაგრამ ჩვენი ჩხუბის შესახებ რომ გამოცხადდა, პრესაში კბენა დამიწყო. სისულელეებს ამბობდა და ამან ჩემი გულშემატკივრები შეურაცხყო. იმ ღამით ვერაფერს დავთმობდი".

მაგრამ ამ გამარჯვებას თხუთმეტთვიანი შესვენება მიაყოლა.

პასიენსა იმ ყაიდის კაცია, საკუთარი პერსონის შესახებ ყოველ სტრიქონს რომ ყურადღებით კითხულობს და მერე ჟურნალისტებს ეკამათება. არაფერი გამორჩება და არავის დაინდობს. ერთმა ბოსტონელმა მოკალმემ დაწერა, ძალიან საინტერესოა რა წამლებს მოიხმარს პასიენსა, რადგან ბიჭი აღარ არის, აღნაგობა კი ბიჭისა აქვს. მას ვინიმ სახალხოდ უწოდა გასიებული მოიმასქნილი ღორი.

„ვერ გავიგე, რატომ ვეზიზღები ამ ხალხს". უკვირს ვინის — „რინგზე პატიოსანი და სპორტული ვარ. ხალხს ალალ შოუს ვთავაზობ. მაიკი კაცმა (განთქმული კრივზე მწერალი) „ნიუ იორკ დეილი ნიუსში" დაწერა რომ მე ახვართა ბანდა მქომაგობს. ეს საწყენია. მე ვიცნობ საკუთარ ფანებს. ისინი ოჯახის ხალხია. ორ-ორი და სამ-სამი შვილი ჰყავთ. თუ ვინმეა ახვარი, ისევ მე და არა ისინი".

ვინის ცხოვრება, შოუში ჩაბმული გლადიატორის ცხოვრებაა.

ერთხელ მიმტანმა გოგომ უთხრა რესტორანში: „რა მოხუცი ხარ და რა ახალგაზრდად გამოიყურები?"

მართლაც ასეთია, ოცდათექვსმეტი წლისაა და უკან მოხედვის არ ეშინია. ყოველთვის ბიჭი ვიყავი და ასი წლის შემდეგაც ბიჭი ვიქნებიო. არცერთი მოკრივე არ იქცევა ისე გასახდელში, როგორც ის. ერთხელ, უკვე მობერებული ექსჩემპიონი ტონი დე მარკოსო დაამარცხა და იცით რა უთხრა გასახდელში?

„კმაყოფილი ხარ, ჩემპ? თუ შენ მეტყვი, რომ მოგეწონე, მე ჩავთვლი, რომ მართლა ძლიერად ვიჩხუბე".

თვითმხილველები ამბობენ, რომ საერთოდ უხასიათოდ მყოფი ტონი წელში გასწორდა (ამერიკელები იტყვიან, ათი ფუტით გამაღლდაო) და გაღიმებული გადაეხვია.

ვინი პასიენსას არ უყვარს ფულის ბანკში მოსვენება — ქალები, კაზინოები, ბირჟაზე თამაში, ახალ საქმეებში წილის თამამად შესვლა...

ეს ყველაფერი ჩვეულებრივია მისთვის. ყოფილა შემთხვევა, რომ ათი ათასი წაუგია ბლექჯეკში და კარგადაც გამომთვრალა ამის გამო, მაგრამ ეს რინგგარეთა ცხოვრებაა, რინგზე კი ის სულ სხვაგვარია. ცივი, გამომთვლელი და სერიოზული. აბა, რეფერისაც ისე ხომ არ სწვდებოდა ყელში, როგორც კრუპიეს ბლექჯეკის მაგიდასთან.

როდემდე აპირებს ჩხუბს ვინი პასიენსა?

„ერთ წელიწადს", თავად ასე ამბობს, „აი, მერე კი კინოს გადავილებ".

კარგახანია, რაც ვინი პასიენსას საკუთარი ავტობიოგრაფიის მხატვრულ ფილმად ქცევა სწადია.

ორმოცდაათგვერდიანი მოკლე შინაარსი კარგახნის გამზადებული აქვს და სწორედ ახლა დაიწყო მოლაპარაკებანი საქმოსან მაქს ბერთან, რომელიც 70-იან წლებში განთქმული ფილმ „მეფონქაუნთის გზის" პროდიუსერი იყო და ახლა ნევადაში კაზინოების მშენებლობაშია ჩაბმული.

„ტელევიზიამ მთხოვა ამ შინაარსის ჩემზე ფილმის გადაღება" — ამაყობს ვინი, „მაგრამ უარით გავისტუმრე. ეს უფრო ამაღელვებელი ამბავია, ვიდრე ტელევიზიას შეუძლია წარმოიდგინოს".

ეს იქეთ იყოს და სცენარისტები თავადაც სთავაზობენ, მოიტა, შენს მოკლე შინაარს ჩვენ გადავამუშავებთო.

ხალხი კი ნელნელა ეჩვევა ვინი პასიენსას კინოეკრანზე ხილვას. მას ორი პატარა და ერთი არც ისე პატარა როლი უთამაშია. პირველი ამათგანი მცირებიუჯეტიან ბოსტონურ „ოსტ ენდში", მეორე კი „პოლიციის აკადემიის" ერთ-ერთ სერიაში. უფრო დიდი როლი კი მას სილვესტერ სტალონემ უბოძა თავის „კარგ ცხოვრებაში".

„ორი-სამი სცენარი მაქვს სახლში. დამწყებისთვის კარგი როლებია, მაგრამ სანამ კრივს არ დავამთავრებ, არაფერს მოვკიდებ ხელს"

ვინის ერთადერთი ოცნება, ოსკარ დელა ჰოიასთან შეხვედრა, ალბათ აუხდენელი დარჩება. ამ ერთ წელიწადში ოსკარი იმიტომ არ გასუქდება, რომ ვინის შეხვდეს. გაუსუქებელიც არ შემხვდება, იცინის ვინი და ბარის გასასვლელისკენ მიიჩქარის.

ქომაგთა გუნდი ცეკვა — თამაშით მიჰყვება უკან. იცით სად მიდიან?

„ფოქსი ლეიდიში", ვინი პასიენსას სტრიპტიზკლუბში.

მას მოსწონს და სჭირდება ასეთი ცხოვრება. სხვანაირად არ გამოვა, შეიხი და მისი ჰარემი. ამიტომ პასმანია გრძელდება.




თავად დაჯილდოებულმა უეინ გრეცკიმ და მისმა მეუღლე ჯანეტმა გადასცეს იარომირ იაგრს „ჰარტ ტროფი“

# ევროპელები უფრო კარგი ბიჭები არიან

24 ივნისს ტორონტოს ახალთახალ „ეირ კანადა სენტრში“ გამართულ ცერემონიალზე ნჰლ-ის ხელმძღვანელობამ სეზონის ინდივიდუალური პრიზების მფლობელები დაასახელა.

ლიგაში ისევ ევროპელები ბატონობენ. მათ მთლიანობაში 6 ჯილდო დაისაკუთრეს, ყველაზე ძვირფასი პრიზის, „ჰარტ მემორიალ ტროფის“ ჩათვლით, რომელიც აგერ უკვე მესამედ გადაეცა ჩეხს. და მაინც, ამ ღირსსახსოვარი საღამოს გმირი ლეგენდარული უეინ გრეცკი იყო: ყინულზე და მის გარეთ სანიმუშო ყოფაქცევით გამორჩეულმა ჰოკეისტმა კარიერა მეხუთე „ლედი ბინგ ტროფით“ დაასრულა

HART MEMORIAL TROPHY — ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს

**გამარჯვებული: იარომირ იაგრი (პიტსბურგი)**

**ფინალისტები: დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო), ალექსეი იაშინი (ოტავა)**

პიტსბურგის ფორვარდმა საუცხოო სეზონი ჩაატარა, ბომბარდირთა დავაში მთელი 20 ქულით გაუსწრო მდევარ ტეემუ სელიანეს (ანაჰაიმი) და სეზონის საუკეთესო მეპასეც გახდა. მთავარი კი ის არის, რომ სუპერჩეხმა ჩინებულად გაართვა თავი კაპიტნობას და მთელი ჩემპიონატის მანძილზე „პინგვინებს“ ნამდვილ ლიდერად მოევლინა. სხვათა შორის, იაგრს „ჰარტი“ თვით უეინ გრეცკიმ გადასცა, რომელსაც ეს პრიზი ყველაზე მეტჯერ — 9-ჯერ მოუპოვებია.

JAMES NORRIS MEMORIAL TROPHY — საუკეთესო მცველს

**გამარჯვებული: ელ მაკინისი (სენტ ლუისი)**

**ფინალისტები: რეი ბურკი (ბოსტონი), ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი)**

სენტ ლუისის ლიდერმა სავსებით დამსახურებულად მოიპოვა ეს ჯილდო. 1989 წლის შემდეგ, როცა მაკინისი თასის საუკეთესო ბომბარდირი და MVP გახდა, მას ასე შთამბეჭდავად არ უთამაშია. ლიგაში უძლიერესი დარტყმის პატრონმა სეზონი მცველთა შორის საუკეთესო შედეგით, 62 (20+42) ქულით დაასრულა.

VEZINA TROPHY — საუკეთესო მეკარეს

**გამარჯვებული: დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო)**

**ფინალისტები: ბაირონ დაფო (ბოსტონი), კერტის ჯოზეფი (ტორონტო)**

მერე რა, რომ დომინიკ ჰაშეკმა ზედიზედ მესამე „ჰარტი“ ვერ მოიგო. იგი ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა — მეკარეებისთვის განკუთვნილი პრიზი არავის დაუთმო. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ეს მისი მეხუთე „ვეზინა“ გახლავთ.

COLDER MEMORIAL TROPHY — საუკეთესო ახალბედას

**გამარჯვებული: კრის დრური (კოლორადო)**

**ფინალისტები: მილან ჰეიდუკი (კოლორადო), მარიან ჰოსა (ოტავა)**

მართალია, ახალბედების დავაში დრური 44 (20+24) ქულით მესამე იყო და პარტნიორ ჰეიდუკსაც კი ჩამორჩა, მაგრამ მცველის ფუნქციების მარჯვე შესრულებით გამორჩეულ ფორვარდს ეს ძალიან მაღალ შედეგად ჩაუთვალეს. გარდა ამისა, დრურიმ პლეი ოფში გადამწყვეტი შაიბების გატანითაც გაითქვა სახელი.

1989 წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ ნომინაციის ფინალისტთა სიაში ორი თანაკლუბელი მოხვდა.

FRANK J. SELKE TROPHY — დაცვაში მარჯვე ფორვარდს

**გამარჯვებული: იერე ლეჰტინენი (დალასი)**

**ფინალისტები: მაიკ პეკა (ბუფალო), მაგნუს არვედსონი (ოტავა)**

ფინელმა ზედიზედ მეორედ აჯობა მთავარ კონკურენტ მაიკ პეკას და თასის მფლობელთაგან ერთადერთმა მოიპოვა ჩემპიონატის ინდივიდუალური პრიზი.

JACK ADAMS AWARD — საუკეთესო მწვრთნელს

**გამარჯვებული: ჟაკ მარტენი (ოტავა)**

**ფინალისტები: კენ ჰიჩკოკი (დალასი), პეტ ქუინი (ტორონტო)**

დალასს შეეძლო, კიდევ ერთი ჯილდოთი გაემდიდრებინა თავისი კოლექცია, მაგრამ კენ ჰიჩკოკს კოლეგებმა ზედიზედ მესამედ გადაუღობეს გზა. თუმცა ჟაკ მარტენზე ეს გამარჯვება ალალია — ოდესღაც მაჩანჩალა ოტავამ ბოლო სამი წლის განმავლობაში არნახული პროგრესი განიცადა, წლეულს კი თავისი საჩემპიონატო შედეგი 20 ქულითაც გააუმჯობესა.

LADY BING TROPHY — სპორტული სულისკვეთებითა და ჯენტლმენობით გამორჩეულს

**გამარჯვებული: უეინ გრეცკი (რეინჯერსი)**

**ფინალისტები: ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი), ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი)**

უეინის დარი ჰოკეისტი ნჰლ-ს, ალბათ, აღარ ეყოლება. უდიდეს წარმატებებს, დიდების მწვერვალზე ყოფნას მისთვის არასდროს დაუხვევია თავბრუ და მუდამ მოკრძალებულ, ზრდილ, კეთილშობილ ვარსკვლავად დარჩა.

ფეხზე წამომდგარი აუდიტორიის ხანგრძლივი ოვაცია რომ მიწყნარდა, „დიადმა“ გულახდილად განაცხადა: „გაოგნებული ვარ. შესანიშნავი საღამოა. კარიერის უკეთეს დასასრულს ვერც კი ვინატრებდი“. ზუსტად წინადღეს გრეცკი ოფიციალურად აირჩიეს „დიდების დარბაზში“.

KING KLANCY TROPHY — ლიდერს ყინულზე და მის მიღმა

**გამარჯვებული: რობ რეი (ბუფალო)**

ბუფალოს ვეტერან რობ რეის ჰოკეის სამყაროში უფრო „აგრესორად“ და მეტოქე „პოლიციელებთან“ ანგარიშსწორების ოსტატად იცნობენ. 261 საჯარიმო წუთი — აი, მისი მონაგარი. თუმცა ბევრმა არ იცის, რომ თამაშამდე გასახდელში სწორედ რეიამხნევებს თანაგუნდელებს და მათ საბრძოლველად განაწყობს. გარდა ამისა, ფორვარდი სპეციალური ფონდის თავმჯდომარეა, რომელიც მძიმედ დაავადებულ ბავშვებს ეხმარება.

MASTERSON TROPHY — ყველაზე თავდადებულს და მიზანსწრაფულს

**გამარჯვებული: ჯონ კალენი (ტამპა)**

ძალიან მამაცი უნდა იყო, სიმსივნისგან განკურნებული ისევ ჰოკეიში რომ დაბრუნდე. მართალია, კალენმა დიდხანს ვერ გაუძლო ნჰლ-ის მკაცრ პირობებს, მაგრამ პრიზი ნამდვილად დაიმსახურა.

LESTER B. PEARSON AWARD — ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეს

**გამარჯვებული: იარომირ იაგრი (პიტსბურგი)**

„ჰარტის მოპოვება 1991 წელს თასის მოგების შემდეგ ჩემთვის უმნიშვნელოვანესია“ — განაცხადა იაგრმა, თუმცა იქვე დასძინა, რომ „ლესტერი“ და კოლეგების მიერ აღიარება უფრო ძვირად უღირს.

შეგახსენებთ: „ჰარტის“ მფლობელს ჰოკეიზე მწერალი ჟურნალისტები ირჩევენ, ხოლო „ლესტერისას“ — NHLPA-ს (მოთამაშეთა ასოციაცია) წევრები. დანარჩენი სამი პრიზის მფლობელი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით უკვე გამოვლენილი იყო:

ART ROSS TROPHY, რომელიც საუკეთესო ბომბარდირს გადაეცემა, ისევ იარომირ იაგრმა მოიპოვა, JENNINGS TROPHY ედ ბელფორსა და რომან ტურეკს ერგოთ ყველაზე ნაკლები გოლის გაშვებისთვის, ხოლო წლეულს დაარსებული MAURICE RICHARD TROPHY-ის პირველი ლაურეატი სეზონის საუკეთესო გოლეადორი, ანაჰაიმელი ტეემუ სელიანე გახდა.

დაბოლოს: იმავე დღეს იაგრმა და მისმა პარტნიორებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „პინგვინები“ პიტსბურგში რჩებიან, თუმცა ამაზე შემდეგ.

**სამველ ლარიბიანი**




კრის დრური



ელ მაკინისი



# F1

**[illegible] საფრანგეთის დიდი პრიზი**

## მანი-კური

*პარიზი, 27 ივნისი*



| | |
|---|---|
| ტრასის სიგრძე | 4.250 კმ |
| რბოლის დისტანცია | 72 წრე — 305.814 კმ |

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ირვინი (ფერარი); 3. ჰაკინენი (მაკლარენი); 4. ვილნევი (უილიამსი); 5. ვურცი (ბენეტონი); 6. კულჰარდი (მაკლარენი)

კვალიფიკაცია ჰაკინენი (მაკლარენი) 1:14.929

### წინა წლების გამარჯვებულები

1991 — მენსელი (უილიამსი); 1992 — მენსელი (უილიამსი); 1993 — პროსტი (უილიამსი); 1994 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1995 — მ. შუმახერი (ბენეტონი); 1996 — ჰილი (უილიამსი); 1997 — მ. შუმახერი (ფერარი); 1998 — მ. შუმახერი (ფერარი)

### რეკორდები

| | |
|---|---|
| ტრასის რეკორდი | მენსელი 1:17.070 (უილიმსი, 1992) |
| პოულის რეკორდი | მენსელი 1:13.864 (უილიმსი, 1992) |

# ძრავაც, ღვინისა არ იყოს, ძველი სჯობს




საფრანგეთში მიხაელ შუმახერი ლიდერობის დაბრუნებას ეცდება

**საფრანგეთის** დიდ პრიზზე, რომელიც ხვალ მანი-კურის ავტოდრომზე გაიმართება, საინტერესო ამბებია მოსალოდნელი. ინტრიგას კვლავინდებურად მაკლარენ-ფერარის დუელი განაპირობებს. ბოლო ორი სეზონი ფორმულა 1-ის ქომაგნი ძირითადად ამ ორი გუნდის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოწმენი არიან. კონსტრუქტორთა პრიზისთვის დავაში ჯერჯერობით ფერარის აქვს უპირატესობა, პირველი ვიოლინოების შეჯიბრებაში კი მაკლარენის სოლო უფრო მკაფიოდ გაისმის. ჰაკინენი — შუმახერი, ირვინი — კულჰარდი, ფერარი — მაკლარენი — უკეთეს დუელებს ავტოსპორტის მოყვარული ვერც ინატრებს. ინტრიგა დაიწყება დღეს კვალიფიკაციით და გაგრძელდება ხვალ — სამოცდათორმეტწრიანი რბოლით. გაგრძელდება იმიტომ, რომ რაც უნდა მოხდეს ხვალ, ფერარისა და მაკლარენის დაპირისპირება სპეციალისტების აზრით მთელ წლევანდელ სეზონს გაჰყვება.

იტალიისა და გერმანიის საერთო კერპი მიხაელ შუმახერი ყოველნაირად შეეცდება, რომ კანადაში დაკარგული ლიდერობა საფრანგეთში დაიბრუნოს. ოთხქულიანი სხვაობის ლიკვიდაცია მაინცდამაინც ძნელი არ უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ ფერარი სეზონის დასაწყისიდან, რბოლიდან რბოლამდე უმატებს სისწრაფეს. კანადის კვალიფიკაციამ, სადაც შუმახერმა პოული მოიგო, აშკარა გახადა, რომ ფერარის ახალი ძრავა 048B, რომელსაც პილოტი ჯერჯერობით მარტო შაბათის კვალიფიკაციებზე იყენებს, უკვე გაუსწორდა მაკლარენის ძრავას. ამას გარდა ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ბოლო ხუთ წელიწადში საფრანგეთის დიდი პრიზი ოთხჯერ მოიგო შუმახერმა (ორჯერ ბენეტონით, ორჯერ ფერარით), ჰაკინენს კი ეს ბედნიერება ერთხელაც არ ღირსებია. თუმცა ფინელს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ ანაღვლებს ამგვარი სტატისტიკა: „ამ თვალსაზრისით უკეთესი შანსები არც კანადაში მქონდა, მაგრამ შედეგი ყველამ იცით. ლიდერის როლში შესანიშნავად ვგრძნობ თავს, დარწმუნებული ვარ საფრანგეთის რბოლის შემდეგ ორივე, მაკლარენიცა და ჰაკინენიც წინ იქნებიან. ცხადია, ეს იოლი საქმე არ არის, რადგან ბოლო ხანებში ფერარიმ გვარიან პროგრესს მიაღწია, მაგრამ ჩვენ არსებული ვითარების შეცვლის უნარიც შეგვწევს.“

საკვირაო რბოლისთვის მზადება ფერარიმ როგორც ყოველთვის, ყველაზე გვიან დაასრულა. ირვინის ბოლიდს ლუკა ბადოერი ცდიდა, შუმახერი კი თავისას და სათადარიგოსაც. უკვე ცნობილია გუნდის გეგმები მანი-კურის რბოლის შემდეგ. დიდი ბრიტანეთის გრანპრიმდე, ივლისის პირველ რიცხვებში ფერარის ხელმძღვანელობა ალბათ ბოლოსდაბოლოს მიიღებს გადაწყვეტილებას ახალი ძრავის თაობაზე. ამ ძრავის პრემიერა უკვე რამდენჯერმე გადაიდო. მართალია კანადაში შუმის ბოლიდზე (კვალიფიკაციაზე) უკვე იდგა ეს ძრავა და მანი კურშიც იგივეს აპირებენ, მაგრამ უშუალოდ რბოლაში გამოცდისგან ჩემპიონატში შექმნილი დაძაბული სიტუაციის გამო ჯერჯერობით გუნდი თავს იკავებს. საქმე ის არის, რომ მანი-კურის ტესტებზე შუმახერმა ორ დღეში ორი ახალი ძრავის დაწვა მოასწრო. აქედან გამომდინარე სავსებით გასაგებია იტალიელთა ერთი შეხედვით ზედმეტი სიფრთხილე: ახალი ყველაფერი კარგია, მაგრამ ძველი, ღვინისა არ იყოს, კიდევ უკეთესი.

**ირაკლი ბერიაშვილი**

EURO BASKET 99

# თურქები, პარიზში გვინდაო



თურქეთი — ხორვატია. თურქი ცენტრი ჰუსეინ ბეშოქი (№12) ევროპის ჩემპიონატის მომხსნელებს ლიდერობს

პირველი ეტაპის ყველაზე ძლიერი, C ჯგუფის გამარჯვებული მოულოდნელად გახდა თურქეთის ნაკრები, რომელმაც იტალიას და ხორვატიას აჯობა. ელოდნენ, რომ ამ გუნდს პრობლემები ექნებოდა, რადგან ჩემპიონატს შესუსტებული შემადგენლობით ეწვია — არ ჰყავს ორჰუნ ენე და ჰარუნ ერდენაი. მიუხედავად ამისა, მწვრთნელმა ერმან ქუნთერიმ მოახერხა და ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული გუნდი ჩამოაყალიბა.

თურქეთი განსაკუთრებით ძლიერია ფარზე. ძლიერ ცენტრებს თავკაცობს ჰუსეინ ბეშოქი, ჩემპიონატის უპირველესი მომხსნელი. მირსად თურქჯანი, ჰადაიეთ თურქოღლუ და იბრაჰიმ ქუთლუაი, პრაქტიკულად, უნივერსალები არიან. მათ თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერ ამპლუაში თამაში და ქულების დაგროვებაც ეხერხებათ. ნაკრებს გონივრულად ათამაშებს ჭაბუკი გამთამაშებელი ქერემ თუნჩერი, რომელიც სასტარტო ხუთეულის შეუცვლელი წევრი გახდა.

თურქეთის საკალათბურთო ქვეყნად ჩამოყალიბებას ამ ქვეყანაში 2001 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დანიშვნაც ადასტურებს. ცხადია, მასპინძელი ავტომატურად ითამაშებს იქ მაგრამ ერმან ქუნთერის ეს არ აკმაყოფილებს: „ჩვენი გუნდი ახალგაზრდულია და ევროპის 2001 წლის ჩემპიონატისთვის ემზადება, მაგრამ იქამდე დიდი დროა. ამჯერად ახლანდელ ჩემპიონატზე ვფიქრობთ. საუკეთესოებში მოხვედრა გვსურს. ყოველ შემთხვევაში, პარიზში აუცილებლად უნდა ვითამაშოთ".

პარიზში კი, მოგეხსენებათ, მეოთხედფინალები, ნახევარფინალები და ფინალი გაიმართება. თურქებმა კი, სანამ იქ გაემგზავრებიან, ჯერ ლე მანში უნდა ორი მატჩი მაინც მოიგონ. მათი მეტოქეები ლიტველები, გერმანელები და ჩეხები იქნებიან.

# გერმანიას კაპიტანი დააკლდა

პირველი ეტაპის ბოლო მატჩში გერმანიამ 77:66 მოუგო ჩეხეთს და მეორე ეტაპზე გასვლით გაიხარა. მალე ამ სიხარულს ნაღველი შეეპარა. გუშინ, როცა გერმანელი კალათბურთელები ვარჯიშობდნენ, მათი კაპიტანი, 30 წლის ჰენრიკ როდლი ბერლინისკენ მიმავალ თვითმფრინავში იჯდა. ჩეხმა კამილ ნოვაკმა უნებლიედ ამოარტყა იდაყვი როდლს და დაზარალებულიც იძულებული გახდა, ჯერ 162-ე სანაკრებო მატჩი მიეტოვებინა, შემდეგ კი — ევროპის ჩემპიონატი.

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი პენრიკ დეტმანი დამწუხრებულია: „ეს მძიმე დანაკლისია. როდლის გამოკლება დიდ ზეგავლენას მოახდენს კალათბურთელებზე. წარმოიდგინეთ, ორგანიზმს რომ გული ამოაცალო... ამიერიდან გუნდის თითოეულმა წევრმა გაცილებით უკეთ უნდა ითამაშოს, რათა ჰენრიკის არყოფნა არ ვიგრძნოთ".

გერმანიას ლე მანის ჯგუფში სამი მატჩის გამართვა მოუწევს. დღეს ისინი იტალიას ეთამაშებიან, ხვალ — თურქეთს, ხოლო ორშაბათს — ხორვატიას. დანაკლისის მიუხედავად, დეტმანი იმედს არ ჰკარგავს და ამბობს, რომ მის გუნდს შესაძლებლობების მარაგი ჯერ არ ამოუწურავს.

ბერლინში როდლი ექიმებმა გასინჯეს და დაადგინეს, რომ სწრაფი მკურნალობის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული კაპიტანი გუნდს დაუბრუნდეს.

# სტოიაკოვიჩმა კალათბურთისკენ მოიხედა

ევროპის ჩემპიონატის ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იუგოსლავიის ნაკრები ქალაქ პოში გადაბარგდა და სასტუმრო „მერკურიში" დაბინავდა. მათთან ერთად ამ სასტუმროს ჭერქვეშ ცხოვრობენ ისრაელისა და ესპანეთის გუნდები. იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი, მიუხედავად შედეგისა, მაინც უკმაყოფილოა თავის კალათბურთელებით და გუნდურად ვერ ვთამაშობთო, დაუჟინია.

გუშინდელ ვარჯიშს მთელი გუნდი დაესწრო, თუმცა მწვრთნელმა მხოლოდ მილენკო ტოპიჩი, მილან გუროვიჩი და ვლადო შჩეპანოვიჩი დაიბარა. ტრავმა მოირჩინა „საკრამენტო კინგზის" ფორვარდმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა, ოღონდ სრული დატვირთვით არ უვარჯიშია. ობრადოვიჩის თქმით, მეორე ეტაპის მატჩებში სტოიაკოვიჩი მხოლოდ რამდენიმე წუთს ითამაშებს.

პირველი ეტაპის სამ მატჩში იუგოსლავიამ 227 ქულა დააგროვა, რაც მატჩში საშუალოდ 75,6 ქულაა. საჯარიმო სროლების 76,9 პროცენტი ჩააგდეს, ორქულიანების — 64,9, ხოლო სამქულიანების — 28,9. გუნდმა 92 მოხსნა გააკეთა, პასებისა და პერსონალური ჯარიმების რაოდენობა თანაბარია — 53. საჯარიმოთა სროლაში ასპროცენტიანი შედეგი აქვს დრაგან ტარლაკს (ცხრიდან ცხრა), ორქულიანებში დეიან ტომაშევიჩი ლიდერობს (76 პროცენტი), მანვე მოხსნა ყველაზე მეტი, 26 ბურთი, ხოლო დრაგან ლუკოვსკიმ 10 პასი გააკეთა.

# სიგალასი და კორონიოსი მომავალს განსხვავებულად ხედავენ

ევროპის ჩემპიონატს სენსაციები არ აკლია, მაგრამ საბერძნეთის ნაკრებს ნამეტანი მოუვიდა. ევროპულ ელიტაში გარეულმა გუნდმა სამიდან სამი მატჩი წააგო და ტურნირს პირველივე ეტაპის შემდეგ გამოეთიშა.

ათენში დაბრუნებულ ბერძენ კალათბურთელებს კრიტიკის ქარაშოტი დაატყდათ თავს. განსაკუთრებით მთავარ მწვრთნელს კოსტას პეტროპულოსს არ სწყალობენ. გუნდის კაპიტანმა გეორგიოს სიგალასმა დაიცვა პეტროპულოსი და ნაკრების ტექნიკური დირექტორი იანის იოანიდისი. სიგალასის აზრით, ამ ორი კაცის ხელში ბერძნულ კალათბურთს ნათელი მომავალი ექნება.

როგორც ჩანს, ნათელ მომავალს ვეღარ ხედავს საბერძნეთის ნაკრების გამთამაშებელი ევანგელიოს კორონიოსი. ამ კაცმა გუშინ გამოაცხადა, ნაკრებს თავს ვანებებო: „არ გეგონოთ, რომ ამას ევროპის ჩემპიონატზე წაგების გამო ვაკეთებ. უბრალოდ, ოლიმპიადაზე თამაში ჩემი ოცნება იყო. ახლა ეს შანსი დავკარგეთ და ნაკრებში გამოსვლას ჩემთვის აზრი დაეკარგა".



ბერძენთა საბედისწერო მატჩი: ლიტველი არტურას კარნიშოვასი (ბურთით) დემეტრიოს პაპანიკოლაუს და იანის იანულისს (მარჯვნივ) უტევს



სტუ ბრინჯაოს მედლებს გიგი ნაცვლიშვილს (№8) უნდა უმადლოდეს

# პირველი ბრინჯაო!

საქართველოს ჩემპიონატი

მესამე ადგილისთვის IV მატჩი

**სტუ — თსუ 3:2**

სამ მოგებამდე

25 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

**თსუ 88:90 სტუ**

I ტაიმი 51:52

თსუ: ვეფხვაძე (2), წონელია (18), მარკოიშვილი (4), ქარაბაკი (22), ხელაშვილი (9); არსიაშვილი (11), მშვილდაძე, დიმიტრიადი (4), მგალობლიშვილი (18)

სტუ: მიქაძე (16), მოისწრაფიშვილი (3), ჩხეიძე (17), გ. ნაცვლიშვილი (18), ოთიურიძე (12); ტულუში (2), გაგნიძე (10), ლოსაბერიძე, მინაშვილი (2), ცქიტიშვილი (10)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

ხუთიოდე წლის წინ ტექნიკოსი სტუდენტები ჯერ ნახევარფინალში დამარცხდნენ მომავალ ჩემპიონ „ვითასთან", ხოლო მესამე ადგილისთვის — „კაქტუსთან". მაშინ პლეი ოფში შემთხვევით მოხვედრილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდ „თორსის" დებიუტი წარმატებად ჩაითვალა.

მერვე ეროვნულში სტუ-ს პლეი ოფში მოხვედრა შემთხვევითი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან გუნდი რეგულარულ ჩემპიონატში სტაბილურად ასპარეზობდა, მუდმივად სამეულში იმყოფებოდა.

ნახევარფინალში სტუდენტების მეტოქე „ვითა" იყო. გამარჯვებული ჩემპიონი გამოვიდა, მაგრამ, ადრინდელისაგან განსხვავებით, სტუდენტებმა ჩემპიონებს ბევრი ოფლი აღვრევინეს.

პროგნოზების საწინააღმდეგოდ მესამე ადგილისათვის სტუ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა პლეი ოფის დებიუტანტ თსუ-სგან.

ბრინჯაოს მედლის მფლობელი 25 ივნისის მატჩს უნდა გაერკვია. როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული შეხვედრის ბედი მეორე ტაიმის ბოლო წამებზე გადაწყდა. ტაბლოზე ოთხი რვიანი ციმციმებდა, როცა გიგი ნაცვლიშვილის ბოლო წამზე ზუსტად ნასროლმა ორქულიანმა გამარჯვებასთან ერთად სტუ-ს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში ბრინჯაოს პირველი მედალი მოუტანა.

მატჩი სტუ-ს შეტევებით დაიწყო. მათ შორის განსაკუთრებით „თორსის" ყოფილი წევრი ზვიად მიქაძე გამოირჩეოდა. მიქაძის, ჩხეიძისა და გიგი ნაცვლიშვილის აქტიური თამაშის შედეგად სტუ თანდათან შორდებოდა მეტოქეს, ლევან ქარაბაკის იმედად მყოფი თსუ კი მას ვერ უმკლავდებოდა. საერთოდ არ ჩანდა წინა შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ნიკა ვეფხვაძე, ხოლო პირველ ტაიმში მგალობლიშვილის მონაგარი მხოლოდ ორი სამქულიანით შემოიფარგლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ტექნიკოსთა თხუთმეტქულიანი უპირატესობა არავის გაჰკვირვებია. ეტყობა, ძალიან ადრე ირწმუნა გამარჯვება სტუ-მ და ცოტა მოეშვა, რითაც, ბუნებრივია, ისარგებლა მეტოქემ და ნელ-ნელა იწყო შეხვედრის თავის სასარგებლოდ შემობრუნება.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე წონელიამ სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა, ხოლო ქარაბაკის სამქულიანმა ანგარიში პირველად გაათანაბრა — 51:51. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ პირველ ტაიმში გუნდები მშვიდობიანად დაშორდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ კოტე ტულუშის ზუსტმა სამქულიანმა სტუ კიდევ ერთხელ დააწინაურა.

შესვენების შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. პირველი ტაიმისაგან განსხვავებით, სტუ-ს უპირატესობა ამჯერად უმნიშვნელო იყო. მოედანზე ქარივით დაქროდა რეზო ჩხეიძე და რომ არა იგი, თსუ ადვილად დაწინაურდებოდა.

დაღლა დაეტყო ქარაბაკს, რომელმაც პირველ ტაიმში დაგროვილ 20 ქულას მეორეში ორი შემატა და ისიც საჯარიმოებიდან. სამაგიეროდ, ამოძრავდა მგალობლიშვილი და მეტოქეს მოსვენება დაუკარგა შორი თუ საშუალო სროლებით.

შეცვლაზე შემოსულმა დიმიტრიადიმ კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში — 88:88, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიგი ნაცვლიშვილმა თსუ-ს ოცნებებს ცივი წყალი გადაასხა.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# მშობიარობა მძიმე იქნება: ორშაბათს, ცხრა თვის თავზე, ქვეყანას ჩემპიონი მოევლინება

საქართველოს ჩემპიონატი

**ფინალი**
IV მატჩი

**აზოტი — ვითა 2:2**
სამ მოგებამდე

25 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

**ვითა 72:68 აზოტი**

I ტაიმი 39:31

ვითა: უსტიაშვილი (6), დავითულიანი (5), ბაქრაძე, ორმოცაძე (14), კორძაძე (7); ტურაშვილი (17), აბრამიძე (4), ახალკაცი, კოკოლიშვილი (11), ჩუბინიძე (8)

აზოტი: ქლენტი (10), გაბისონია, გოგობერიშვილი (16), ბაბიაშვილი (17), ჯაფარიძე (16); ბერუაშვილი (3), გოგოლაძე, ჩაჩუა (3), ჯიმშელეიშვილი (3)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

... და ყველაფერი თავიდან იწყება. „ვითამ" გუშინაც მოიგო, სერიაში ანგარიში გაათანაბრა და რუსთავის „აზოტის" საჩემპიონო იმედები გვარიანად გააფერმკრთალა.

ექვსგზის ჩემპიონთა ღირსეულმა თამაშმა ოქროსკენ გაწვდილი ხელი რუსთაველებს უკან წაალებინა და მეხუთე, გადამწყვეტი შეხვედრისთვის გუნდმაც საჩემპიონო განწყობა შეიქმნა.

მაშ ასე: თუ ბრინჯაოს უკვე პატრონი გამოუჩნდა, ჩემპიონის ვინაობა ჯერაც უცნობია, ყველაფერი ორშაბათს გაირკვევა, როცა ეს გუნდები მეხუთედ და „სამკვდრო-სასიცოცხლოდ" შეებმებიან ერთმანეთს — შარშანდელ 1 ოქტომბერს დაწყებული მერვე ეროვნულის გამარჯვებულის გამოსავლენად ოთხი შეხვედრა საკმარისი არ აღმოჩნდა.

გუშინ „ვითამ" კიდევ ერთხელ და უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები. ორი თამაშის წაგების შემდეგ მათმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ შეძლო კალათბურთელებისთვის ის სული შთაებერა, რომლის სიმტკიცემაც გადამწყვეტი მატჩის წინ გუნდს ფსიქოლოგიური უპირატესობა მოუპოვა.

გაუჭირდება ყოველივე ამის შემდეგ „აზოტს". რუსთაველები ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან, ერთი მოგებაც და... არა, ჩემპიონობის შანსი, რა თქმა უნდა, ამ გუნდს კვლავაც აქვს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ისეთი აღარ.

ამის მიზეზი მარტივია: „აზოტი" გადაიღალა, ფინალური მარათონი სკამმოკლე გუნდისთვის მომქანცველი აღმოჩნდა. მწვრთნელი ოთარ ხმელიძე სათარიგო მოთამაშეებს ვერ ენდობა, გამონაკლისი მიხეილ ბერუაშვილია. დროდადრო ხმელიძე ჩაჩუასა და ჯიმშელეიშვილს თუ ჩართავს ხოლმე თამაშში, რაც უფრო იძულებითია — წამყვანი კალათბურთელები რომ დაასვენოს.

ძნელია, ასეთ გუნდს გამარჯვება მოსთხოვო „ვითასთან", რომლის თითქმის ყველა მოთამაშის (თუ არ ჩავთვლით ახალბედებს — ვაშაკიძესა და ჭირაქაძეს) ოსტატობა ეჭვს არ იწვევს. ტომარაძეს, კოლეგისგან განსხვავებით, გაცილებით დიდი არჩევანის საშუალება აქვს, რასაც მთელი შეხვედრის მანძილზე აზრიანად იყენებს. ერთი თუ ვერ გაუმართლებს, უმალ გამოცვლის და მოედანზე სხვას შეუშვებს. და, რაც მთავარია, მწვრთნელი, ამას უმტკივნეულად ახერხებს, ისე, რომ გუნდი არ ზარალდება.

სასტარტო ხუთეულებით თუ ვიმსჯელებთ, ამ მხრივ უპირატესობა „აზოტის" მხარესაა, მაგრამ ხუთ-ექვს კალათბურთელს სადამდე უნდა ეყოს ძალა?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ვითას" გუშინდელი გამარჯვება ლოგიკურად უნდა ჩაითვალოს. მათ თამაშის ორგანიზებით აშკარად დაჯაბნეს „აზოტი" და ალალად, დამსახურებულად მოიგეს.



[illegible] ფოტო

რუსთაველ ირაკლი ჯაფარიძეს (№12) გოდერძი კორძაძე (მარჯვნივ) მეურვეობდა

„ვითამ" თავიდანვე რიხით დაიწყო. რუსთაველებმა ფინალური სერიის მანძილზე მეტოქეს პირველად დაუპირისპირეს ზონური დაცვა, რამაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, არ გაამართლა. ვითელთა გამთამაშებელმა დავით უსტიაშვილმა უმალ აუღო ალღო დაცვის ამგვარ სისტემას და სწრაფი პასებით მის დანაწევრებას შეუდგა. ხელფეხი გაეხსნა გოდერძი კორძაძეს, რომელსაც ირაკლი ჯაფარიძე პერსონალურად აღარ მეურვეობდა და ფარში შეჭრილი უსტიაშვილის გონივრული პასებით კორძაძემ ზედიზედ ორჯერ ჩააგდო. ნუგზარ კოკოლიშვილის ზუსტმა სამიანმა და ისევ კორძაძის პერსონალურმა კი რუსთაველი გულშემატკივარი სერიოზულად აალელვა — მათი საქომაგო გუნდი საწყის წუთებს მშრალზე აგებდა — 0:8.

ხმელიძემ მხოლოდ ამის შემდეგ მოხსნა ზონური დაცვა და პერსონალურზე გადააწყო, რამაც საოცარი ეფექტი გამოიღო. მართალია, ირაკლი ბაქრაძის გადამკიდე არჩილ ქლენტი დიდად ვერ გამოირჩეოდა, მაგრამ რამაზ გოგობერიშვილი შეუჩერებელი შეიქნა. იგი წინ გაუძღვა თავისიანებს, ზედიზედ ორი შეტევა ინდივიდუალურად განავითარა და თავადვე დააგვირგვინა. რამაზის კარგმა თამაშმა ჯაფარიძეც იშტაზე მოიყვანა, ირაკლი ჩვეულად ამოქმედდა, მეურვე კორძაძე შეავიწროვა და ფარზე გაბატონდა. მალე მან სამიანიც ჩააგდო, რასაც ქლენტმა ერთი საჯარიმოც წაამატა და შუაგული ტაიმისთვის ანგარიში გათანაბრდა — 12:12.

ასეთი მცირექულიანობის მიზეზი, რა თქმა უნდა, გუნდების კარგი დაცვითი თამაში გახლდათ. თუმცა კალათბურთელები მთლად უშეცდომოდ არ გარჯილან და ამ დროისათვის ჯაფარიძემ და ბერუაშვილმა ორ-ორი, ბაქრაძემ კი სულაც ოთხი ჯარიმის მიღება მოასწრეს.

თამაში გათანაბრდა. უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი გუნდი ახერხებდა. ორმოცაძემ და ჯიმშელეიშვილმა სამიანები გაცვალეს, დავითულიანის გარღვევას კი გოგობერიშვილმაც ასევე უპასუხა.

ტაიმის მიწურულს „ვითამ" მცირე სათამაშო უპირატესობა მოიპოვა, რაც გუნდმა ქულებშიც ასახა. ტურაშვილმა ორჯერ ზუსტად ისროლა საშუალო მანძილიდან და პერსონალურებიც ჩააგდო. კოკოლიშვილის შორეული ტყორცნის შემდეგ კი „ვითა" შესვენებაზე რვაქულიანი მარაგით გავიდა.

განახლდა მატჩი და ორმოცაძე გააქტიურდა. ამროსიმ გოგობერიშვილის გარღვევასაც უპასუხა და სულ მალე სამიანით სხვაობა ათი ქულა გახადა, 44:34 — წინ „ვითაა".

ამჯერად კი გაამართლა აზოტელთა ზონურმა დაცვამ. საკუთარ ნახევარზე აქტიური ქმედებით რუსთაველებმა ფარზე მისასვლელი გზები გადაუკეტეს მეტოქეს და წინაც ჯიქურ წავიდნენ. მთელი ძალით ამოქმედდა ზვიად ბაბიაშვილი, მისი მოხსნილი ბურთი გამთამაშებელ არჩილ ქლენტს დაუყოვნებლივ პირველ შეტევაზე გადაჰქონდა, „გამქცევი" კი უმეტესად გოგობერიშვილი, ანაც თავად ბაბიაშვილი იყო.

უსტიაშვილმა ახლა ველარ გაარღვია „აზოტის" დაცვა და შედეგად „ვითამ" 0:12 დათმო ოთხწუთეული.

ამის შემდეგ კარგა ხანს მეტოქეები ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს, მაგრამ მოგვიანებით, რაც თამაშის ეშხში შესული ბაბიაშილი ხმელიძემ სათადარიგოებში გაიხმო, სასწორი „ვითასკენ" გადაიხარა.

ამასობაში ხუთი ჯარიმით გაბისონია გამოეთიშა თამაშს და ვითელთა უკანახაზელებმაც მეტი თავისუფლება იგრძნეს. ანგარიშში სხვაობა დიდხანს სამ-ხუთ ქულამდე მერყეობდა „ვითას" სასარგებლოდ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე წუთი და რვა წამით ადრე მოედანზე დაბრუნებულმა ბაბიაშვილმა ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა.

დაიწყო უკანასკნელი წუთი, „ვითამ" ბურთი ბოლომდე „დაიჭირა" და შეტევისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე მამუკა ტურაშვილის უმნიშვნელოვანესმა სამიანმა „აზოტი" წაგების სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა.

რუსთაველთა საპასუხო იერიშისას ორმოცაძე გოგობერიშვილზე დაჯარიმდა, რამაზმა ერთი პერსონალური ჩააგდო, მეორე გაუცუდდა, თუმცა ბურთი ბერუაშვილმა მოიხელთა, ესროლა და... ოცდაერთი წამით ადრე „აზოტი" კვლავაც ორ ქულას აგებდა.

ტომარაძემ წუთშესვენებით ისარგებლა, შეგირდები დააწყნარა და უსტიაშვილს ბურთის გათამაშება დაავალა. დათომაც გაუმართლა მწვრთნელს, ბურთი არამცთუ მეტოქეს, თავისიანებსაც არ დაანება და რუსთაველებიც მას მხოლოდ დაჯარიმებას „გამორჩნენ".

უკანასკნელ ოცდაერთ წამში უსტიაშვილმა ექვსჯერ ესროლა საჯარიმო ხაზიდან და აქედან ხუთჯერ ზუსტად, რამაც „აზოტს" წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

**გიორგი ბიძყმვილი**



[illegible] ფოტო

გარღვევაზე გასულ ვითელ მამუკა ტურაშვილს (ბურთით) ზვიად ბაბიაშვილი უშლის ხელს

## მატჩის შემდეგ

„აზოტის" მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ ხმელიძემ** საუბარი მსაჯობაზე შთაბეჭდილების გაზიარებით დაიწყო:

— მსაჯები გუშინდელთან შედარებით ანგელოზებივით გამოიყურებოდნენ, მაგრამ შეცდომები მაინც ჰქონდათ.

**— კონკრეტულად რა გაქვთ მხედველობაში?**

— საეჭვოდ მეჩვენა მეოთხე და მეხუთე ჯარიმა. არჩიკო ქლენტის მიმართ, რომლის მოედნიდან გასვლა ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო.

**— თქვენმა კალათბურთელებმა უშეცდომოდ ითამაშეს?**

— არა, რა თქმა უნდა. შეცდომები რომ არ ყოფილიყო, ჩემპიონობას წინა რალა დაუდგებოდა?! გადაიღალნენ ბიჭები, ყველა უცნაურობა ხომ ჩვენ უნდა გვჭირდეს. დამისახელეთ ქვეყანა, საქართველოს გარდა, სადაც ჩემპიონატი 9 თვეს გრძელდება.

**— კვლავ შეკრებაზე დარჩება გუნდი თუ...**

— შეკრება მხოლოდ პლეი ოფის დამთავრების შემდეგ დასრულდება.

**— ზედიზედ ორი წაგებული მატჩის გამო სასოწარკვეთილი ხომ არ ხართ, იმედი ხომ არ დაკარგეთ?**

— პირიქით, მეტოქისგან განსხვავებით, ორდღიანი შესვენების შემდეგ ჩვენ ოპტიმიზმის მეტი საბაბი გვექნება.

**— რატომ, „ვითა" ხომ დღითი დღე უმატებს თამაშს.**

— კი, მაგრამ „ვითას", ჩვენგან განსხვავებით, ბევრად გრძელი სკამი აქვს და ამიტომ გამოიყურებოდა უკეთ. „აზოტში" მთელი დატვირთვა ძირითადად ექვსმა კალათბურთელმა გადაიტანა საკუთარ მხრებზე, რომელთაც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ჩაჩუა. ჩემი აზრით, ორშაბათს, გადამწყვეტი მატჩის წინ, „აზოტი" ყოველმხრივ ფორმაში უნდა იყოს, ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში.

ოპტიმისტურად იყო განწყობილი „ვითას" მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ტომარაძეც**, რომელსაც ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ ამის საბაბი ნამდვილად ჰქონდა.

**— აშკარაა, რომ „ვითა" დღითი დღე უმატებს, რაც ბოლო ორი მატჩის მოგებამაც დაადასტურა. რით ახსნით თქვენი გუნდის ასეთ აღმასვლას?**

— ჩემი აზრით, მხოლოდ კარგი დაცვის შემდეგ შეიძლება წარმატებაზე ფიქრი. თამაშების გაანალიზებისას აღმოვაჩინეთ, რომ „ვითას" კოზირი დაცვა იყო, სადაც, სხვა რგოლებისგან განსხვავებით, ყველაზე მეტი რეზერვი გვაქვს. თუ შეამჩნიეთ, დაცვაში ჩვენი კარგი თამაშის შედეგად სულ უფრო და უფრო იკლო მეტოქის შედეგიანობამ.

**— ხარვეზები თუ ჰქონდა „ვითას"?**

— ვერ გამიგია, რას დავაბრალო თითქმის აღებული ბურთის დაკარგვა. პირველად რომ ვიყოთ ფინალში, ვიფიქრებდი, ღელავენ-მეთქი, მაგრამ ექვსგზის ჩემპიონებზე ასეთი ვარაუდი გამორიცხულია.

**— თუ „აზოტი" ორშაბათამდე ენერგიის მოკრებას ფიქრობს, აღმავლობის გზაზე მყოფ „ვითაზე" ორდღიანი შესვენება ცუდად ხომ არ იმოქმედებს?**

— თითქმის ჩვევად გადაგვექცა ფინალში თამაში და, დიდი ხანია, ფინალების მარათონს შევეჩვიეთ. „ვითასთვის" მნიშვნელობა არა აქვს, ხვალ ითამაშებს, ზეგ თუ ორი დღის შემდეგ.

**— პირველი მატჩის შემდეგ, ბრძანეთ, რომ „აზოტს" ოქროს მედლების მოპოვების უკეთესი შანსი ჰქონდა. ამჯერად რა აზრის ბრძანდებით?**

— ორით ორის შემდეგ ოქროს მედლების მოპოვების შანსებიც თანაბარია — ორმოცდაათი ორმოცდაათზე.

**როლანდ ლაბუჩიძე**



# სწორება ოლე გუნარზე

ეს ქალი სოლსკიაერის დედაა. ეს ბიჭი კი სოლსკიაერია. ოღონდ ეს ქალი არ არის ოლე გუნარის დედა და არც ეს ბიჭია ოლე გუნარი. შეიძლება სულაც ლარს იუჰანი ჰქვია. მაგრამ ახლა ყოველი ნორვეგიელი ბიჭი ოლე გუნარობაზე ოცნებობს და მათი დედებიც არ არიან წინააღმდეგი, რომ ბიჭები იმგვარ „სოლსკიაერებად" დაიზარდნონ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების გოლს რომ გაიტანს. ისე კარგი იქნებოდა, ქართველებსაც რომ გვყავდეს ჩვენი ოლე გუნარი.




# ტინოს იმედგაცრუება

დღე დღეზე „კოპა ამერიკას" მორიგი გათამაშება დაიწყება პარაგვაიში. ამ ქვეყნის დედაქალაქ ასუნსიონში სამხრეთის მრავალ ფეხბურთისვარსკვლავს მოუყრია თავი. ამათ შორისაა მოცეკვავე კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილიაც. ტინო პარაგვაელ გულშემატკივარს ავტოგრაფით ასაჩუქრებს, თუმცა სასიხარულო ცოტა აქვს — ქრონიკულმა ტრავმამ თავი შეახსენა და „კოპას" გახსნამდე ორი დღით ადრე, შინ დასაბრუნებლად გაამზადა.

# მოყვარულობა, იმედი ხვალის



REUTERS ტორონტოდან

ფიგურული ციგურაობის კანადელი ჩემპიონი ელვის სტოიკო დედას, ირენს ჩახუტებია ტორონტოში მიმდინარე პრესკონფერენციაზე. ეს პრესკონფერეცია კი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ სტოიკომ განაცხადა, პროფესიონალად გახდომას სულაც არ ვჩქარობ, გაისადაც სამოყვარულო შეჯიბრებებში გამოვალო.

REUTERS ყარაჩიდან



# ხალხის რისხვისგან დასაცავად

შეშინებულ პაკისტანელ მოკრიკეტეს შაჰიდ აფრადის პირადი მცველები მიაცილებენ მანქანისკენ. ამგვარი ესკორტი იმითაა გამოწვეული, რომ მსოფლიოს თასის ფინალში პაკისტანელებმა ავსტრალიელებთან წააგეს და ყარაჩელი ქომაგები სხვა ათას რამესთან ერთად საკუთარ ტაფელოსნებზეც განრისხებულან — ერთი კარგად გავასილაქებთო. ამიტომ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და ამ მარცხის შემდეგ თხუთმეტკაცა გუნდიდან მხოლოდ ათი მამაცი დაბრუნებულა სამშობლოში. დანარჩენებს უთქვამთ, ჯერ რისხვამ გადაიაროსო.

# შემდური ქირა

უიმბლდონის პეიზაჟები: ამგვარი ბეჭყირა სახელოვან შვედ ტომას ენკვისტს უცნობ გერმანელთან, რაინერ შუტლერთან თამაშისას გამოუვიდა. თუმც, საშიში არაფერია. შვედმა სამ სეტში მოიგო და გერმანელი ყირაზე რომც დამდგარიყო, მეტს ვერ შეძლებდა.

REUTERS ლონდონიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29